# ლელო

პალიტრა მედია

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

19 სექტემბერი **ხუთშაბათი** 2013

№221 (14 137) ფასი 80 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



## არა!

პრესის ვერდიქტი

3




# ჰეი, თქვენ, არაგონელებო

BASKET CAI ZARAGOZA

სანიკიძე შერმადინთან, სარაგოსაში

10-11





# ჩელსიურპრიზი ბაზელისგან

7

UEFA EURO2016 FRANCE

1000 DAYS

# მოლოდინის 1000 დღე

რას გვიმზადებს ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ახალი ფორმატი?

5



EuroBasket SLOVENIA 2013

16

# ფინალი ნახევარფინალში

საფრანგეთი–ესპანეთი

მეორე წყვილი დღეს გაირკვევა

პრობლემა

# ზურაბ ხიზანიშვილი: ალბათ, ნაკრებში დროებით არ ვითამაშებ


ზურაბ ხიზანიშვილი

ფინეთის ეროვნულ ნაკრებთან 10 სექტემბრის შეხვედრის შემდეგ **ზურაბ ხიზანიშვილი** ეროვნული ნაკრებიდან წასვლაზე დაფიქრდა. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ საფრანგეთთან შეხვედრის შემდეგ **თემურ ქეცბაიამ** განაცხადა - „ქაისერის" გამოცდილმა მცველმა შეხვედრა პრაგმატული მოსაზრებით გამოტოვაო.

*„ცენტრალური მცველების უმრავლესობა ყვითელი ბარათების ზღვარზე იყო და თამაშამდე ამაზე ზურას ველაპარაკე. მაგრამ დღეს ბიჭებმა ისე ითამაშეს, ამ საკითხზე კიდევ დავფიქრდები"*, - თქვა ქეცბაიამ.

ხიზანიშვილი ეროვნული გუნდის ძირითად შემადგენლობაში ვერც ფინეთთან მატჩში მოხვდა. მერე იყო ქეცბაიას ცნობილი განცხადება, ავტობუსში არ ამოვიდა, ალბათ, ძირითადში ვერმოხვედრა ეწყინაო.

ხიზანიშვილმა შემდეგ თქვა, ეს უმიზეზოდ არ მომხდარაო, თუმცა ქეცბაიასთან კონფლიქტი უარყო: *„სიმართლე არ არის ის, თითქოს სერიოზული ჩხუბი მოგვივიდა. ნაკრები მატჩამდე დავტოვე. მაგრამ ცხელ გულზე კომენტარისგან თავს შევიკავებ. არ მინდა, ასეთ მდგომარეობაში დასკვნები გავაკეთო"*.

31 წლის მცველმა განაცხადა, რომ უახლოეს დღეებში განცხადებას სოციალურ ქსელში გააკეთებდა, მაგრამ სკანდალი გამორიცხა - ისეთი რამის თქმას არ ვაპირებ, რაც მორიგ უსიამოვნებას გამოიწვევსო...

■ ■ ■

მას შემდეგ კვირაზე მეტი გავიდა, შეპირებული განცხადება კი არ ჩანდა. ხიზანიშვილს დავუკავშირდით და დავინტერესდით - მართალი იყო თუ არა, რომ ნაკრებიდან წასვლას აპირებდა.

*„ჯერ ვფიქრობ, მაგრამ გუნდის საერთოდ მიტოვება არ მსურს. შესაძლოა, გარკვეული დროით წავიდე, სანამ ნაკრებში ვითარება არ შეიცვლება"*, - გვითხრა ზურაბმა.

ერთხელ, **დავით ყიფიანი** იხსენებდა: *„ზედიზედ სამ წელიწადს კიევის „დინამოს" თავდამსხმელ ოლეგ ბლოხინს საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელად ასახელებდნენ. ცხადია, ეს რუსეთში ბევრს არ სიამოვნებდა და ერთმა ცნობილმა კომენტატორმა თქვა, ბლოხინის პირველობა უკვე მოსაბეზრებელიაო. ეს ფრაზა ძალიან ცუდად მომხვდა - რას ნიშნავს მოსაბეზრებელია, როცა მართლაც საუკეთესო იყო? მაგრამ ცხოვრებაშიც ასეა, ადამიანებს სიახლეები მოსწონთ, ძველი ბეზრდებათ და, შესაძლოა, ფეხბურთელის რეალური შესაძლებლობები ვერ შეაფასონ"*.

ასევე იყო გულშემატკივრისთვის ეროვნული ნაკრების პირველი და შემდგომი თაობებიც, იმავე ხიზანიშვილის პლეადა - წარმატებას ვერ აღწევდნენ და მათზე ბევრმა გული აიცრუა, უბრალოდ, მობეზრდათ. მაგრამ რაც უნდა სამართლიანი პრეტენზიები გვქონდეს ხიზანიშვილთან ნაკრებში მისი ბოლოდროინდელი, არადამაჯერებელი თამაშების, შეცდომებისა და ავტობუსში არასვლის გამო, ასეთ გამოცდილ ფეხბურთელს ნაკრებში შემცვლელს სწრაფად ვერ მოუძებნიან. ეს მათ საყურადღებოდაც, რომლებიც ხიზანიშვილს ჩავარდნილ თამაშებს ახსენებენ და ნაკრების გაძლიერების რესურსს ჩვენს ჩემპიონატში ეძებენ. საქართველოში შეკრებილი მოთამაშეებით რაც შეგვიძლია, ეს „ტოტენჰემმა" და „რაპიდმა" დაგვანახეს.

საერთოდაც, ბოლო ოცი წელია გამოცდილებს ხელს ვკრავთ და უკეთესის ძიებაში უარესს ვიღებთ. ასე იყო პირველი ნაკრებიდან დაწყებული, როცა გამოცდილი და, დღევანდელი გადასახედიდან, საკმაოდ მაღალი კლასის მოთამაშეები 28-29 წლის ასაკში ჩამოწერეს - **როსტომ თორღაშვილი, ბუბა ტყავაძე, გია გურული, მამუკა ფანცულაია**, მერე **კახა ცხადაძე, მურთაზ შელია** და ასე შემდეგ. **შოთა არველაძემ** ნაკრებში 35 წლისამ ითამაშა, მაგრამ მისნაირი თავდამსხმელი დღემდე არ გვყავს. 2006 წლიდან კი ეროვნული ნაკრები სულაც თინეიჯერების გუნდად აქციეს. მერე ბევრი იმასაც ამბობდა, **კახა კალაძე** დაბერდაო, მაგრამ მისი შემცვლელი დღემდე ვერ გამოინახა.

იგივე მოგვივიდა **ალექსანდრე ჩივაძესთან** მიმართებაშიც, რომელსაც ინგლისთან წაგება არ ვაპატიეთ - უკეთესის მოლოდინში, უკან-უკან წავედით, ოცნებაში რეალობის გრძნობა დავკარგეთ და კატასტროფა მივიღეთ...

სამწუხაროდ, ხიზანიშვილიც ნაკრებიდან ნაადრევად წასული ვეტერანების სიის შევსებაზე ფიქრობს. ბოლო ორ წელიწადში, „ჯვაროსნებს" **კახა კალაძე, მალხაზ ასათიანი, ლევან კობიაშვილი, დავით სირაძე** და **ალექსანდრე იაშვილი** დააკლდნენ.

სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ ამჯერად, ხიზანიშვილისთვის მთავარ მწვრთნელს ხელი არ უკრავს - ჩაგდებული თამაშების მიუხედავად, მაინც იწვევდა ნაკრებში, მაგრამ ურთიერთობა ვერ აეწყო. ეს ხიზანიშვილის საქციელიდანაც ჩანს. ამას დაემატა კონფლიქტი მწვრთნელსა და **ლევან ყენიას** შორის, რაც ნაკრების ინტერესებისთვის მიუღებელია.

იდეალური ადამიანი არ არსებობს და ცხადია, ფეხბურთელებიც ცდებიან. მაგრამ გუნდში ურთიერთობები მწვრთნელის მოსაგვარებელია, რომლებიც ასევე ცდებიან. იმის თქმა, რომ ყენია ფეხბურთელად არ ვარგა, დამაჯერებლობას მოკლებულია და პიროვნულ დაპირისპირებაზე მეტყველებს. გულშემატკივარს ყენიასგან „ცივი წყლის" ამბავი ეწყინა, მაგრამ ნაკრებში მსგავსი ფეხბურთელი არ გვყავს და ისედაც მწირი რესურსის პირობებში ყენიაზე უარის თქმა გაუმართლებელი ჩანს.

გაუგებარია გაუთავებელი ლაპარაკი მომავალ ციკლზე - ეს პასუხისმგებლობისგან გაქცევას ნიშნავს. გამოცდილი ფეხბურთელების დაკარგვით ნაკრები მომავალშიც ვერ გაძლიერდება, რადგან ნაკრები სწორედ გამოცდილებისა და საუკეთესოებისაა და არა - საბავშვო ბაღი - ამ ბავშვების დროც აუცილებლად მოვა. სად გვეჩქარება?

■ ■ ■

ზურაბ ხიზანიშვილი თურქეთში საკმაოდ კარგ ხელფასს იღებს. როცა შარშან მან ნაკრებში პრემიების საკითხი დააყენა, ბევრმა იქილიკა - ეტყობა, კლუბში აღებული ჯამაგირი არ ჰყოფნისო. რამდენიმე თვის წინათ, ხიზანიშვილმა ამაზე გვითხრა:

*„რამდენჯერაც ნაკრებში პრემია ავიღე, იმდენჯერ ფეხბურთის ფედერაციას ვთხოვე, თანხა პირდაპირ უპატრონო ბავშვთა სახლში გადაერიცხათ. აქ პირადი გამორჩენა არაფერ შუაშია. უბრალოდ, ნაკრებში ასე უნდა ხდებოდეს. ეს ახალგაზრდა მოთამაშეებს სჭირდებათ"*.

**მერაბ მამულაშვილი**

გურია

# გურული რომანი

## პოკორა ლანჩხუთში, მახარაძეც რჩება


მარცხნიდან: ამირან გიგინეიშვილი, ზაზა ურუშაძე, რომან პოკორა, კობა მირზაშვილი

„ლელოს" წინა ნომერში გამოქვეყნებული ექსკლუზიური ინფორმაცია ახდა - „გურიას" ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. **დავით მახარაძეს** 63 წლის უკრაინელი **რომან პოკორა** შეცვლის.

სანამ პრესკონფერენციაზე გადავალთ, მახარაძის პოზიციას გაგაცნობთ: *„ძალიან შეურაცხყოფილი ვარ. არ მაქვს პრეტენზია, ვინც ფულს იხდის, ვისაც უნდა, იმას დანიშნავს, თუმცა ამის შესახებ მე გაზეთიდან არ უნდა გამეგო. ამის შემდეგ, რაც უნდა მოხდეს, „მეტალურგთან" გუნდს არ გავიყვან. საერთოდ არაფერი ვიცოდი, სამშაბათს სათასო თამაში გვქონდა თერჯოლაში და არავის არაფერი უთქვამს. ფოთში ჩამოსულმა გავიგე ეს ამბავი და დირექტორს რომ დავურეკე, ველარ უარყო"*, - გვითხრა მახარაძემ.

ლანჩხუთელთა ახალი მწვრთნელი ჟურნალისტებსა და გულშემატკივრებს მუნიციპალიტეტის გამგებელმა **ზაზა ურუშაძემ** საკრებულოს თავმჯდომარე **ამირან გიგინეიშვილისა** და „გურიის" დირექტორ **კობა მირზაშვილის** თანხლებით წარადგინა.

**ზაზა ურუშაძე**, ლანჩხუთის გამგებელი:

- მინდა წარმოგიდგინოთ გუნდის ახალი მწვრთნელი რომან პოკორა, დიდი გამოცდილების მქონე ადამიანი. როცა გამგებლად დავინიშნე, ვთქვი, რომ „გურია" არ იქნებოდა მაჩანჩალა გუნდი. ჩვენ მიზნისკენ გეგმაზომიერად მივდივართ. სულ მალე, ვეცდებით ფეხბურთელებიც დავიმატოთ. თუმცა ეს უკვე მწვრთნელის კომპეტენციაა. ცენტრალური მცველი, ნახევარმცველი და თავდამსხმელი რომ გვჭირდება, ალბათ, ამაში ყველა მეთანხმებით.

**- ბატონო ზაზა, რა გახდა დავით მახარაძის გათავისუფლების მიზეზი?**

- ჩვენ ის არ გაგვითავისუფლებია. ვთავაზობთ, დარჩეს გუნდში და გააგრძელოს მუშაობა.

**- რა თანამდებობაზე?**

- მთავარი მწვრთნელის გარდა, არის სხვა თანამდებობებიც, მაგალითად, მწვრთნელის პოსტი. უფროსი მწვრთნელის თუნდაც... თუ მისი სურვილი იქნება, გუნდში დარჩება იგივე ანაზღაურებით.

**- რატომ არ ჩააყენეთ მახარაძე საქმის კურსში? მან ეს გაზეთიდან გაიგო...**

- ამაზე კლუბის დირექტორი გიპასუხებთ.

**კობა მირზაშვილი**, გურიის დირექტორი:

- ჩვენ მას სამშაბათს ვაცნობეთ ამის შესახებ. მოლაპარაკებები მიდიოდა და წინასწარ არაფერი ვიცოდით...

**ზაზა ურუშაძე:**

- ჯერჯერობით კონტრაქტი გაფორმებული არ არის, არც დეტალებია დაზუსტებული.

**- თუმცა მთავარ მწვრთნელს უნდა სცოდნოდა თუნდაც მოლაპარაკებების შესახებ. მისი მუშაობითა და „გურიის" თამაშით უკმაყოფილო იყავით?**

- ნამდვილად არა. რაც მან გუნდი ჩაიბარა და თან - როგორ სიტუაციაშიც, უკმაყოფილო არ ვიყავით.

**- აბა, რა საჭირო იყო მისი შეცვლა?**

- ჩვენ უფრო მეტს ვითხოვთ და ამიტომაც მოვიწვიეთ ბატონი პოკორა. „დინამოსთან" თამაშის შემდეგ ფეხბურთელების ფიზიკურად მომზადება ვერ მოხერხდა, სწორედ ამის გამო წავაგეთ ქუთაისში. უკრაინელმა მეგობრებმა გვითხრეს, რომ ბატონი რომანი გუნდებს ფიზიკურად კარგად ამზადებს. თუ წარმატება არ იქნება, მასაც შევცვლით.

**- თუ საიდუმლო არ არის, რამდენია ახალი მწვრთნელის ანაზღაურება?**

- რაც დავით მახარაძეს ჰქონდა, იმ თანხას მიიღებს.

**- იქნებ დაგვიკონკრეტოთ?**

- 2500 ლარი.

**რომან პოკორა**, გურიის მთავარი მწვრთნელი:

- „გურიას" შესახებ, რა თქმა უნდა, ადრეც მსმენია. ეს არის ქართული ბრენდი და აქ მუშაობას ამიტომაც დავთანხმდი. თუნდაც პრესკონფერენციაზე ამდენი ადამიანის შეკრება მიანიშნებს იმ ინტერესზე, რაც „გურიის" მიმართ არის. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ქომაგები გავახაროთ!

**- ბატონო ზაზა, როგორია კლუბის ფინანსური მდგომარეობა?**

- დარიგებულია პრემიალურები, გასასტუმრებელია ხელფასები. ამ ეტაპზე, როგორც იცით, ბიუჯეტში ცვლილება არ შეიძლება, თუმცა ვეცდებით, უახლოეს დღეებში ერთი თვის ხელფასი დავარიგოთ.

> **დოსიე**
>
> **რომან პოკორა**
>
> დაიბადა 1950 წელს, ლვოვში (უკრაინა)
>
> ფეხბურთელის კარიერა: **კარპატი** (1966-76), **მეტალისტი** (1976-80), **სპარტაკი** (ივანო-ფრანკოვსკი, 1981-83);
>
> სამწვრთნელო კარიერა: **ვოლინი** (ლუცკი, უკრაინა, 1983-85, 1994-96), **უკრაინის ახალგაზრდული ნაკრები** (1987-88), **ზარია** (ბელცი, მოლდოვა, 1989-90), **ვერესი** (როვნო, უკრაინა, 1990-92), **კარპატი** (ლვოვი, უკრაინა, 1992-94), **გეტმანი** (ზამოში, პოლონეთი, 1996-98), **ოლექსანდრია** (უკრაინა, 1999-2006), **სიმურგი** (ზაქათალა, აზერბაიჯანი, 2006-10), **ჰელიოსი** (ხარკოვი, უკრაინა, 2011-12).
>
> **აქვს პრო-ლიცენზია, არის სსრკ-ის სპორტის ოსტატი, სსრკ-ის თასის მფლობელი და ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, ორჯერ გაიყვანა გუნდები (კარპატი და სიმურგი) ევროტურნირებზე.**

**- „მეტალურგთან" გუნდს ახალი მწვრთნელი გაიყვანს?**

- არა. მას რამდენიმე დღე დასჭირდება გუნდის გასაცნობად. იმის შემდგომ ტურიდან გუნდს უკვე ბატონი რომანი უხელმძღვანელებს.

**- რა ხდება სპონსორთან დაკავშირებით?**

- სამ ინვესტორთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას. ერთი ბერძენია, მეორე - რუსი, ხოლო მესამე - ქართველი. სხვათა შორის, ბერძენიც წარმოშობით წალკიდანაა. საუკეთესო ვარიანტს შევარჩევთ.

**- ალბათ, საუბარი იქნება იჯარაზე...**

- ვნახოთ, მოლაპარაკების დეტალები იქნება საჯარო. ისე გავაკეთებთ, რომ „გურია" არ დაზარალდეს. რა თქმა უნდა, თავისი პირობა ექნება ინვესტორსაც. ის დრო დამთავრდა, როცა ინვესტორს აძალებდნენ კლუბის შენახვას.

**- ბატონო ზაზა, დღევანდელ პრესკონფერენციაზე თუ დაპატიჟეთ გურიის რეგიონული ფედერაციის წარმომადგენლები?**

- ვერ გეტყვით, კლუბის დირექტორს და პრესსამსახურს ჰკითხეთ.

**- რადგან დაპატიჟება-არდაპატიჟებაზეა საუბარი, გეტყვით - ამ პრესკონფერენციაზე ქვეყნის მთავარი სპორტული გამოცემა „ლელო" არ მოგიწვევიათ. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ამ გაზეთს წარმოვადგენ. უბრალოდ, ბოლო მომენტში გავიგე კოლეგებისგან...**

- მე გავაფრთხილე კლუბის წარმომადგენლები, რომ ყველა ჟურნალისტი დაეპატიჟებინათ...

იქვე, „გურიის" პრესსამსახურის უფროსმა **კესო მახარაძემ** თქვა - ვისაც მივწვდით, ყველა დავპატიჟეთო. კი, მაგრამ „ლელო" როდის აქეთაა მიუწვდომელი? თუ ვინმეს რეგიონულ კორესპონდენტთან აქვს პრობლემა, სათავო ოფისში მაინც შეიძლებოდა დარეკვა...

პრესკონფერენციის ბოლოს რომან პოკორა შევითანხმეთ, რომ ამ დღეებში ექსკლუზიურ ინტერვიუს მოგვცემს.

**მათე გურული**
ლანჩხუთიდან

***P.S. ჩვენ დავუკავშირდით დავით მახარაძეს, რომელმაც გვითხრა, რომ რომან პოკორასთან საუბრის შემდეგ სამწვრთნელო შტაბში რჩება.***

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოკითხვა

# რას ფიქრობენ ჟურნალისტები?



თემურ ქეცბაია

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ჟურნალისტების პოზიცია ყოველთვის ანგარიშგასაწევი იყო. მასმედიის აზრი და ამა თუ იმ საკითხისადმი დამოკიდებულება განსაკუთრებით იქ ფასობს, სადაც დალაგებული ქვეყანაა. რა დაიწერება ბეჭდვით თუ ელექტრონულ მედიაში, რა ითქმება ტელევიზიით თუ რადიოთი - ეს არის ერთ-ერთი ბოძი, რაზეც დგას სახელმწიფო და მისი საზოგადოება.

საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად თემურ ქეცბაია ისე დანიშნეს, მაშინდელმა ხელისუფლებამ აზრი არავის არ ჰკითხა. საქართველოს უპირველეს გუნდში ქეცბაიას საქმიანობის შეფასებისგან მეტწილად თავს იკავებენ ჩვენი სპეციალისტები, თუ ვინმე რამეს იტყვის, ძალიან დიპლომატიურად ან ქვეტექსტებით. ამიტომაც გადავწყვიტეთ, ჟურნალისტებისთვის მიგვემართა ერთადერთი კითხვით:

**მომდევნო შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრებს ისევ თემურ ქეცბაიამ უნდა უხელმძღვანელოს?**

გამოკითხულებს პასუხის არგუმენტებით დასაბუთებაც ვთხოვეთ. ქართულ ფეხბურთში მოსაქმე მედიელების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოვკითხეთ და ვფიქრობ, მათი პოზიცია არავისთვის უნდა იყოს ინტერესმოკლებული.

დავით **თავართქილაძე**

**მერაბ მამულაშვილი,** ლელო:

**- არა,** რადგან საქართველოს ნაკრებისა და ქეცბაიას „რომანი“ წარუმატებლად მთავრდება. სამწუხაროდ, ჩვენმა სახელოვანმა ფეხბურთელმა ნაკრებს გასაღები ვერ მოარგო.

**ილია ნანობაშვილი,** მსოფლიო სპორტი:

**- არა,** რადგან შედეგი გაუარესდა და ამავე დროს - თამაშის ხარისხიც. ამას ემატება კონფლიქტები ფეხბურთელებთან, რომელთა მოგვარება ვერა და ვერ ხერხდება, ეს კი მწვრთნელის პრეროგატივა უნდა იყოს.

**ლაშა თაბაგარი,** მსოფლიო სპორტი:

**- არა,** ვინაიდან ქეცბაიამ, ჩემი აზრით, ამოწურა თავისი შესაძლებლობები ამ ნაკრებში. რისი გაკეთებაც მან მოახერხა, ეს მისი მაქსიმუმი იყო. თუ ჩვენი მიზანი ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრაა, არა მგონია, რომ ეს ამ გუნდით, თამაშის ასეთი ხარისხით იყოს შესაძლებელი. საქართველოს ნაკრებისთვის ასეთი ძვირადღირებული მწვრთნელი დიდი ფუფუნებაა.

**დავით ერაძე,** რუსთავი 2:

**- კი,** რადგან რეალობიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატივას ვერ ვხედავ. ქეცბაიას ნაკრებს ჰქონდა დადებითიც, თუმცა უფრო მეტი იყო უარყოფითი - ჯგუფში დაკავებულ ადგილს და თამაშის ხარისხს ვგულისხმობ. ქეცბაია არის ადამიანი, ვისაც შეუძლია, ქართული საქმე აკეთოს. მას შეეძლო, უარი ეთქვა საქართველოს ნაკრების გაწვრთნაზე, მაგრამ, ჩემი აზრით, ქართველობის გამო დათანხმდა ამ შეთავაზებას. მისი მწვრთნელობის პერიოდს დაემთხვა კარგი ფეხბურთელების დეფიციტი. იმედია, ქეცბაია პირად წყენას დაივიწყებს და მოახერხებს ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელების შემორიგებასა და მობილიზებას.

**გია ტუხაშვილი,** ლელო:

- გარკვეული პრინციპული მოსაზრებების გამო, ასეთი ტიპის გამოკითხვაში არ ვმონაწილეობ.

**დავით მინაშვილი,** საზოგადოებრივი მაუწყებელი:

**- არა,** გამომდინარე გუნდის შედეგიდან და თამაშის ხარისხიდან.

**დიმიტრი ოგოლაძე,** რუსთავი 2:

- შედეგიდან გამომდინარე, **არა.** თანაც, ნაკრებში არის კომუნიკაციის პრობლემა. არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ეს ვისი ბრალია, მაგრამ ნაკრებში ჯანსაღი სიტუაცია არ არის.

**ლევან ჯანეზაშვილი,** ქრონიკა პლუსი, ათიანი:

**- არა,** რადგან ნაკრების თამაშის ხარისხი გუნდის უკეთესი მომავლის იმედს არ იძლევა. არ მაქვს იმის ილუზია, რომ სხვა მწვრთნელის ხელში საქართველოს ნაკრები სასწაულებს მოახდენს, მაგრამ ორი შესარჩევი ციკლის განმავლობაში გუნდი ასე რომ თამაშობს, ჯობია, მომდევნო შესარჩევში სხვა მწვრთნელმა სცადოს ბედი. და კიდევ, დიდხელფასიანი მწვრთნელი საქართველოს ნაკრებს არ სჭირდება.

**კობა ინასარიძე,** რაო-რაო:

**- არა,** ვინაიდან ორი შესარჩევი ეტაპი საკმარისი იყო იმისთვის, რომ ქეცბაიას საკუთარი პოტენციალი გამოემჟღავნებინა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე. ამას ემატება კონფლიქტი ფეხბურთელებთან. ბოლო შესარჩევში ნაკრები მხოლოდ 3 გოლს რომ გაიტანს, ის მწვრთნელი რატომ უნდა დარჩეს გუნდში?!

**ილია ბაბუნაშვილი,** ათიანი:

**- არა,** რადგან ნაკრების განვითარების შესაძლებლოებები აღარ არის, ქეცბაიამ ამოწურა საკუთარი თავი ამ ნაკრებში და ეს დაინახეს ფეხბურთელებმაც და ხალხმაც. უკვე გასაგებია, რაც არის ქეცბაია ნაკრების მწვრთნელად და ის სტილიც, რითაც ის ათამაშებს გუნდს. ქეცბაია ახალს ველარაფერს გააკეთებს ნაკრებში, გუნდს კი ხალისი სჭირდება, თუნდაც „ახალი ცოცხის“ პრინციპი.

**რატი შელეგია,** კვირის პალიტრა:

**- არა,** იმიტომ, რომ ქეცბაიას ხელში, გარდა ნაკრების გარკვეული პროგრესისა, არ იგრძნობა ის, რომ გუნდს მეტი შეუძლია. ქეცბაიას შემცვლელმა, შესაძლოა, ბევრად უკეთესი შედეგი ვერ აჩვენოს, თუმცა უკეთ გამოჩნდება, რა არის საქართველოს ნაკრების პრობლემა - მწვრთნელი თუ ფეხბურთელთა კონტინგენტი.

**ელენე ბილიხოძე,** საზოგადოებრივი რადიო:

**- არა,** რადგან საქართველოს ნაკრებში მან ამოწურა თავისი შესაძლებლობები და მისივე კარიერისთვის იქნება უკეთესი, თუ თვითონ დატოვებს ამ პოსტს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე,** ლელო:

**- არა** და ამის თქმის უფლებას, პირველ რიგში, მაძლევს ჩვენი ნაკრების შედეგი, მერე კი არასასურველი სიტუაცია გუნდში. ქეცბაიამ ჩვენი ნაკრებისთვის შეარჩია უინტერესო და უპერსპექტივო ფეხბურთი და ამ მიმართულებას არ ღალატობს შედარებით სუსტ მეტოქეებთანაც კი.

**ლევან სალუქვაძე,** GMG:

**- არა,** რადგან თვითონ მწვრთნელი ამბობს, მიზნის მისაღწევად საჭირო ფეხბურთელები არ მყავსო და რაღა მიზეზი უნდა იყოს, რომ ისევ ის დარჩეს გუნდის თავკაცად?! ქეცბაიას, როგორც ფეხბურთელსა და პიროვნებას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მხოლოდ ეს არ კმარა...

**პაატა გელაშვილი,** ლელო:

**- არა.** ის, რომ გუნდმა ბრძოლა ისწავლა, არ არის პატარა საქმე, თუმცა მარტო ეს ქეცბაიას სასარგებლო არგუმენტად ვერ გამოდგება. რა თქმა უნდა, ყველაფერი მისი ბრალი ვერ იქნება, მაგრამ ამ ყველაფერზეც მწვრთნელი აგებს პასუხს. ეს არის დაწერილი და დაუწერელი კანონიც. ჩვენ ვერ მოვთხოვდით მას, რომ ნაკრები ყოველ მიზეზგარეშე გაეყვანა ჯგუფიდან, მაგრამ უფლება გვაქვს, მოვთხოვოთ პროგრესი და... თუნდაც ის, რომ გუნდმა გოლები გაიტანოს. დაცვითი ფეხბურთის გარდა, ის არ ეძებდა ალტერნატიულ გზებს. ქეცბაია ყოველთვის ხელს იშვერს ფეხბურთელებისკენ. მესმის, რომ არ გვყავს გადასარევი თაობა, გნებავთ სპორტული, გნებავთ სხვა მონაცემებით, მაგრამ მწვრთნელმა ერთხელ მაინც უნდა თქვას, რომ თავადაც უშვებს შეცდომებს და ამ შეცდომებზე ხმამაღლა ილაპარაკოს.

**გია პლატონიშვილი,** საქართველოს რესპუბლიკა:

**- არა.** თავმოყვარე კაცი უფრო ადრე გადადგებოდა და გულშემატკივრებს ნერვებს არ მოუშლიდა. ვისურვებდი, რომ ქეცბაიამ, რა ავტორიტეტიც შეიქმნა ფეხბურთელობით, მწვრთნელობით წყალში არ გადაყაროს.

პირველი ლიგა



ალექსანდრე ამისულაშვილი

# კახეთში ფეხბურთი ბრუნდება

**სეზონის** დაწყების წინ ფეხბურთის გულშემატკივრებს შევპირდით, რომ „ლელო“ მაქსიმალურად შეეცდებოდა პირველი ლიგის გათამაშებისათვისაც ჯეროვანი ყურადღების დათმობას. რა თქმა უნდა, იმ „მასშტაბით“, როგორითაც უმაღლესი ლიგის გათამაშება შუქდება, პირველ ლიგას ვერ „გავწვდებით“; თუმცა, ასევე დაპირებისამებრ, მაქსიმალურად შევეცდებით, რომ ყოველ ტურში A ან B ზონის ერთი მატჩის რეპორტაჟიც შემოგთავაზოთ, დანარჩენი შეხვედრების შედეგებისა თუ გუნდების შემადგენლობების გაცნობაზე ლაპარაკიც ზედმეტია, ამას ხომ წლების განმავლობაში ვაკეთებთ.

აქვე, ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, პოპულარული ვებ-გვერდის soccerway.com-ის დიდი დამსახურებაც: პირველი ლიგის მატჩების ოქმებს სწორედ ამ საიტიდან ვიღებთ და იქ დასაქმებული ჩვენი ქართველი კოლეგების მიმართ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის!

...შეგახსენებთ, პირველი ლიგის გათამაშება ამ სეზონში ახლებური სისტემით ტარდება: 14-14 გუნდი A და B ზონაშია გადანაწილებული და ორ წრედ ასპარეზობს. ორივე ზონის ორ-ორი საუკეთესო გუნდი კი ჩემპიონატის დასრულების შემდეგ პლეი ოფში იასპარეზებს (რომელიც თბილისში უნდა ჩატარდეს) და ამ ერთწრიან ტურნირში პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები უმაღლესი ლიგის საგზურს მიიღებენ.

ამას გარდა, შეცვლილია დაქვეითების წესიც: ორივე ზონაში ბოლო სამ ადგილზე გასული გუნდები მომავალ სეზონში მეორე ლიგაში იასპარეზებენ. თუმცა, A ზონაში ეს საფრთხე სამის ნაცვლად ორ გუნდს დაემუქრება: ზედ გათამაშების სტარტის წინ, ფინანსური პრობლემების გამო I ლიგაში ასპარეზობაზე უარის თქმამ აჩაბეთის „ლიახვს“ მოუწია; ანუ, A ზონის XII და XIII ადგილებზე გასულ გუნდებს მოუწევთ რანგით ქვედა ლიგაში გადანაცვლება.

...ორივე ზონაში სამ-სამი ტურია ჩატარებული და, აქედან გამომდინარე, ჯერჯერობით ძნელია გუნდების ძალთა თანაფარდობის განსაზღვრა; თუმცა, გარკვეული კონტურები უკვე გამოიკვეთა: მაგალითად A ზონაში, როგორც ვივარაუდეთ, გამოკვეთილი ფავორიტის სტატუსს ფოთის „კოლხეთი“ ამართლებს; პლეი ოფის მეორე საგზურისათვის კი, სავარაუდოდ, „შუქურა“ და „გაგრა“ იბრძოლებენ; აქვე „ალგეთის“, „ჩხერიმელას“, „მეშახტესა“ და „საპოვნელას“ წარმატებული სტარტიც უნდა აღინიშნოს - ეს გუნდები ჯერჯერობით უდანაკარგოდ ასპარეზობენ.

გაცილებით ბევრად კონკურენტუნარიანი გარემოა შექმნილი B ზონაში; სადაც ასევე ერთი გამოკვეთილი ფავორიტის (ბათუმის „დინამო“) გარდა, პლეი ოფის საგზურისათვის ერთდროულად რამდენიმე გუნდს შეუძლია ბრძოლა: „სამტრედიას“, „ჭიათურას“, „სასკოს“.

აღარაფერს ვამბობთ პირველ ლიგაში ხანგრძლივი პაუზის მერე დაბრუნებულ ხელვაჩაურის „მაჭახელასა“ და ამ გათამაშების დებიუტანტ თბილისის „საბურთალოზე“, - პირველი ლიგის ამ ორივე ახალწვეულს სამი ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმი აქვს!

>> მე-4 გვერდზე



ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ლიგა

# კახეთში ფეხბურთი ბრუნდება



გივი ჩოხელის ძეგლი თელავში

მე-3 გვერდიდან

## ცნობადი სახეები და კახეთის დაბრუნება

პირველი ლიგის წლევანდელ გათამაშებაში არაერთი ისეთი გუნდია, უმაღლეს ლიგაში წლების განმავლობაში რომ ასპარეზობდნენ და გარკვეული წარმატებებისთვისაც მიუღწევიათ: ბათუმის „დინამო“, თბილისის „ლოკომოტივი“, „გაგრა“, ფოთის „კოლხეთი“, „სამტრედია“.

ისიც არახალი ამბავია, რომ, ფაქტობრივად, ყოველ გუნდში შეხვდებით უმაღლესლიგაგამოვლილ არაერთ ფეხბურთელს, რომელთაგან ოთხსაც სხვადასხვა დროს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში უთამაშია: 39 წლის **ამირან მუჯირი**, 37 წლის **სევასტი თოდუა** (ორივე - ბათუმის „დინამო“), 32 წლის **რევაზ გოცირიძე**, 33 წლის **ზურაბ მენთეშაშვილი** (ორივე - „საბურთალო“).

ამ მხრივ, გამოსარჩევი, რაღა თქმა უნდა, ზურაბ მენთეშაშვილია, რომელსაც საქართველოს ნაკრებში 40 მატჩი აქვს ჩატარებული! მოკლედ, წლევანდელი I ლიგის გათამაშება მართლაც საინტერესო ტურნირი უნდა გამოდგეს; თანაც, ბათუმის „დინამოს“, ფოთის „კოლხეთის“, „შუქურას“, „სამტრედიისა“ თუ „საბურთალოს“ გარდა, ახალ სეზონში კიდევ ერთი გუნდის ასპარეზობასაც ვერ ავუვლით გვერდს - გარკვეული პაუზის შემდეგ, პირველ ლიგაში კვლავაც იასპარეზებს კახეთის რეგიონის წარმომადგენელი!

რა თქმა უნდა, თელავის „კახეთს“ ამ სეზონშივე ვერავინ მოსთხოვს სერიოზული მიზნებისათვის ბრძოლას და, ფაქტობრივად, ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩამოყალიბებული გუნდის პროგრამა-მაქსიმუმიცა და პროგრამა-მინიმუმიც, პირველ ლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნება!

## ფეხბურთელებიც ჰყავდათ...

უკანასკნელი სამი სეზონის განმავლობაში პირველი ლიგის გათამაშება კახეთის რეგიონის გუნდების გარეშე მიმდინარეობდა; ანუ, ბოლოს ამ რეგიონის გუნდმა 2009/10 წლების სეზონში იასპარეზა და შედეგიც, ერთობ არასახარბიელო ჰქონდა: ლაგოდეხის „ჰერეთმა“ ბოლოსწინა ადგილი დაიკავა.

იმის წინა სეზონშიც მხოლოდ „ჰერეთი“ იყო კახეთის ერთადერთი წარმომადგენელი პირველ ლიგაში, არადა, დრო იყო, ამ რეგიონის ერთდროულად 7-8 გუნდი რომ ასპარეზობდა უმაღლეს, პირველ თუ რეგიონალურ ლიგებში. სამწუხაროდ, ბოლო წლებში კახეთში ფეხბურთი ყველას მიტოვებულ-დავიწყებული ჰქონდა და მხოლოდ და მხოლოდ მეორე ლიგაში თუ გამოჩნდებოდა იქაური გუნდი: შარშან და შარშანწინ „ლაგოდეხი“ ასპარეზობდა, 2010/11 წლების სეზონში კი ახმეტის „ერთობა“, ისიც მხოლოდ პირველი წრის განმავლობაში - მერე, უსახსრობის გამო ეს გუნდი დაიშალა და გათამაშებიდანაც მოიხსნა.

...კახეთის რეგიონს არაერთი ისეთი ფეხბურთელი აღუზრდია, შემდგომში საყოველთაოდ ცნობილი რომ გამხდარა; ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, **გივი ჩოხელის** გახსენებაც საკმარისი იქნება: წარმოშობით თელაველი ფეხბურთელი საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში 1960 ნელს ევროპის თასის მფლობელი (**ანუ, ევროპის ჩემპიონი - გ.ტ.**) გახდა!

გივი ჩოხელის გარდა, ამ რეგიონის სხვა წარმომადგენლებსაც უთამაშიათ საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში, ხოლო ქვემოთ ჩამოთვლილ ფეხბურთელებს სხვადასხვა დროს საქართველოს ნაკრების მაისურაც მოურგიათ: **როსტომ თორლაშვილს, სოსო გრიშიკაშვილს, ვასილ სეფაშვილს, ზურაბ ფოფხაძეს, სანდრო იაშვილს**; თელავის „კახეთში“ ასპარეზობისას გაიცნო ქართულმა საფეხბურთო სამყარომ **გიორგი დემეტრაძე**; დღევანდელ საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობაშიც არიან ამ რეგიონიდან წამოსული ფეხბურთელები: **ალექსანდრე ამისულაშვილი, ნიკა გელაშვილი** და **უჩა ლობჟანიძე**. რა თქმა უნდა, კიდევ ბევრის ჩამოთვლა შეიძლებოდა, თუგინდ, **ბადრი სპანდერაშვილის** - ეს ფეხბურთელი წლების განმავლობაში რუსულ კლუბებში ასპარეზობდა (მათ შორის - მოსკოვის „დინამოში“ **კახა ცხადაძესთან** და **ომარ თეთრაძესთან** ერთად);

ჰო, ალადაშვილების საფეხბურთო დინასტიაც როგორ უნდა დაგვავიწყდეს: **იასონ ალადაშვილი** ხომ ლამის ორი ათეული წლის განმავლობაში რუსთავის „მეტალურგის“ სიმბოლოდ მიიჩნეოდა. მოგვიანებით კი ამავე გუნდში თამაშობდნენ მისი ვაჟები - **კახა და ლაშა ალადაშვილები**!

არ არის გამორიცხული კი არა, დარწმუნებული ვართ, ბევრი ვინმე გამოგვრჩა კიდეც, თუმცა დღესდღეობით ხომ ისაა მთავარი, რომ ამ რეგიონში, ეტყობა, ფეხბურთი „გაახსენდათ“: „კახეთი“ პირველ ლიგაში გამოჩნდა, ხოლო მეორე ლიგის აღმოსავლეთ ზონაში, ასევე გარკვეული პაუზის მერე გურჯაანის „ალაზანი“ და ყვარლის „დურუჯი“ იასპარეზებენ!

## ნაფარეული, ჭაბუკიანი და სხვები

თელავის „კახეთს“ უმაღლეს ლიგაში 7 სეზონი აქვს ჩატარებული, გურჯაანის „ალაზანს“ - 4, ყვარლის „დურუჯს“ 2, წნორის „მილანს“ კი - 1; ამათ გარდა, სხვადასხვა დროს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველ თუ მეორე ლიგაში სხვადასხვა დროს ამ რეგიონის სხვა გუნდებსაც უასპარეზიათ: „ლაგოდეხს“, ლაგოდეხის „ჰერეთს“, ახმეტის „ბახტრიონს“, ახმეტის „ერთობას“, „საგარეჯოს“, საგარეჯოს „გარეჯს“, დედოფლისწყაროს „შირაქს“, სიღნაღის „ქიზიყს“, „ყვარელს“, თელავის „შავნაბადას“ - ყველა ეს გუნდი რაიონულ ცენტრს მაინც წარმოადგენდა.

თუმცა, 1990 წლიდან მოყოლებული საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველ, მეორე თუ ზონალურ ლიგებში არაერთ... სოფლის გუნდსაც შეხვდებოდით: „ვაზი“ (ვაზისუბანი), „შუამთა“ (ვარდისუბანი), „ფხოვი“ (სართიჭალა), „ქანაგკო“ (სართიჭალა), „ლარწყალი“ (ძველი ანაგა).

ორი სოფლის გუნდი კი ცალკე გვინდა აღვნიშნოთ: „ჭაბუკიანი“, თუ არ ვცდებით, 16-17 სეზონის განმავლობაში მონაწილეობდა საქართველოს ჩემპიონატში! თანაც, ლაგოდეხის რაიონის ამ სოფლის გუნდი (რომელსაც **რობერტ ბერუაშვილი** წვრთნიდა) პირველ ლიგაში მუდმივად სტაბილურად ასპარეზობდა. აღარაფერს ვამბობთ თელავის რაიონის სოფელ ნაფარეულის ამავე სახელწოდების მქონე გუნდზე: 90-იანი წლების დასაწყისში, როცა კახეთი კი არა, ლამის მთელი საქართველო იყო სალამოობით ჩაბნელებული, „ნაფარეული“ საშინაო მატჩებს... პროჟექტორების შუქზე ატარებდა!

თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ ის ორი-სამი სეზონი „ნაფარეულმა“... მეორე ლიგაში (ანუ, რანგით - მესამეში) გაატარა, თუმცა ამ გუნდის საშინაო მატჩებზე ტრიბუნებზე ხომ ცარიელ ადგილს ვერ ნახავდით და სალამოობით, პროჟექტორების შუქზე ჩატარებული შეხვედრები ხომ იქაურებისათვის საფეხბურთო დღესასწაულები იყო.

ამ ყველაფრის შემოქმედი კი ადგილობრივი ბიზნესმენი **მერაბ ხიდეშელი** გახლდათ, თუმცა როგორც კი ამ პიროვნებას „ზემოდან“ პრობლემები შეუქმნეს, „ნაფარეულიც“ დაიშალა და ამ გუნდის კოხტა სტადიონისგანაც (თავის პროჟექტორებიანად) აღარაფერი დარჩა..

**გია ტუხაშვილი**

***P.S.*** *უახლოეს მომავალში თელავის „კახეთზე“ ცალკე მასალას შემოგთავაზებთ. ჯერჯერობით კი მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ როსტომ თორლაშვილის ხელმძღვანელობით მოასპარეზე გუნდმა გასულ ტურში პირველი გამარჯვება მოიპოვა.*



ზურაბ მენთეშაშვილი

ბავშვთა ფეხბურთი

# მისახედია!

დიდუბეში, „იმედის“ სტადიონზე (მუშტაიდის ბაღში) ბავშვთა ტურნირი დასრულდა. საერთოდ, ბავშვების თამაშების ხილვა ჩვენი უმაღლესი ლიგის მატჩებზე დასწრებას რომ სჯობია, ამაზე ბევრი არ კამათობს და ვინც ამ ფინალს დაესწრო, კიდევ ერთხელ დარწმუნდებოდა: ნიჭიერი ბავშვების ალალი და გულიანი ბრძოლა, უზარმაზარი ემოციები და, რაც მთავარია - მონატრებული, ლაღი და ნამდვილი ფეხბურთი იყო.

„იმედის“ სტადიონი ბევრს ვერ იტევს, მაგრამ 1000-მდე მაყურებელი მაინც შეიკრიბა. იყო „პირველი მერცხალის“ მსგავსი გულშემატკივრული გამოხტომებიც, რომელიც ზღვარს არ გადასცილებია. მაგრამ თამაშსა და საფეხბურთო გარემოს გულგრილი არავინ დაუტოვებია.

ასეთი იყო 8-გუნდიანი „გიორგი ქინქლაძის თასის“ ფინალი, რომელიც 2002-



გიორგი ქინქლაძე

03 წელს დაბადებულ ბავშვებს შორის დიდუბის გამგეობის ორგანიზებით ჩატარდა. გადამწყვეტ შეხვედრაში „დიდუბე“ ვარკეთილის გუნდ „ფორვარდს“ დაუპირისპირდა. გამარჯვებული ძირითად დროში (1:1) ვერ გამოვლინდა, პენალტების სერიაში კი „ფორვარდმა“ 8:7 იმარჯვა. მესამე ადგილი „ავაზამ“ დაიკავა, რომელმაც ომც (ოლიმპიური მომზადების ცენტრი) ასევე პენალტების სერიაში დაამარცხა.

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი „დიდუბის“ ლიდერი **ნიკა მანჯგალაძე** გახდა, ხოლო ბომბარდირი - **ლევან ჯამასპიშვილი** (ომც-ს თავდამსხმელი). გიორგი ქინქლაძემ გამარჯვებულები თავად დააჯილდოვა.

ტურნირის ერთ-ერთი ინიციატორი - „დიდუბის“ მწვრთნელი, ყოფილი მეკარე **გივი ვაზაგაშვილი** გახლდათ, რომელიც „ნორჩ დინამოში“ **გიორგი ქინქლაძის, გიორგი ანჩაბაძისა და გიორგი ღუდუშაურის** თანაგუნდელი იყო.

*„ტურნირის იდეა დიდუბის გამგებლისგან მოდიოდა - ჩვენი უბანი საფეხბურთო ტრადიციებით გამოირჩეოდა და მივაჩნია, რომ ასეთი ტურნირებით ფეხბურთს ძველი პოპულარობა დაუბრუნდება. ფინალმა ეს დაადასტურა კიდეც. ყველაფერი სამი თვის წინ დაიწყო, როცა საფეხბურთო სკოლა „დიდუბე“ დავაფუძნეთ. ამჟამად, ბავშვებს სამტრედიის ქუჩაზე მდებარე მინი-მოედანზე ვავარჯიშებთ, მაგრამ სკოლის განვითარების სერიოზული გეგმებიც გვაქვს, გაფართოება და დიდი სტადიონი გვინდა. იმედია, „დიდუბე“ განვითარდება და უბანში ნიჭიერ მოთამაშეებს სწორ გზაზე დაყენებაში დავეხმარებით. რაც მთავარია, ბავშვები ჩვენთან ფულს არ იხდიან, რაც დღეს ძალიან ბევრს ნიშნავს. არადა, ამის გამო ბევრი ნიჭიერი ბავშვი დაიკარგა. სწორედ ამის ხარჯზე მოვახერხეთ მცირე დროში საკმაოდ საინტერესო მოთამაშეების მოზიდვა და კლუბის ჩამოყალიბება. ფინალში გავედით. მართალია, დავმარცხდით, მაგრამ ამ შედეგმა მაინც დამაიმედა - სამი თვის შექმნილი გუნდის ფინალში გასვლა პატარა შედეგი არ არის. თანაც, დიდუბე ტალანტებით მდიდარია, გიორგიც და კიდევ ბევრი გამორჩეული ფეხბურთელი დიდუბელი იყო და მჯერა, ნიჭიერ ბავშვებს მომავალშიც აუცილებლად გამოვაჩენთ“*, - გვითხრა ვაზაგაშვილმა.

ცხადია, ტურნირს თვალს თავად **გიორგი ქინქლაძეც** ადევნებდა, რომელსაც „ლელომ“ ორიოდ კითხვა დაუსვა:

**- ტურნირის მზადებაში მონაწილეობდით?**

- ეს მას შემდეგ მითხრეს, როცა მისი ჩატარება გადაწყვიტეს. გივი ვაზაგაშვილი ჩემი ბავშვობის მეგობარია, ერთ გუნდში ვთამაშობდით და ძალიან მიხარია, ასეთი საინტერესო ტურნირი რომ მოაწყო. მე თუ მკითხავთ, კარგი იქნება, რაც მეტი ასეთი შეჯიბრება ჩატარდება და არა - მხოლოდ ჩემი სახელობის. ხომ ნახეთ, რა კარგი ბავშვები გვყავს?

**- ბავშვები კარგი გვყავს, მაგრამ ჩვენს მოთამაშეებს ევროპასა და რუსეთ-უკრაინაში გაღწევა სულ უფრო უჭირთ...**

- აუცილებლად მისახედია ბავშვთა ფეხბურთი. დღევანდელ პირობებში მსოფლიო დონის ფეხბურთელებს ვერც გავზრდით. საამისოდ საჭიროა, კარგად გააზრებული და ჩამოყალიბებული სისტემა გვქონდეს. ეს თუ მოხერხდა, მერე ტალანტები აუცილებლად გაიზრდებიან. დღეს რასაც ვუყურე, რამდენიმე ძალიან ნიჭიერი ბავშვი თამაშობდა. მათ ხელი უნდა შევუწყოთ, გავზარდოთ და ინტერესიც გაჩნდება.

**მერაბ მამულაშვილი**

ამბები

## რატომ არ წაიყვანეს კობახიძე?

დღეს ევროპალიგის ჯგუფურ ეტაპზე პირველი ტურის მატჩები გაიმართება. აქ ჩვენთვის საინტერესოა დნეპროპეტროვსკის „დნიპროა“, რომლის შემადგენლობაშიც ეროვნული ნაკრების კაპიტანი **ჯაბა კანკავა** და **სანდრო კობახიძე** არიან, განსხვავებით **უჩა ლობჟანიძისგან**, რომელიც განაცხადში აღარ შეიყვანეს.

უკრაინელები დღეს რუმინულ „პანდურიის“ შეხვდებიან. დნეპროპეტროვსკელთა მთავარმა მწვრთნელმა **ხუანდე რამოსმა** რუმინეთში 21 ფეხბურთელი წაიყვანა, რომელთა შორისაც მხოლოდ ერთი ჩვენებური - კანკავა მოხვდა. მიზეზი „დნიპროს“ ოფიციალურმა ვებგვერდმა განმარტა - კობახიძე დნეპროპეტროვსკში დარჩა, რადგან საქართველოს ნაკრებში საფრანგეთსა და ფინეთთან მატჩების შემდეგ უკრაინაში ტრავმირებული დაუბრუნდაო.

## ვიბორგის ნაცვლად... ლოკომოტივში

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ყოფილი მეკარე **გაბრიელ თებიძე** აგვისტოს ბოლოს დანიაში რომ გაემგზავრა, უკვე ვწერდით. იყო შანსი, რომ თებიძე „ვიბორგში“ ჩაირიცხებოდა. სამწუხაროდ, ასე ვერ მოხდა და ახალგაზრდა კიპერი საქართველოში დაბრუნდა. როგორც გვითხრეს, თებიძემ მწვრთნელებს თავი კი მოაწონა, მაგრამ ბანალური პრობლემის გამო დაიწუნეს - ინგლისური არ იცის. მეკარე გუნდში საკვანძო ფიგურაა, რომელმაც გარკვეულ სიტუაციებში თანაგუნდელებს რაღაც უნდა უკარნახოს, საკომუნიკაციო ენის არცოდნის გამო კი, ეს შეუძლებელია.

ერთი ხანობა, თებიძე რუსთავის „მეტალურგში“, თამაშობდა, მერე საჩხერის „ჩიხურაში“ წავიდა, ხოლო ევროპის ჩემპიონატის შემდეგ **გუბაზ დოლიძესთან** „იბერია 2010-ში“ ვარჯიშობდა. ახლა კი, როგორც თავად გვითხრა, შესაძლოა, ჩაირიცხოს თბილისის „ლოკომოტივში“, რომელსაც 19-წლამდელთა ყოფილი მთავარი მწვრთნელი **გია ცეცაძე** წვრთნის.

**მერაბ მამულაშვილი**

უეფა

# ევრო 2016: შესარჩევი ეტაპის ახალი ფორმატი


მიშელ პლატინი

სხვადასხვა წყაროს ცნობით, თითქმის გადაწყვეტილია, თუ რა ფორმატით გაიმართება ევრო 2016-ის საკვალიფიკაციო ეტაპი. მოგეხსენებათ, პირველად კონტინენტის ჩემპიონატების ისტორიაში, ფინალური ეტაპის საგზურს 24 გუნდი მოიპოვებს. უეფას წევრი 54 ქვეყანა 9 ქვეჯგუფში თანაბრად გადანაწილდება. ტურნირის მასპინძელი ფრანგები, რომელთაც საგზური ავტომატურად ეკუთვნით, ერთ-ერთ ჯგუფში მოხვდებიან, სადაც მოუწევთ კიდეც ჩვეული წესით შინ და გარეთ მეტოქეებთან საქმის გარკვევა, თუმცა ისინი ე.წ. კონკურსგარეშე ითამაშებენ და საბოლოო ჯამში მათთან ალებული ქულები მეტოქეებს არ ჩაეთვლებათ. შეიძლება ითქვას, რომ „მამლებს" ნახევრად ამხანაგური მატჩების ჩატარება მოუწევთ. ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილებზე გასულები ჩემპიონატის 18 მონაწილეს გაარკვევენ. ევროპის ჩემპიონატზე თამაშს ავტომატურად გაინაღდებს ასევე საუკეთესო მესამეადგილოსანიც. დანარჩენები რვა გუნდი კი პლეი ოფში უძლიერესის სახელისთვის დაუპირისპირდება ერთმანეთს.

სისტემა პირადად უეფას პრეზიდენტმა **მიშელ პლატინიმ** შეიმუშავა და აღმასრულებელმა კომიტეტმა ხორვატიის ქალაქ დუბროვნიკში 19-20 სექტემბერს დაგეგმილ სხდომამდე მას მხარი დაუჭირა. კალათებში გუნდების გადანაწილების საკითხი ბრაზილია 2014-ის დასკვნითი შესარჩევი მატჩების დასრულების შემდეგ გაირკვევა. კენჭისყრა მომავალი წლის 23 თებერვალს საფრანგეთის ქალაქ ნიცაში შედგება.

ინტერვიუ. ლუიშ ნანი

# ნანი: დაივიწყეთ ნარსული

**„მანჩესტერ იუნაიტედიდან" ლუიშ ნანის წასვლაზე მთელი შარშანდელი სეზონის განმავლობაში წერდნენ. მიზეზი სერ ალექს ფერგიუსონსა და 26 წლის პორტუგალიელს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობების გარდა ფეხბურთელის მიერ კლუბისთვის წაყენებული მიუღებელი პირობები იყო. ნანი „იუნაიტედისგან" ხელფასის ლამის გაორმაგებას ითხოვდა, ეს მაშინ, როცა მის თამაშში პროგრესი არ შეინიშნებოდა. დევიდ მოიესის დანიშვნის შემდეგ სიტუაცია დალაგდა. რამდენიმე დღის წინ ნანიმ „ეშმაკებთან" თანამშრომლობა 2018 წლამდე გააგრძელა. ფეხბურთელმა ინტერვიუ „იუნაიტედის" ვებგვერდს მისცა, სადაც რამდენიმე საინტერესო თემაზე ისაუბრა. მასალას შემოკლებით გთავაზობთ.**


ნანის შარშან დაშვებული შეცდომების გამოსწორება განუზრახავს

**- როგორ გრძნობთ თავს მას მერე, რაც პორტუგალიის ნაკრებშიც ითამაშეთ და „იუნაიტედშიც"?**

- შესანიშნავად. ამ ეტაპზე უკვე ალარაფერი მაწუხებს და მაქსიმალურად კონცენტრირებული ვარ სამუშაოზე. ახალ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა ფანტასტიკური იყო. ერთი სიტყვით, მზად ვარ გუნდის დასახმარებლად.

**- როგორც ჩანს, ძალიან მოგბეზრდათ უსაქმოდ ჯდომა, რადგან პირველივე შეხვედრაში შვედეთის ნაკრებთან ზომაზე მეტად მონდომებული ჩანდით.**

- დიახ, მაქსიმალურად ვცდილობდი, ამ შეხვედრაში ბოლომდე დავხარჯულიყავი. ამ ეტაპზე თავს უფრო მეტად ვუფრთხილდები. არ მინდა, კიდევ ერთი პაუზა და რეგრესის გზაზე დადგომა. პარალელურად სულ უფრო მეტად ვგრძნობ, რომ გამძლეობა მემატება.

**- ახალი კონტრაქტი ნიშნავს, რომ „იუნაიტედში" კიდევ დიდი ხნით გეგმავთ დარჩენას.**

- მომავალზე სანერვიულო აღარ მაქვს, ასე რომ, შემიძლია მთელი ყურადღება მხოლოდ ფეხბურთზე გადავიტანო. თითოეული მოთამაშისთვის მნიშვნელოვანია, რომ სიმყარის შეგრძნება ჰქონდეს. იმედია, ასე უფრო დავეხმარები გუნდს ტიტულების მოპოვებაში. „იუნაიტედს" ჩემს მეორე სახლად მივიჩნევ, რადგან წლებია, რაც აქ ვთამაშობ. კარიერის საუკეთესო მონაკვეთი ამ კლუბში მაქვს გატარებული.

**- ისლა დაგრჩენიათ, საკლუბო ტურნირების გარდა მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის დასკვნითი მატჩებისთვისაც მოემზადოთ.**

- დიახ, სწორედ ამას ვაპირებ. მინდა, რომ რაც შეიძლება ბევრი ვითამაშო, რაც მთავარია, შევიდე ფორმაში და დავიბრუნო ადგილი ძირითადში. ჩემთვის ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია.

**- ჩემპიონთა ლიგაში „რეალთან" გაძევების შემდეგ ამ ტურნირში განსაკუთრებული მოტივაცია ხომ არ გექნებათ?**

- რა თქმა უნდა. მოტივაცია არც ერთი სეზონის წინ არ მაკლდა, თუმცა წელს შარშანდელი ინციდენტის გამო გამორჩეულად მონდომებული ვიქნები. მსაჯმა მაშინ ეპიზოდი არასწორად განსაჯა, თუმცა დროა, დავივიწყოთ ეს ყველაფერი და მხოლოდ დღევანდელი დღით გავაგრძელოთ ცხოვრება.

უკრაინის ნაკრები

# უკრაინა მკაცრად დაისჯება

6 სექტემბერს უკრაინის ნაკრების გულშემატკივარს მისი ეროვნული გუნდის თამაშის წყალობით ბედნიერებისთვის საფუძვლიანი მიზეზი ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ნაწილმა ტრიბუნებზე პიროტექნიკური საშუალებებით ცხოვრების გახალისება გადაწყვიტა და სულ დაავიწყდა, რომ უეფა მსგავს ნაბიჯებს არავის პატიობს. მასპინძლებმა 9:0 იმარჯვეს. ხულიგნები ყოველ გოლს ახალი ფეიერვერკით ხვდებოდნენ. ყველაზე მეტად ასეთ დროს დაზარალებული გუნდი გამოდის და არა გულშემატკივარი. ავტორიტეტული უკრაინელი ჟურნალისტის **არტემ ფრანკოვის** ცნობით, ევროპული ფეხბურთის მამები სწორედ ამის გაკეთებას აპირებენ. „ცისფერ-ყვითელთა" მდგომარეობას ამძიმებს ისიც, რომ უკრაინაში ეს პირველი შემთხვევა არ არის და სამწუხაროდ, არც იმის გარანტია არსებობს, რომ ეს ალარ განმეორდება. ჩვენი კოლეგა ვარაუდობს, რომ 11 ოქტომბერს ხარკოვში პოლონეთთან დანიშნული გადამწყვეტი შესარჩევი მატჩი ცარიელი ტრიბუნების წინ გაიმართება. საკითხის განხილვა უახლოეს დღეებში უეფას კონგრესზე იგეგმება. უმკაცრესი სანქციის დაწესების ალბათობა საკმაოდ დიდია. აი, რას აცხადებს უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელი **სერგეი სტოროჟენკო**: „ლვოვში ნამდვილი სკანდალი მოხდა. პიროტექნიკური საშუალებების გარდა ფანებმა არაერთი სხვა წესი დაარღვიეს, თუმცა გავრცელებული ხმები, რომ ტრიბუნებზე ფაშისტური სიმბოლიკიანი ბანერები იყო გამოფენილი, ტყუილია. მაყურებელი განსაკუთრებულად უარყოფითად ედმარს შეხვდა. ბურთზე თითოეულ შეხებას მისი შეურაცხყოფის კორიანტელი სდევდა. დარწმუნებული ვარ, რომ ამის გამო ძალიან ცუდ შედეგებს მოვიმკით. უეფას დელეგატებმა დავთრებში იმდენი რამ ჩაინიშნეს, რომ... ტრიბუნების მხოლოდ ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით თუ შემოიფარგლნენ, მადლობა გვექნება სათქმელი".

ამბები

## იუნაიტედის კიდევ ერთი რეკორდი

BBC-ის ცნობით, „მანჩესტერ იუნაიტედმა" 2012 წლის ივნისიდან მოყოლებული ერთი წლის განმავლობაში სარეკორდო შემოსავალი მიიღო. ლაპარაკია 363 მილიონ ფუნტზე, აქედან წმინდა მოგება 146 მილიონია. *„ვამაყობთ ნაჩვენები შედეგებით. ჩვენი კომერციული აქტივობა კლუბის განვითარების წინაპირობას ქმნის, რაც თავის მხრივ ფეხბურთელებს წარმატებულ ასპარეზობაში უწყობს ხელს,"* - განაცხადა კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა **ედ ვუდვორდმა**.

## ექვსი კვირა კოუტინიოს გარეშე


ფილიპე კოუტინიო

ორშაბათს „სუონსი"-„ლივერპულის" შეხვედრის მეორე ტაიმში მასპინძელთა 29 წლის კაპიტანმა **ეშლი უილიამსმა ფილიპე კოუტინიო** დაამტვრია. მართალია, ეს სათამაშო სიტუაციაში მოხდა, თუმცა გამეორებაზე აშკარად გამოჩნდა, რომ ბრაზილიელის ფინტის შემდეგ უელსელ მცველს გამოსავალი რომ აღარ დარჩა, მარცხენა ფეხი უშნოდ მოიქნია და მეტოქეს პირდაპირ საზარდულში უთავაზა. დაცემისას კი სამხრეთამერიკელმა მხარი დაიზიანა. მასპინძელი ფეხბურთელის მოქმედება აშკარად წინასწარ იყო გამიზნული. მთავარმა არბიტრმა **მაიკლ ოლივერმა** უილიამსს ყვითელი ბარათი აკმარა. 21 წლის მერსისაიდელი იძულებული გახდა, შეცვლა ეთხოვა. „ლივერპულის" სამედიცინო შტაბის ცნობით, ფეხბურთელს სრული რეაბილიტაციისთვის 5-6 კვირა დასჭირდება. წესით, კოუტინიომ ვარჯიში ოქტომბრის ბოლოს უნდა განაახლოს.

## აგენტი: ბორინი შეცდა

2012 წლის ზაფხულზე 21 წლის **ფაბიო ბორინიმ** „რომადან" „ლივერპულს" მიაშურა, სადაც მას ნაცნობი მწვრთნელი **ბრენდან როჯერსი** ელოდა. შეგახსენებთ, რომ „ჩელსის" აკადემიაში ფაბიოს სწორედ ჩრდილოირლანდიელი სპეციალისტი წვრთნიდა. მხოლოდ მწვრთნელის ნდობა საკმარისი არ აღმოჩნდა. ფეხბურთელმა სეზონის მიმდინარეობისას ორი სერიოზული ტრავმა მიიღო. თანაც, იანვარში გუნდში **დენიელ სტარიჯიც** გამოჩნდა. ასე აღმოჩნდა იტალიელი „ენფილდზე" ზედმეტი. ამ ზაფხულს „წითლებმა" ის ერთი წლით „სანდერლენდს" იჯარით დაუთმეს. *„მგონია, „რომაში" რომ დარჩენილიყო, ზდენეკ ზემანის გუნდს იდეალურად მოერგებოდა. თუმცა ბორინიმ გადაწყვეტილება მომენტალურად მიიღო. ისე, რომ „ჯალოროსის" დამრიგებელთან დალაპარაკების საშუალება არც გვქონია. დღემდე დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ იტალია იქნებოდა მისი კარიერული წინსვლისთვის საუკეთესო ვარიანტი. „ლივერპული" აშკარა შეცდომა იყო,"* - აცხადებს ფეხბურთელის წარმომადგენელი.

## ნაპოლი ვიტსელით დაინტერესდა


აქსელ ვიტსელი

„ნაპოლის" მთავარი მწვრთნელი **რაფა ბენიტესი** პეტერბურგის „ზენიტიდან" ბელგიის ნაკრების ცენტრალური ნახევარმცველის, 24 წლის **აქსელ ვიტსელის** გადაბირებით არის დაინტერესებული. რუსული გამოცემების ინფორმაციით, ესპანელი სპეციალისტი მზადაა, ფეხბურთელში 20 მილიონი ევრო გადაიხადოს. საფეხბურთო მიმომხილველებს ეჭვი ეპარებათ, ჩრდილოელები ამ თანხას დასჯერდნენ. ერთი წლის წინათ, 2012 წლის 3 სექტემბერს, „ბენფიკიდან" მისი გადაბირება ხომ 40 მილიონი დაჯდა. თუკი „ზენიტი" შეთავაზებაზე უარს იტყვის, ნეაპოლელები მზად არიან, ამჟამად „გრემიოში" იჯარით გაშვებული 23 წლის ჩილელი ნახევარმცველის **ედუარდო ვარგასის** სატრანსფერო უფლებებათა 50%-იც დათმონ.

## სესინიონმა მუშაობის უფლება მოიპოვა


სტეფან სესინიონი

29 წლის ბენინელი ნახევარმცველი **სტეფან სესინიონი** „სანდერლენდში" ორი სეზონის განმავლობაში თამაშობდა და სამართლიანად მიიჩნეოდა „შავი კატების" ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად. „სტედიუმ ოფ ლაითსზე" **პაოლო დი კანიოს** მისვლის შემდეგ იტალიელმა ის აითვალწუნა და ტრანსფერზე დააყენა. სტეფანი უმუშევარი დიდხანს არ დარჩენილა და „ვესტ ბრომვიჩს" 3-წლიან კონტრაქტზე შეუთანხმდა. „სანდერლენდმა" ფეხბურთლის სანაცვლოდ 6.1 მილიონი ფუნტი მიიღო. და აი, როგორც იქნა, ბრიტანეთის შრომის სამინისტრომ ფეხბურთელს ხელმეორედ მისცა სამუშაო ვიზა, რაც იმას ნიშნავს, რომ **სტივ კლარკს** განაცხადში მისი შეყვანის უფლება მიეცემა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ვარსკვლავი

# ევერტონში ჩელსისთვის

„ჩელსის" მთავარი მწვრთნელი **ჟოზე მოურინიო** ზაფხულში აცხადებდა, რომ მაქსიმალურად დიდხანს დააკვირდებოდა **რომელუ ლუკაკუს** და მხოლოდ ამის მერე გადაწყვეტდა, თუ სად გაატარებდა სეზონს 20 წლის ბელგიელი. სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს ფეხბურთელმა „ევერტონს" ერთწლიანი იჯარით მიაშურა. ტრანსფერის შემდეგ ჩემპიონატში მერსისაიდელთა პირველი მეტოქე სწორედ „ჩელსი" იყო, ვისთანაც თავდამსხმელმა კონტრაქტით შეთანხმებული პირობების გამო ვერ ითამაშა. ასე რომ, ლუკაკუ „გუდისონ პარკზე" დებიუტს ჯერ კიდევ ელოდება. ფეხბურთელმა ვიდეოინტერვიუ დასავლეთლონდონელთა ვებგვერდს მისცა, სადაც ახალ კლუბში მიღებულ პირველ შთაბეჭდილებებზე ილაპარაკა:

*„ევერტონი" ძლიერი გუნდია. აქ გატარებული ერთი წელიწადი ჩემი პროფესიული განვითარებისთვის დამატებითი შანსია, რათა ბოლოს და ბოლოს მოვახერხო იმ გუნდში დამკვიდრება, სადაც ასე ძალიან მინდა თამაში. „ჩელსისთან" შეხვედრაში გულშემატკივარი დარწმუნდა ჩვენს მონდომებაში. უმთავრესი, რაც აქ შეიძლება ვისწავლო, ეს არის გუნდთან ადაპტაციის უნარი და ის, რომ მეტოქის კართან ახლოს მყოფმა გადაწყვეტილება მომენტალურად უნდა მივიღო. აი, რატომ ვარ აქ. „ევერტონში" აუცილებლად მომეცემა იმ ცოდნის დახვეწის შესაძლებლობა, რომელიც შარშან „ვესტ ბრომვიჩში" ავითვისე".*



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. სამშაბათის მატჩების მიმოხილვა

# მოდი, ვნახოთ იუვე... ვინ გაქცურდა იუვე?

**ჩემპიონთა** ლიგის პირველი ტურის პირველმა დღემ თითქმის უსენსაციოდ ჩაიარა - ნება მოგვეცით, „კოპენჰაგენის" მიღწევას სენსაცია არ ვუწოდოთ, რადგან „იუვეს" ასეთები სჩვევია. დანიელებს სასწაულმოქმედი მეკარე ჰყოლიათ, რომელმაც, შესაძლოა, მთლიანად პირველი ტურის გმირის სტატუსსაც კი იმსახურებდეს.

## A ჯგუფი

### იუნაიტედი-ლევერკუზენი 4:2

**გოლები:** 1:0 რუნი (22), 1:1 როლფესი (54), 2:1 ვან პერსი (59), 3:1 რუნი (70), 4:1 ვალენსია (79), 4:2 თოფრაქი (88)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: უეინ რუნი** (მანჩესტერ იუნაიტედი)

„ლევერკუზენს" „ოლდ ტრაფორდზე" აკლიმატიზაციისთვის რამდენიმე წუთი დასჭირდა, მერე კი დალაგდა და გერმანელები უეინ რუნის პირველ გოლამდე თავს ძალიან კარგად იცავდნენ. „იუნაიტედი" ინტენსიურად უტევდა და ბურთის ფლობის მხრივაც დიდი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ „ბაიერის" კართან საგოლე მომენტი დიდხანს ვერ შექმნა. გერმანული გუნდი იშვიათად უტევდა, მაგრამ როცა ამას ახერხებდა, შეტევები ქაოსური გამოსდიოდა. **სამი ჰიიპიას** შეგირდები ბევრ არაზუსტ პასს აკეთებდნენ და **დე ხეას** კარს ვერ ემუქრებოდნენ.

რუნის გოლის შემდეგ მანკუნიანელებს ხელ-ფეხთან ერთად ტვინიც გაეხსნათ და მატჩზე სრული კონტროლი დაამყარეს. **ფელაინიმ** „იუნაიტედის" ძირითად შემადგენლობაში პირველად ითამაშა და შეიძლება ითქვას, რომ კარგად იასპარეზა - **კერიკთან** ერთად შუა ხაზში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. „ლევერკუზენის" გოლი ალოგიკური იყო, რადგან გერმანელებს მანამდე ერთი ხეირიანი მომენტიც კი არ ჰქონდათ შექმნილი. სამაგიეროდ, ლოგიკური იყო ის, რომ **როლფესის** გოლით გამოწვეული გერმანელების ეიფორია **ვან პერსიმ** ძალიან მალე, ბრწყინვალე გოლით ჩააცხრო. მიუხედავად იმისა, რომ მანკუნიანელებმა ამ გოლის შემდეგ ინტენსიური შეტევები შეწყვიტეს, საფინალო სასტვენამდე 20 წუთით ადრე რუნიმ **სპაჰიჩის** უპატიებელი შეცდომით ისარგებლა და მატჩის ბედი გადაწყვიტა. დარჩენილ დროში გუნდებმა კიდევ თითო გოლი გაცვალეს, რაც მხოლოდ სტატისტიკისთვის თუ იყო მნიშვნელოვანი.

გაცილებით მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო ის, რომ მატჩის შემდეგ ლევერკუზენელები მსაჯ **დამირ სკომინას** უჩიოდნენ. სლოვენიელმა მართლაც დაუშვა შეცდომები: რუნის გოლის დროს ვერ შეამჩნია, რომ **ვალენსია** თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა და ლევერკუზენელთა მეკარე **ბერნდ ლენოს** ხელს უშლიდა. მერე კი, ერთ ეპიზოდში **დონატიზე** ვან პერსისთან ორთაბრძოლისას აბსურდული ფოლი დააფიქსირა.

**დავიდ მოიესი** („მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი): *„სწორი და კარგი ფეხბურთი ვითამაშეთ, რისთვისაც ბიჭები მხოლოდ ქებას იმსახურებენ. მათ იცოდნენ, რა უნდა გაეკეთებინათ და ჩემი ყველა დავალება სრულყოფილად შეასრულეს."*

**რუდი ფიოლერი** („ლევერკუზენის" სპორტული დირექტორი): *„მსაჯი, რა თქმა უნდა, არ იყო ჩვენი წაგების ერთადერთი ან მთავარი მიზეზი, მაგრამ როცა ფავორიტთან თამაშის დროს არბიტრიც შენც წინააღმდეგ შეცდება, რისი იმედი უნდა გვქონდეს? მატჩის წინ სლოვენიელი მსაჯები სტადიონზე ფოტოებს ილებდნენ - გეკითხებით, სად არის პროფესიონალიზმი? სხვა საქმეა ის, რომ „მანჩესტერისთვის" სერიოზული პრობლემების შექმნა ვერ მოვახერხეთ. მოკლედ, ჩვენც ცუდად ვითამაშეთ და მსაჯმაც დაგვჩაგრა."*

### სოსიედადი-შახტარი 0:2

**გოლები:** 0:1 ტეიშეირა (65), 0:2 ტეიშეირა (87)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ალექს ტეიშეირა** (შახტარი)

სან სებასტიანში „რეალ სოსიედადის" ჩემპიონთა ლიგაში დაბრუნება 30 000-მა ფანმა იზეიმა, მაგრამ ბასკებმა პირველივე თამაში დათმეს. თავიდან „სოსიედადი" დომინირებდა, რადგან დონეცკელებმა თამაში, ცოტა არ იყოს, ნერვიულად დაიწყეს, მაგრამ ბასკებმა უპირატესობა ანგარიშში ვერ ასახეს, რადგან დამაგვირგვინებელ ფაზაში ეფექტიანობა აკლდათ. ცხადია, ეს „შახტარის" მთავარმა მწვრთნელმა **მირჩა ლუჩესკუმაც** იცნოსა და შეგირდებს მეორე ტაიმში გაცილებით აგრესიული ფეხბურთის თამაში და შეტევებში თამამად წასვლა დაავალა.

ამან შედეგი გამოიღო: **დარიო სრნას** ჩაწოდებისა და **დუგლას კოშტას** თვალსასეირო ტრიუკის შემდეგ, ალექს ტეიშეირამ 13 მეტრიდან დონეცკელთა პირველივე რეალური მომენტი გოლად აქცია. შესაბამისი შოკის გადატანის შემდეგ, „სოსიედადმა" „შახტარი" ისევ დაწნეხა და უნდა ვთქვათ, რომ ბასკები ანგარიშის გათანაბრებას ნამდვილად იმსახურებდნენ, მაგრამ წინ სიზუსტე აკლდათ, უკან კი ტეიშეირას ვერ იჭერდნენ. შედეგი: ბრაზილიელმა ბასკებს მეორეც გაუტანა და „სოსიედადს" პირველივე ტურში, საკუთარ მოედანზე მწარე მარცხი აგემა.

**ჩაბი პრიეტო** (რეალ სოსიედადი): *„პირველ ტაიმში „შახტარს" აშკარად ვჯობდით, მაგრამ გოლი ვერ გავიტანეთ, რისთვისაც მეორე ნახევარში დავისაჯეთ. ვიცოდით, რომ ურთულესი მატჩი გველოდა, მაგრამ გამოჩნდა, რომ ამ თამაშის მოგება შეგვეძლო."*

**მირჩა ლუჩესკუ** („შახტარის" მთავარი მწვრთნელი): *„ტაქტიკური თვალსაზრისით, ძალიან ჭკვიანურად ვითამაშეთ. ზედმიწევნით ზუსტად ვიცოდით, რა ფეხბურთს თამაშობს „რეალ სოსიედადი" და ბიჭებს ხშირად ვუმეორებდი, ბოლომდე მაქსიმალური კონცენტრაციითა და დისციპლინით ითამაშეთ-მეთქი. მიხარია, რომ ყურადღებით მომისმინეს."*

## B ჯგუფი

### გალათასარაი-რეალი 1:6

**გოლები:** 0:1 ისკო (33), 0:2 ბენზემა (55), 0:3 კ. რონალდო (63), 0:4 კ. რონალდო (66), 0:5 ბენზემა (82), 1:5 უმუთ ბულუთი (84), 1:6 კ. რონალდო (91)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: კრიშტიანო რონალდო** (რეალი)

„გალათასარაი" პატივსაცემი გუნდია, მაგრამ ის, რაც გუშინწინ „თურქტელეკომ-არენაზე" მოხდა, თურქული გრანდის ისტორიაში შავ ლაქად და უდიდეს სირცხვილად ჩაიწერება. მერე რა, რომ **ფათიჰ თერიმის** გუნდს მეტოქედ თვით მადრიდის „რეალი" ჰყავდა თავისი რონალდოთი და **ბეილით** - თერიმის განკარგულებაში საკმარისზე მეტი შესანიშნავი ფეხბურთელია იმისათვის, რომ „გალა" „რეალთან" ასე არ შერცხვენილიყო. შესაბამისად, ნუ გამოვრიცხავთ, რომ ახლო ან შორეულ მომავალში ამ მატჩის შესახებ კიდევ მოგვიხდეს წერა - იმედია, ხვდებით, რასაც ვგულისხმობთ...

როგორც იქნა, **იკერ კასილიასი** ისევ ძირითად შემადგენლობაში ვიხილეთ, მაგრამ ნახეთ მისი უიღბლობა: იკერისთვის თამაში მე-14 წუთზე დამთავრდა - თანაგუნდელ **სერხიო რამოსთან** შეჯახების შემდეგ კასილიასი შესაცვლელი გახდა. თუმცა იმ 14 წუთში იკერმა მაინც მოასწრო იმის დამტკიცება, რომ ჩამოსაწერი არაა: მე-3 წუთზე **ფელიპე მელოს** შორეული დარტყმა მოიგერია.

**ფათიჰ თერიმი** („გალათასარაის" მწვრთნელი): *„ასეთი მატჩის შემდეგ ბევრი ლაპარაკი არ ღირს, ფაქტი ისაა, რომ საშინლად ვითამაშეთ და შევრცხვით. თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ პირველ ტაიმში მადრიდელებს მხოლოდ ერთი მომენტი ჰქონდათ, ჩვენ კი - 3-4."*

**კარლო ანჩელოტი** („რეალის" მწვრთნელი): *„როცა რონალდო და ბენზემა კარგ ხასიათზე არიან, „რეალს" მოგება ყოველთვის უადვილდება. ეს ჩვენთვის შესანიშნავი გამარჯვებაა, რომელიც თავდაჯერებას შეგვმატებს."*

### კოპენჰაგენი-იუვენტუსი 1:1

**გოლები:** 1:0 იორგენსენი (14), 1:1 კვალიარელა (54)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: იოჰან ვილანდი** (კოპენჰაგენი)

შარშან „ნორდსიელანდი", წელს საშინელ ფორმაში მყოფი „კოპენჰაგენი" - „იუვენტუსს" უბრალოდ არ ეხერხება ასეთი თამაშების მოგება და დანიაც კოშმარად ექცა. **სტალე სოლბაკენის** გუნდს გაუმართლა, მე-14 წუთზე ანგარიში რომ გახსნა, ტურინელებს კი, უპირატესობას ჰქონდათ, საგოლე მომენტებიც და საკმარისი დროც (განსაკუთრებით **ფაბიო კვალიარელას** გოლის შემდეგ), მაგრამ ხან მიზანში ვერ ურტყამდნენ, ხანაც (უფრო სწორად, უმეტესად) კოპენჰაგენელთა მეკარე ვილანდი თამაშობდა ბრწყინვალედ.


იუვენტუსმა კოპენჰაგენს რომ ვერ მოუგო, ეს დანიელთა მეკარე იოჰან ვილანდის დამსახურებაა

**ტევესი** (მე-5 წუთზე), **პოგბა** (21), **ბონუჩი** (29), ისევ ტევესი (33-ე და 52-ე), **ლიხტშტაინერი** (59), **პირლო** (61), კვალიარელა (64), პოგბა (78) და ტევესი (93) - ეს „იუვეს" მიერ განიავებული მომენტების ავტორების ჩამონათვალია. ტურინულ გრანდს 16 კუთხური, 42 შეტევა და შვიდი რეალური საგოლე მომენტი არ ეყო იმისათვის, რომ კოპენჰაგენიდან სამი ქულა წაეღო.

**სტალე სოლბაკენი** („კოპენჰაგენის" მწვრთნელი): *„პირველ ტაიმში თითქმის სრულყოფილი ფეხბურთი ვაჩვენეთ, რადგან გოლის გარდა, ორი მომენტიც შევქმენით. ამაზე უკეთ თამაში „კოპენჰაგენს" ნამდვილად არ შეუძლია."*

**ფაბიო კვალიარელა** (იუვენტუსი): *„იმედგაცრუებულები ვართ. ძალიან ბევრი მომენტი ვერ გამოვიყენეთ და ორი უმნიშვნელოვანესი ქულა დავკარგეთ."*

## C ჯგუფი

### ოლიმპიაკოსი-პსჟ 1:4

**გოლები:** 0:1 კავანი (19), 1:1 ვაისი (23), 1:2 ტიაგო მოტა (69), 1:3 ტიაგო მოტა (72), 1:4 მარკინიოსი (86)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ტიაგო მოტა** (პსჟ)

მატჩის დასაწყისი პსჟ-ს კარგს არაფერს უქადდა - თამაში რამდენიმე წამის დაწყებული იყო, როცა **ვლადიმირ ვაისმა** შორიდან **სირიგუს** კარის ძელი მოიკითხა. „ოლიმპიაკოსი" მომდევნო წუთებშიც დომინირებდა და მე-15 წუთზე პარიზელები ისევ ძელმა (**ფუსტერის** დარტყმა) იხსნა. თუმცა პსჟ-მ პირველივე ხეირიანი შეტევისას კლასი გამოამჟღავნა და ანგარიში დაუმსახურებლად გახსნა. ბერძნები არ დაბნეულან, მონდომებით შეუტიეს და ვაისმა მალევე მოახერხა ანგარიშის გათანაბრება. თანაც, ბრწყინვალე გოლი გამოუვიდა: ფრანგული გრანდის ორი მცველი გააცურა, **ტიაგო სილვას** ბურთი ფეხებს-შუა გაუტარა და სირიგუს მოგერიების შანსი არ დაუტოვა.

როგორც ჩანს, **ლორან ბლანმა** თავის შეგირდებს შესვენებაზე დროული ლექცია წაუკითხა, რადგან მეორე ნახევარში სულ სხვა, გაცილებით უკეთესი პსჟ ვიხილეთ, რაც საგოლე მომენტებისა და გოლების რაოდენობაშიც აისახა.

### ბენფიკა-ანდერლეხტი 2:0

**გოლები:** 1:0 დურიჩიჩი (4), 2:0 ლუიზაო (30)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ლუიზაო** (ბენფიკა)

„ბენფიკამ" ფავორიტის სტატუსი პირველიდან ბოლო წუთამდე გაამართლა, სწრაფი გოლით დაწინაურდა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლისაბონელებმა „ანდერლეხტს" მთელი მატჩის განმავლობაში არაფერი გააბედინეს. დაცვის ბურჯ **ლუიზაოსთან** ერთად, რომელმაც გოლიც გაიტანა, ლისაბონელთაგან საუკეთესო იყო **ოსკარ კარდოსოც**.

## D ჯგუფი

### ბაიერნი-ცსკა 3:0

**გოლები:** 1:0 ალაბა (3), 2:0 მანჯუკიჩი (41), 3:0 რობენი (69)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: დავიდ ალაბა** (ბაიერნი)

ჩემპიონთა ლიგის მოქმედმა გამარჯვებულმა „ბაიერნმა" მოსკოვის ცსკა-ს პირველივე წუთებიდან აგრძნობინა, რომ საჩუქრების დარიგებას არ აპირებდა. მიუნხენელებმა მოსკოველებს აგრესიული პრესინგი შესთავაზეს და ცსკა პირველ ათ წუთში რეკორდმაისტერის ნახევარზე არც გადასულა. **ალაბა** და **რაფინია** ფლანგებზე შესანიშნავად მოქმედებდნენ და დროის უმეტესი ნაწილი შეტევებში გაატარეს, **რიბერი** და **რობენი** კი ხშირად ცვლიდნენ ფლანგებს.

მოსკოველთა იმედი კონტრიერიშები იყო, მაგრამ ცსკა-ს ამ მხრივაც არაფერი გამოსდიოდა - ვერც **მუსა** და ვერც **ჰონდა** წინ ვერაფერს ახერხებდნენ. „ბაიერნმა" მთელი მატჩის განმავლობაში იბატონა. **ხოსეპ გვარდიოლას** გუნდის ნაკლი მხოლოდ რამდენიმე არაზუსტი პასი იყო.

### პლზენი-სიტი 0:3

**გოლები:** 0:1 ჯეკო (48), 0:2 იაია ტურე (54), 0:3 აგუერო (57)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: იაია ტურე** (მანჩესტერ სიტი)

როგორც ჩანს, „მანჩესტერ სიტიმ" ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ ორჯერ ჩაფლავების შემდეგ შეცდომებზე ისწავლა, ან **მანუელ პელეგრინი რობერტო მანჩინიზე** გაცილებით უკეთესი სპეციალისტია. ყოველ შემთხვევაში, „სიტიმ" ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობა ამჯერად მსუყე გამარჯვებით დაიწყო და თანაც, პლზენის „ვიქტორიასთან" მოგებული მატჩის მთავარი გმირები ძველი ფეხბურთელები იყვნენ - **ჯეკო, აგუერო** და **ტურე**, რომელმაც ულამაზესი გოლი შეაგდო. ამ ჯგუფიდან გასვლა „სიტის" წესით, არ უნდა გაუჭირდეს.

**გოტფრიდ ლენცი**

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური

# შავი ღრუბლები მოურინიოს თავს

## რონალდოს ჰეთთრიკს, მესიმ ჰეთთრიკითვე უპასუხა



ლეო მესიმ ჰეთთრიკი შეასრულა

ჩემპიონთა ლიგის პირველმა ტურმა ყოველ სათამაშო დღეს თითო სენსაცია გვაჩუქა - თუმცა წუხანდელი უფრო ხმამაღალი იყო: „ბაზელმა" „სტემფორდ ბრიჯზე" **ჟოზე მოურინიოს** საოცარი წაუგებელი სერია შეწყვიტა და „ჩელსი" 2:1 დაამარცხა. ყველაზე საოცარი კი ისაა, რომ ჟოზე და კომპანია წინ იყო - **ოსკარის** გოლის წყალობით 71-ე წუთამდე იგებდა. შემდეგ კი ჯერ **სალამ** შემდეგ კი, **შტრელერმა** თავით გამარჯვება შვეიცარიულ კლუბს მოუტანეს, სენსაციური გამარჯვება!

კიდევ ერთი რამ ამსგავსებს ოთხშაბათის მატჩებს წინა დღისას - **კრიშტიანო რონალდოს** ჰეთთრიკს ჰეთთრიკით უპასუხა **ლეო მესიმ**, ხოლო არგენტინელის „ბარსელონამ" „აიაქსს" კუდით ქვა ასროლინდა, **ვიქტორ ვალდესმა** კი სტუმართა პენალტი მოიგერია.

იმარჯვეს ფავორიტებმა: „მილანმა", „ატლეტიკომ", „პორტუმ", „არსენალმა" და „შალკემ", თუმცა ფავორიტებმა ისე ვერ გაილაღეს, როგორც წინა დღით.

დაბოლოს, ტურის ცენტრალური მატჩისგან ალბათ მეტს ველოდით - არა, **რაფა ბენიტესის** „ნაპოლიმ" შესანიშნავად ითამაშა და 3 ქულაც დამსახურებულად მიითვალა, მაგრამ **იურგენ კლოპის** „დორტმუნდმა" სეზონში პირველად დაიჩოქა. ანგარიში **გონსალო იგუაინმა** გახსნა, ტაიმის მიწურულს კი საჯარიმოს გარეთ ხელით თამაშისთვის მეკარე **რომან ვაიდენფელერი** გააძევეს.

მეორე ტაიმში **ლორენცო ინსინიემ** ბრწყინვალე საჯარიმო დარტყმით იხეირა, თუმცა სტუმრებმა ერთი ბურთი გაქვითეს - 2:1.

### E ჯგუფი

#### შალკე-სტიაუა 3:0

**გოლები:** 1:0 უჩიდა (67), 2:0 კ. პ. ბოატენგი (78), 3:0 დრაქსლერი (85)

**შალკე** (4-2-3-1): ჰილდებრანდი - უჩიდა, ჰიოვედესი, მატიპი, აოგო - ჰიოგერი (88. გორეტცკა), ნოიშტედტერი - ფარფანი (89. კლემენსი), კ. პ. ბოატენგი, დრაქსლერი - სალაი (82. ფუხსი)

**სტიაუა** (4-2-3-1): ტატარუშანუ - გეორგიევსკი, შუკალა, გარდოში, ლატოვლევიჩი - პინტილი, ბურჩეანუ - ა. პოპა, სტანჩუ (60. ლეანდრო ტატუ - 73. ა. კრისტეა), ტანასე - კაპეტანოსი (64. პიოვაკარი)

**გაფრთხილება:** ჰიოგერი - ბურჩეანუ, ა. პოპა, ა. კრისტეა

**კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 11-17; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 13-9 (8-5); **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 49358

#### ჩელსი-ბაზელი 1:2

**გოლები:** 1:0 ოსკარი (45), 1:1 მოჰამედ სალაჰი (71), 1:2 შტრელერი (81)

**ჩელსი** (4-2-3-1): ჩეხი - ივანოვიჩი, კეჰილი, დავიდ ლუისი, ე. კოული - ვან გინკელი (76. ობი მიკელი), ლამპარდი (76. ბა) - ვილიანი (67. მატა), ოსკარი, აზარი - ეტოო

**ბაზელი** (4-4-2): ზომერი - ფოსერი, შერი, ი. ივანოვი, საფარი - მოჰამედ სალაჰი (82. ტ. ჯაკა), მ. დიასი, ფ. ფრაი, შტოკერი (82. აიეტი) - სიო (65. მ. დელგადო), შტრელერი

**გაფრთხილება:** ვან გინკელი - მ. დიასი

**კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 11-13; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 12-7 (5-5); **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 40358

**მომდევნო ტური:**

**1 ოქტომბერი:**

ბაზელი-შალკე
სტიაუა-ჩელსი

### F ჯგუფი

#### მარსელი-არსენალი 1:2

**გოლები:** 0:1 უოლკოტი (65), 0:2 რემსი (84), 1:2 ჯ. აიუ (90-პენ)

**მარსელი** (4-2-3-1): მანდანდა - ფანი, ნკულუ, ლუკას მენდეში, მორელი - რომაო, იმბულა (80. ტოვენი) - პაიე (73. ჯ. აიუ), ვალბუენა (90. ხელიფა), ა. აიუ - ჟინიაკი

**არსენალი** (4-2-3-1): შჩესნი - სანია, კოშიელნი, მერტეზაკერი, გიბსი - ფლამინი (90. მიაიჩი), რემსი - უოლკოტი (78. ნაჩო მონრეალი), უილშირი, იოზილი - ჟირუ

**გაფრთხილება:** ნკულუ - რემსი

**კუთხური:** 7-5; **ჯარიმა:** 10-9; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 17-10 (9-7); **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 38380

#### ნაპოლი-დორტმუნდი 2:1

**გოლები:** 1:0 იგუაინი (29), 2:0 ინსინიე (67), 2:1 სუნიგა (87-საკ. კარში)

**ნაპოლი** (4-2-3-1): რეინა - მაჯო, ალბიოლი, ბრიტოსი, სუნიგა - ბეჰრამი, ინლერი - კალეხონი, ჰამშიკი (90. მესტო), ინსინიე (73. მერტენსი) - იგუაინი (78. პანდევი)

**დორტმუნდი** (4-2-3-1): ვაიდენფელერი - გროსკროიტცი, ჰუმელსი (45. ობამეიანგი), სუბოტიჩი, შმელცერი - შაჰინი, ს. ბენდერი - ბლაშჩიკოვსკი (45. ლანგერაკი), მხითარიანი (76. ი. ჰოფმანი), როისი - ლევანდოვსკი

**გაფრთხილება:** ბეჰრამი, ბრიტოსი, ინსინიე - შმელცერი

**გაძევება:** ვაიდენფელერი (45. დორტმუნდი)

**კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 13-15; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 14-13 (9-8); **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 55766

**მომდევნო ტური**

**1 ოქტომბერი:**

დორტმუნდი-მარსელი,
არსენალი-ნაპოლი

### G ჯგუფი

#### აუსტრია-პორტუ 0:1

**გოლი:** 0:1 ლუჩო გონსალესი (56)

**აუსტრია** (4-1-2-2-1): ლინდნერი - კოხი, როგული, ორტლეხნერი, ზუტნერი - ჰოლანდი (85, ოკოტიე) - სტანკოვიჩი, მადერი - როიერი, ჟუნი (69. სიმკოვიჩი) - ჰოსინერი (85. კიენასტი).

**პორტუ** (4-3-3): ელტონი - ალექს სანდრო, მანგალა, ოტამენდი, დანილო - ჟოსუე, ლუჩო გონსალესი (88. კვინტერო), ფერნანდო - ლიკა (68. იზმაილოვი), ჯეკსონ მარტინესი, ვარელა (79. ერერა).

**გაფრთხილება:** კოხი, ჰოსინერი - ალექს სანდრო, ვარელა

**მაყურებელი:** 30 000

#### ატლეტიკო-ზენიტი 3:1

**გოლები:** 1:0 მირანდა (39), 1:1 ჰალკი (59), 2:1 არდა თურანი (64), 3:1 ბაპტისტაო (82)

**ატლეტიკო** (4-2-2-2): კურტუა - ხუანფრანი, მირანდა, გოდინი, ფილიპე - მარიო სუარესი, გაბი - კოკე (89, კ. როდრიგესი), არდა თურანი (88. რაულ გარსია) - ადრიანი (79. ბაპტიშტაო), ვილია.

**ზენიტი** (3-4-3): ლოდიგინი - ლომბერტსი, ნეტო (46. შატოვი), ჰუბოკანი - სმოლნიკოვი, ზირიანოვი (76. არშავინი), ვიტსელი, ანსალდი - ჰალკი (86. ბისტროვი), კერჟაკოვი, დანი.

**გაფრთხილება:** გოდინი - ლომბერტსი, ჰუბოკანი, ჰალკი

**მაყურებელი:** 50 000

**მომდევნო ტური**

**1 ოქტომბერი**

ზენიტი-აუსტრია
პორტუ-ატლეტიკო

### H ჯგუფი

#### ბარსელონა-აიაქსი 4:0

**გოლები:** 1:0 მესი (22), 2:0 მესი (55), 3:0 პიკე (69), 4:0 მესი (75)

**ბარსელონა** (4-3-3): ვიქტორ ვალდესი - დანი ალვეში, პიკე (80. ბარტრა), მასკერანო, ადრიანო - ფაბრეგასი (72. ჩავი), ბუსკეტსი, ინიესტა - სანჩესი, მესი, ნეიმარი (72. პედრო).

**აიაქსი** (4-1-2-3): ვერმეერი - ვან რინი, დენსვილი, მოისანდერი (73. ვან დერ ჰოორნი), ბლინდი (78. შიონე) - კ. პოულსენი - ს. დე იონგი (59. სერერო), დუარტე - ბოიანი, სიგტორსონი, ბოილესენი.

*77-ე წუთზე სიგტორსონმა (აიაქსი) ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გაფრთხილება:** მოისანდერი, დენსვილი

**მაყურებელი:** 95 000

#### მილანი-სელტიკი 2:0

**გოლები:** 1:0 საპატა (82), 2:0 მუნტარი (86)

**მილანი** (4-1-2-1-2): აბიატი - ძაკარდო, საპატა, მექსე, კონსტანტი (75. რობინიო) - ნ. დე იონგი - მუნტარი, ნოჩერინო - ბირსა (63. ემანუელსონი) - მატრი (87. პოლი), ბალოტელი.

**სელტიკი** (4-4-2): ფორსტერი - ვან დიკი, ლუსტიგი, ამბროუზი, ისაგირე - ს. ბრაუნი, მატიუზი (75. ბოერიგტერი), მულგრიუ (89. ბიტონი), კომონსი (77. პუკი) - ა. სტოუკსი, სამარასი.

**გაფრთხილება:** ამბროუზი, მულგრიუ, ს. ბრაუნი

**მაყურებელი:** 43 000

**მომდევნო ტური**

**1 ოქტომბერი**

აიაქსი-მილანი
სელტიკი-ბარსელონა



ჩელსი-ბაზელი 1:2

ბარსელონა

# ჩვენ გუნდი ვართ, რეალი – ბანკი

„გაძეტა დელო სპორტთან" საუბრისას, „ბარსელონას" ცენტრალურმა მცველმა **ჟერარდ პიკემ** მადრიდის „რეალის" სატრანსფერო პოლიტიკა გააკრიტიკა და „სამეფო კლუბი" ფინანსურ ინსტიტუტს შეადარა.

*„სადღაც წავიკითხე, რომ 2002 წლის შემდეგ „რეალმა" ფეხბურთელებში 1,2 მილიარდი ევრო დახარჯა. ფულს „ბარსელონაც" ხარჯავს, მაგრამ ჩვენ საფეხბურთო კლუბი ვართ და არა ბანკი,"* - განაცხადა პიკემ.

შეგახსენებთ, რომ თავად 26 წლის მცველიც „ბარსელონას" აღზრდილია, თუმცა ის ახალგაზრდულ ასაკში „მანჩესტერ იუნაიტედში" წავიდა, საიდანაც კატალონიელებმა 2008 წელს 3 მილიონ ევროდ გამოისყიდეს.

ისევ პიკე: *„ჩვენ გვყავს მესი, ჩავი, ინიესტა, პუიოლი, ვალდესი, ბუსკეტსი, პედრო - ფეხბურთელთა მთელი თაობა, რომელშიც კლუბს ერთი ცენტიც არ გადაუხდია. კი, ჩვენ ვიყიდეთ იბრა, ვილია და ნეიმარი, მაგრამ მსგავს ფეხბურთელებს „ბარსა" წელიწადში ერთს ყიდულობს. ჩვენ მათსავით არ ვიქცევით - „რეალმა" შარშან ვერაფერი მოიგო და ზაფხულში ბეილი, ილიარამენდი და ისკო შეიძინა".*

სატრანსფერო პოლიტიკის გარდა, ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელმა, **ტიტო ვილანოვას** და **ერიკ აბიდალის** ავადმყოფობით შექმნილ სიტუაციაზე და „ბარსელონას" შარშანდელ სეზონზე ისაუბრა: *„ჩვენ ადამიანები ვართ და არა რობოტები. რა თქმა უნდა, ტიტოს და ერიკის ავადმყოფობამ ჩვენზე ძალიან იმოქმედა, რაც მინდორზე და თამაშზეც აისახა. მიუხედავად ამისა, ესპანეთის ჩემპიონატი მაინც მოვიგეთ. „ბარსელონა" მსოფლიოში ერთადერთი გუნდია, რომელსაც ქვეყნის პირველობაზე „რეალის" 15 ქულით ჩამოტოვება მწვრთნელის გარეშე შეუძლია."*

ტრავმა



ესტებან გრანერო მოედნიდან გაჰყავთ

# გრანერო ნახევარი წლით

დონეცკის „შახტართან" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველ შეხვედრაში სან სებასტიან „რეალ სოსიედადმა" არა მხოლოდ სამი ქულა, არამედ გუნდის ერთ-ერთი ლიდერიც დაკარგა. ესტებან გრანერომ, რომელიც 82-ე წუთზე ცვლილებაზე გამოვიდა, რამდენიმე წუთში ტრავმა მიიღო და მოედანი დატოვა. როგორც გაირკვა, მადრიდის „რეალის" ყოფილმა ფეხბურთელმა მუხლი დაიზიანა, რის გამოც საკუთარ კლუბს ხანგრძლივი დროით ვერ დაეხმარება.

*„ყველაფერს სამედიცინო შემოწმება დაადგენს, თუმცა იმის თქმა ახლავე შემიძლია, რომ მას რამდენიმე თვით დავკარგავთ,"* - განაცხადა „სოსიედადის" მთავარმა მწვრთნელმა იაგობამ.

შეგახსენებთ, რომ 26 წლის გრანერომ წინა სეზონი „ქუინზ პარკ რეინჯერსში" გაატარა, საიდანაც ბასკურ გუნდში იჯარით გადავიდა.

*P.S. გუშინ გვიან ჩატარებულმა სამედიცინო გამოკვლევამ დაადგინა, რომ გრანერომ ჯვარედინი მყესებიც გაიწყვიტა, რის გამოც ფეხბურთელი მინიმუმ 6 თვეს გამოტოვებს.*

**ტატო ბაციკაძე**

ამბები

## ტაუსენდი: მადლობა ქუინზ პარკს

„ტოტენჰემის" 22 წლის განაპირა ნახევარმცველი **ანდროს ტაუსენდი** მიიჩნევს, რომ 2013 წლის იანვარში „ქუინზ პარკში" 5-თვიანმა იჯარამ და **ჰარი რედნაპთან** მუშაობამ მას კარიერაში უზარმაზარი ნახტომის საშუალება მისცა. *„დრო, რომელიც „ლოფტუს როუდზე" გავატარე, ჩემთვის უმნიშვნელოვანესი გამოდგა. ვფიქრობ, პირველად სწორედ იქ მოვახერხე იმის დამტკიცება, რომ მაღალ დონეზე თამაში შემიძლია. საკუთარი ძალების იქამდეც მწამდა, მაგრამ მარტო რწმენას რა ძალა აქვს, თუკი ეს რეალურად არ დაამტკიცე,"* - დაასკვნა ფეხბურთელმა, ვინც ამ ზაფხულს **როი ჰოჯსონისგან** ინგლისის ნაკრებში მიწვევაც კი დაიმსახურა.

## ლიდსიდან ნიუკასლში

„ნიუკასლი" „ლიდსიდან" 20 წლის ინგლისელი მარჯვენა მცველის **სემ ბაირამის** შეძენით დაინტერესდა. მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთელი თვეზე მეტია, ნატკენ ბარძაყს მკურნალობს, „კაჭკაჭები" იორკშირელებთან მოლაპარაკებებისთვის მაინც ემზადებიან. **ალან პარდიუ** პერსპექტიულ ფეხბურთელს **მატიო დებუშის** შემცვლელად განიხილავს. 28 წლის ფრანგის წასვლის შემთხვევაში კი მას ძირითადში თამაშის შანსიც მიეცემა. ზოგიერთი წყაროს ცნობით, „ლიდსი" მზად არის, 2012/13 წლების სეზონის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებული მცველი 6 მილიონ ფუნტად დათმოს.

**ლევან ბიბილაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

● იტალია. სერია A III ტურის შეჯამება

# ახალი დამრტყმელი ძალა

**სერია A-ს დაწყებიდან ჯერ მხოლოდ სამი ტურია გასული და ცხადია, ეს პერიოდი სერიოზული დასკვნების გაკეთების საშუალებას არ გვაძლევს. ჯერჯერობით, არ შეიძლება იმის თქმა, რომ ამა თუ იმ გუნდმა მოლოდინი გაამართლა, ან მასზე გაცემული ავანსები ქარს გაატანა. თუმცა III ტური იმის საშუალებას მაინც გვაძლევს, ვთქვათ, რომ „ნაპოლი" და „რომა" არათუ დიდ თავსატეხს გაუჩენენ სკუდეტოსთვის მებრძოლთ, არამედ, დიდი ალბათობით, თავადაც იქნებიან ამ ბრძოლის ავანგარდში...**

**ინტერი-იუვენტუსი 1:1**

გასული ტურის მთავარი მატჩი „ინტერი"-"იუვენტუსი" იყო. დიდი ხანია, „სან სიროზე" ანშლაგი არ ყოფილა. თქვენ წარმოიდგინეთ, ბოლო ხანებში „იტალიურ დერბისაც" მოაკლდა პუბლიკის ყურადღება. ახლა, **ვალტერ მაძარი** ახალ „ინტერს" აშენებს და პირველ ორ ტურში გამოჩნდა, რომ „ნერაძურის" ფანების ოპტიმიზმს ნამდვილად აქვს საფუძველი. „ინტერი" არც ისე შორს იყო გამარჯვებისგან, მაგრამ **ანტონიო კონტეს**, რომელიც ამ დღეს „იუვეს" მწვრთნელის რანგში მე-100 მატჩს ატარებდა, მხსნელად **არტურო ვიდალი** მოევლინა.

**ტორინო-მილანი 2:2**

„მილანს" კიდევ ერთხელ გაუჭირდა გასვლით მატჩში. პირველი ტური იყო და, ლიგაში ახლადაღზევებულ „ვერონასთან" დამარცხდა, ახლა კიდევ „ტორინოსთან" წაგებას 95-ე(!) წუთზე გადაურჩა. **მარიო ბალოტელიმ** კი კიდევ ერთი 11-მეტრიანი გაიტანა და 100-პროცენტიანი რეალიზაციით სანიმუშო პენალტისტის სტატუსი შეინარჩუნა.

**ფიორენტინა-კალიარი 1:1**

„ფიორენტინას" ქომაგმა პატარა შოკი მიიღო - **ვინჩენცო მონტელას** გუნდი საკუთარ მოედანზე „კალიარის" ვერ გაუმკლავდა - 1:1. „იების" თავკაცი მოედანზეც ბევრს შფოთავდა და მერეც - ნამატჩევს, არბიტრ **ემილიანო გალიონის** მიმართ რისხვა ვერ დამალა.

მონტელა, რომელიც ტრადიციულად მსაჯებს არ აკრიტიკებს, ამჯერად უზომოდ აღშფოთებული იყო, მეტადრე, მატჩის ბოლო ეპიზოდით, როცა სარდინიელთა საჯარიმოში **ჯუზეპე როსი** წააქციეს. პენალტი არ არის! - ბრძანა არბიტრმა და მალე თამაშიც დაასრულა.

მოკლედ, „ფიორენტინამ" პირველი ქულები დაკარგა. ამას გარდა, ტრავმები მიიღეს **მარიო გომესმა** და **ხუან კუადრადომ**. ჩილელ პლეიმეიქერ **დავიდ პისაროს** კი, რომელმაც თამაშის მიწურულს მსაჯის შეურაცხყოფისთვის წითელი ბარათი იხილა, ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს.

**პარმა-რომა 1:3**

**რუდი გარსიამ** „რომა" თავისებურად გადააწყო. ახალი სისხლი და უბერებელი **ფრანჩესკო ტოტი** - რეცეპტი თითქოს ნაპოვნია. ეს „რომა" მეტი დისციპლინითა და ბრძოლის უნარითაა აღჭურვილი. „პარმას" კი პოტენციალი ჯერ კიდევ დასამტკიცებელი აქვს. თავდასხმაში **კასანო-ამაურის** დუეტი პატარა ამბავი როდია. შარშანაც, **რობერტო დონადონის** გუნდი სადღაც შუა სეზონში ათამაშდა. ალბათ, ახლაც ასე იქნება.

**ნაპოლი-ატალანტა 2:0**

„ნაპოლიში" **რაფა ბენიტესის** დანიშვნას ბევრმა სკეპტიკურად შეხედა, მაგრამ ისე ჩანს, **აურელიო დე ლაურენტისს** არც ამჯერად უმტყუნა ალღომ. ყოველ შემთხვევაში, ბენიტესისეულ „ნაპოლის" ჯერჯერობით არაფერი დაეწუნება - 3 მატჩი, 3 გამარჯვება და საშუალოდ 3 გოლი მატჩში!

საინტერესოა, რომ „დორტმუნდთან" საჩემპიონთალიგო დაპირისპირების წინ ბენიტესმა თამამად მიმართა როტაციას და თვით **მარეკ ჰამშიკიც** მეორე ტაიმიდან ჩართო თამაშში. მატჩმა აჩვენა, რომ ამ სეზონში ნეაპოლელებს რესურსებიც მეტი აქვთ.

მშვენივრად შეეწყვნენ გუნდს „რეალიდან" მოსული **ხოსე მარია კალიეხონი** და **გონსალო იგუაინი**. ეს ბიჭები და პლუს ჰამშიკი - ესეც „ნაპოლის" ახალი დამრტყმელი ტრიო!

**ვერონა-სასუოლო 2:0**

ანგარიშს რომ შეხედავთ, შეიძლება იფიქროთ, თითქოს „ვერონამ" წყნარად და უპრობლემოდ მოიგო. მაგრამ კაცმა არ იცის, როგორ დასრულდებოდა მატჩი, „სასუოლოს" უამრავი საგოლე მომენტიდან ერთი მაინც რომ გამოეყენებინა.

**სამპდორია-ჯენოა 0:3**

„სამპდორიას" გასულ სეზონშიც უჭირდა, მაგრამ გენუური დერბი მაინც მოიგო (3:1, მაშინ ეს პირველი გამარჯვება იყო), ახლა ამის შნოც აღარ არ აქვს. გოლის გამტანი ვინც ჰყავდა (**მაურო იკარდი**), ისიც „ინტერს" მიჰყიდა. ამის შედეგია ის, რომ „სამპდორიამ" მხოლოდ მატჩის უკანასკნელ წუთზე შეაწუხა მეტოქის მეკარე **მატია პერინი**. ამუკანასკნელის კოლეგა **ჟუნიორ და კოშტამ** კი სამივე ასაღები ბურთი გაუშვა. თუმცა, ამის მიუხედავადაც, „ჯენოა" უკეთესი გუნდია და ეს მარტო შედეგით არ გამოიხატება.



გონსალო იგუაინი და ხოსე მარია კალიეხონი

**ლაციო-კიევო 3:0**

პრაქტიკამ აჩვენა, რომ „კიევოს" მწვრთნელ **ჯუზეპე სანინოს** საიმედო დაცვის დაყენება ეხერხება. ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე იყო, თუმცა ამ სეზონში „მფრინავ ვირებს" ვერ აქვთ საქმე კარგად - 3 მატჩში 7 გოლი გაუშვეს. „კიევოს" კოზირი ყოველთვის იყო დაცვა და ახლა ესეც თუ აღარ აქვთ, სერია A-ში ადგილის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდებათ. „ლაციომ" პირველივე ტაიმში გაიტანა 3 უპასუხო გოლი, თან ისე, რომ „ბებერი" **მიროსლავ კლოზეს** ძალისხმევა სულაც არ ყოფილა საჭირო.

**ლივორნო-კატანია 2:0**

...პირველი მატჩი: არც ერთი დარტყმა კარში; მეორე მატჩი: 3 დარტყმა და გოლი „სასუოლოს" კარში; მესამე მატჩი და მთლად ბენეფისი: 7 დარტყმა და 2 გოლი „კატანიას" კარში - ასეთია „ლივორნოს" ფორვარდ **პაულინიოს** (ტოტენჰემელ პაულინიოში არ აგერიოთ) გზა 25 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე.

**უდინეზე-ბოლონია 1:1**

**ანტონიო დი ნატალე** „უდინეზესთვის" ფასდაუდებელ ფეხბურთელად რჩება. „ბოლონიასთან" მან სერია A-ში თავისი მე-300 მატჩი (159 გოლი) ჩაატარა და ეს ამბავი გოლითაც აღნიშნა, ხოლო ამ გოლმა უდინელები საშინაო მარცხისგან იხსნა.

## იცით თუ არა, რომ...

■■■ ბოლო 17 თვის განმავლობაში პირველი შემთხვევაა, რომ „იუვენტუსი" ცხრილის სათავეში არ არის.

■■■ წინა ჩემპიონატიდან მოყოლებული, „იუვენტუსს" ბოლო 16 მატჩიდან თითოეულში ერთი გოლი მაინც აქვს გატანილი (სულ 27).

■■■ „რომას" რომ არ შეეშალა ხელი, „ნაპოლი" ბოლო 23 წლის განმავლობაში პირველად იქნებოდა სერია A-ს ერთპიროვნული ლიდერი.

■■■ 2013 წელს „ნაპოლის" საკუთარ მოედანზე ჯერ არ წაუგია - 10 მოგება 12 მატჩიდან.

■■■ „ინტერის" ფორვარდმა **მაურო იკარდიმ** (გასულ სეზონში „სამპდორიას" ღირსებას იცავდა) უშუალოდ „იუვენტუსის" წინააღმდეგ ჩატარებულ 3 მატჩში 4 გოლი გაიტანა.

■■■ „ჯენოას" ფორვარდ **ემანუელე კალაიოს** 2012 წლის 31 ოქტომბრის მერე არ ჰქონდა გოლი გატანილი. ბოლოს მან ეს „სიენას" სახელით გააკეთა.

■■■ 3:0 - ამ ანგარიშით „ჯენოამ" „სამპდორია" მეოთხედ დაამარცხა. მაგრამ პირველად - სტუმრის სტატუსით. საერთოდ, გენუურ დერბიში ასეთი ტრადიცია დამკვიდრდა - ბოლო 10 მატჩიდან 9 შემთხვევაში მოიგო იმ გუნდმა, ვინც ანგარიში გახსნა. მხოლოდ ერთი შეხვედრა დასრულდა ფრედ.

■■■ „ნაპოლის" შემტევი **ხოსე მარია კალიეხონი** 2008 წლის მერე პირველი ფეხბურთელი გახდა, ვინც სამივე სასტარტო მატჩში შეძლო გატანა. 2008 წელს ეს **დიეგო მილიტომ** და **მაურო სარატემ** მოახერხეს.

■■■ **მარიო ბალოტელიმ**, „მილანის" შემადგენლობაში, 16 მატჩში 14 გოლი გაიტანა, ოღონდ, აქედან ნახევარი - პენალტებით.

■■■ „ტორინოს" მწვრთნელ **ჯამპიერო ვენტურას**, უშუალო დაპირისპირებაში, არასოდეს მოუგია „მილანის" თავკაც **მასიმო ალეგრისთვის** - 6 მარცხი და 2 ფრე. თავად „ტორინომ" კი „მილანი" უკანასკნელად 2001 წელს, საკუთარ მოედანზე 1:0 დაამარცხა.

■■■ „ბოლონიას" უდინეში 2005 წლის შემდეგ არ მოუგია.

*** წინა სეზონიდან მოყოლებული, „ბოლონიას" სერია A-ს ბოლო 13 მატჩში მხოლოდ 1 მოგება აქვს (4 წაგება, 8 ფრე).

■■■ „ბოლონიას" ფორვარდ **ალესანდრო დიამანტის** სერია A-ს ბოლო 11 მატჩში არ გაუტანია გოლი. უკანასკნელად მან ეს 2013 წლის 3 მარტს, „კალიარისთან" მატჩში შეძლო (3:0).

■■■ ბოლო 9 მატჩში მხოლოდ მეორე შემთხვევაა, რომ „ფიორენტინამ" პირველ ტაიმში გოლის გატანა ვერ შეძლო.

■■■ „კალიარის" ფლორენციაში 1972 წლის მერე არ მოუგია (5 ფრე, 22 მარცხი).

■■■ „კატანიას" სერია A-ში ზედიზედ 3 მატჩი 2009 წლის დეკემბრის მერე არ წაუგია. „კატანიამ" „ლივორნოსთან" გასვლით მატჩებში (იგულისხმება სერია A-ს ეგიდით გამართული დაპირისპირებები) ოთხიდან 4 წააგო.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნაპოლი | 3 | 3 | 0 | 0 | 9-2 | 9 |
| 2. რომა | 3 | 3 | 0 | 0 | 8-1 | 9 |
| 3. ინტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-1 | 7 |
| 4. იუვენტუსი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| 5. ფიორენტინა | 3 | 2 | 1 | 0 | 8-4 | 7 |
| 6. ლივორნო | 3 | 2 | 0 | 1 | 6-3 | 6 |
| 7. ლაციო | 3 | 2 | 0 | 1 | 6-5 | 6 |
| 8. ვერონა | 3 | 2 | 0 | 1 | 4-4 | 6 |
| 9. მილანი | 3 | 1 | 1 | 1 | 6-5 | 4 |
| 10. ტორინო | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 11. უდინეზე | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| 12. კალიარი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-5 | 4 |
| 13. ატალანტა | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 3 |
| 14. ჯენოა | 3 | 1 | 0 | 2 | 5-7 | 3 |
| 15. ბოლონია | 3 | 0 | 2 | 1 | 3-6 | 2 |
| 16. სამპდორია | 3 | 0 | 1 | 2 | 2-6 | 1 |
| 17. პარმა | 3 | 0 | 1 | 2 | 2-6 | 1 |
| 18. კიევო | 3 | 0 | 1 | 2 | 2-7 | 1 |
| 19. კატანია | 3 | 0 | 0 | 3 | 1-7 | 0 |
| 20. სასუოლო | 3 | 0 | 0 | 3 | 1-8 | 0 |

**ბომბარდირები:** 4 - ჰამშიკი (ნაპოლი); 3 - კალიეხონი (ნაპოლი), პაულინიო (ლივორნო), ჯ. როსი (ფიორენტინა), ვიდალი (იუვენტუსი).

**ასისტენტები:** 2 - ბონუჩი (იუვენტუსი), ჩიგარინი (ატალანტა), იმობილე (ტორინო), მურუ (კალიარი), პიანიჩი (რომა), პოგბა (იუვენტუსი), ტოტი (რომა).

**მომდევნო ტური**

21 სექტემბერი: კალიარი-სამპდორია, კიევო-უდინეზე, ჯენოა-ლივორნო

22 სექტემბერი: სასუოლო-ინტერი, რომა-ლაციო, ატალანტა-ფიორენტინა, ბოლონია-ტორინო, კატანია-პარმა, იუვენტუსი-ვერონა, მილანი-ნაპოლი

გიორგი გელაშვილი

● სკანდალი


მარკ ჰალსი

# ინგლისელი არბიტრის სკანდალური მემუარები

## მარკ ჰალსი ჟოზე მოურინიოსთან და სერ ალექს ფერგიუსონთან მეგობრობას არ მალავს

ყოფილმა ინგლისელმა არბიტრმა **მარკ ჰალსიმ** ავტობიოგრაფიული წიგნი გამოაქვეყნა, რომელშიც საკმაოდ სკანდალური აღიარებები დაწერა. ჰალსი გასული სეზონის ბოლოს გავიდა პენსიაში, მან უარი თქვა 50 ათას ფუნტ პრემიაზე, რადგან ამ ფულის აღების შემთხვევაში მსაჯი ვალდებულია არ გათქვას მუშაობის დროინდელი კულუარული ინფორმაციები.

წიგნში მარკ ჰალსი ამბობს, რომ სტადიონს მიღმა ბევრჯერ ჰქონია ურთიერთობა ინგლისური პრემიერლიგის მწვრთნელებთან, მაგალითად 2012 წელს სერ **ალექს ფერგიუსონთან**, რომელსაც დაუმეგობრდა კიდევაც.

ჰალსიმ ასევე აღიარა, რომ ერთხელ მისი და მისი ლეიკემიით დაავადებული მეუღლის დასვენება პორტუგალიის სანატორიუმში **ჟოზე მოურინიომ** აანაზღაურა.

*„15 წლის განმავლობაში ჩვენ ერთ დიდ ოჯახად ჩამოვყალიბდით და ეს ნორმალურია. შეხედეთ სხვა სახეობებს, კრიკეტში და რაგბიში, ფეხბურთელები, მწვრთნელები და მსაჯები ერთად სვამენ კიდევაც",*

ნიკოლოზ ნეფარიძე

## ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით






ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპალიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტურის წინ

# ვინ ჩააღწევს ტურინში?

## ევროპალიგა იწყება: ხუთი ქართველით და ფავორიტი ტოტენჰემით

| 19 სექტემბერი | |
|---|---|
| **A ჯგუფი** | |
| ვალენსია-სუონსი | 21:00 |
| სტ. გალენი-ყუბანი | 21:00 |
| **B ჯგუფი** | |
| დინამო ზ.-ჩერნომორეცი | 21:00 |
| პსვ-ლუდოგორეცი | 21:00 |
| **C ჯგუფი** | |
| ზალცბურგი-ელფსბორგი | 21:00 |
| სტანდარდი-ესბიერგი | 21:00 |
| **D ჯგუფი** | |
| ვარეგემი-უიგანი | 21:00 |
| მარიბორი-რუბინი | 21:00 |
| **E ჯგუფი** | |
| ფიორენტინა-ფერეირა | 21:00 |
| პანდურიი-დნიპრო | 21:00 |
| **F ჯგუფი** | |
| აინტრახტი-ბორდო | 21:00 |
| მაქაბი თ.-აპოელ | 21:00 |
| **G ჯგუფი** | |
| დინამო კ.-გენკი | 23:05 |
| თუნი-რაპიდი | 23:05 |
| **H ჯგუფი** | |
| ფრაიბურგი-სლოვანი | 23:05 |
| ეშტორილი-სევილია | 23:05 |
| **I ჯგუფი** | |
| ბეტისი-ლიონი | 23:05 |
| გიმარაეში-რიეკა | 23:05 |
| **J ჯგუფი** | |
| აპოლონი-ტრაბზონი | 23:05 |
| ლაციო-ლეგია | 23:05 |
| **K ჯგუფი** | |
| შერიფი-ანჟი | 23:05 |
| ტოტენჰემი-ტრომსო | 23:05 |
| **L ჯგუფი** | |
| პაოკ-შახტიორი | 23:05 |
| მაქაბი ჰ.-ალკმაარი | 23:05 |



ჟერმენ დეფოს „ტოტენჰემი" ევროპალიგის ჯგუფური ეტაპის ტოპ გუნდად მოიაზრება

დღეს ევროპალიგის ჯგუფური ეტაპის I ტურის მატჩები გაიმართება, სულ 24 შეხვედრა. რანგით მეორე საკლუბო შეჯიბრება კიდევ ერთხელ აგვცდა, თუმცა ისტორიაში პირველად პლეი ოფში ერთბაშად ორმა ქართულმა კლუბმა იასპარეზა - თბილისის „დინამომ" და გორის „დილამ", მაგრამ ორივემ გვარიანად შეირცხვინა თავი (4 მატჩში 0:12 ბურთების შეფარდება).

თუკი მის წინამორბედებს ჩავთვლით, ევროპის პრესტიჟით მეორე საკლუბო პირველობის რიგით 43-ე გათამაშება გახურდა, თუმცა, რაც გათამაშებას ევროპალიგა დაერქვა და ფორმატი შეეცვალა, მეხუთე გათამაშებაა. მოქმედი ჩემპიონი „ჩელსი" ჩემპიონთა ლიგაზე სცდის ძალებს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ლონდონურ კლუბს ტიტულის დაცვის შანსი არა აქვს. ფინალი ტურინში „იუვენტუს არენაზე" გაიმართება.

ევროპალიგის გათამაშებაში 53 ფედერაციის 194 კლუბი ჩაერთო, აქედან 48 ჯგუფურ ეტაპზეა.

ჯგუფური ეტაპის წილისყრა 30 აგვისტოს მონაკოში გაიმართა. სწორედ მაშინ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ „ბეშიქთაშის" ნაცვლად თურქული კლუბის მიერ დამარცხებული „ტრომსო" დაეშვათ, ხოლო „ფენერბაჰჩეს" შემცვლელისთვის წილისყრა მოეწყო. ფორტუნამ არც „დილას" და არც „დინამოს" არ გაუმართლა - ჯგუფურ ეტაპზე „იღბლიანი დამარცხებულის" სტატუსით კვიპროსული აპოელ-ი მოხვდა. შეგახსენებთ, რომ კიდევ ერთი კლუბი თელ ავივის „მაქაბი" მოხვდა ჯგუფურ ეტაპზე სხვისი დისკვალიფიკაციის ხარჯზე („მეტალისტი").

12 ჯგუფის ორ-ორ გამარჯვებულს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის 8 მესამეადგილოსანი დაემატება და პლეი ოფში ითამაშებს.

* ჯგუფური ეტაპის 48 გუნდი 27 ქვეყანას წარადგენს. შარშანდელი რეკორდი 25 ქვეყანა იყო.

* ყაზახეთის წარმომადგენელი პირველად არის ევროპალიგის ჯგუფურ ეტაპზე.

* 48 კლუბს 29 ეროვნების მწვრთნელი წვრთნის. ყველაზე მეტი პორტუგალიელი მწვრთნელია - 6.

* 3-3 წარმომადგენელი ჰყავთ რუსეთს, ესპანეთს, ინგლისს, უკრაინას, ბელგიას და პორტუგალიას.

* ევროპალიგის ჯგუფურ ეტაპზე 9 ქვეყნის ჩემპიონი თამაშობს.აქედან „მარიბორმა" და „ლეგიამ" თავიანთ ქვეყნებში დუბლი შეასრულეს.

### ფავორიტები

საკლუბო კოეფიციენტის მიხედვით, 48 მონაწილეს შორის ყველაზე ძლიერი „ვალენსიაა", თუმცა მიროსლავ ჯუკიჩის გუნდს ახლა არ უდგას საუკეთესო პერიოდი და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ რეიტინგით მესამე „ტოტენჰემი" ფავორიტია. **ანდრე ვილაშ-ბოაშმა გარეთ ბეილის გაყიდვით** სერიოზული გუნდი ააწყო, რაც მან თბილისშიც დაამტკიცა.

ფავორიტთა შორის დავასახელებთ „ლიონს", „ეინდჰოვენს", „ფიორენტინას", „ლაციოს" და „სევილიას". ყველაზე დაბალი კოეფიციენტი ყარაღანდის „შახტიორს" აქვს, რომელმაც კინაღამ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპს უწია.

> ევროპალიგის (უეფას თასი) ყველა დროის ბომბარდირთა სიაში შოთა არველაძე (27 გოლი) მე-5 ადგილზეა

### ქართველები ჯგუფურ ეტაპზე

მართალია, ქართული გუნდები ჯგუფურ ეტაპზე ვერ მოხვდნენ, მაგრამ ჩემპიონთა ლიგისგან განსხვავებით, რამდენიმე ჩვენებურს ევროპალიგაში თამაში მოუწევს. ყაზანის „რუბინის" განაცხადშია მცველი **საბა კვირკველია**. „დნიპროს" ღირსებას იცავენ **ალექსანდრე კობახიძე** და **ჯაბა კანკავა**, „ანჟიშია" **გია გრიგალავა**, „ლეგიას" შეტევების ლიდერი **ლადო დვალიშვილი** გახლავთ. აი, სულ ეს არის.

### იცით, თუ არა რომ...

1971 წლიდან მოყოლებული ევროპალიგის (უეფას თასი) ყველა დროის სტატისტიკაში ყველაზე მეტი ქულა მოპოვებული მილანის „ინტერს" აქვს - 201. შემდეგ მოდის ლისაბონის „სპორტინგი" - 183 ქულა, ბელგიური „ბრიუგე" (165 ქ), „შტუტგარტი" (162) და ტურინის „იუვენტუსი" (158).

* ყველა დროის სტატისტიკაში საპატიო, 51-ე ადგილზეა თბილისის „დინამო" - 91 ქულით. თბილისის „დინამომ" 19 ტურნირში მიიღო მონაწილეობა. 86 მატჩიდან 39 მოიგო, 13 ფრედ დაასრულა და 34 წააგო; 117 გოლი გაიტანა და 130 მიიღო. 50-ეულში „დინამო" სწორედ ბურთების უარყოფითი ბალანსის გამო ვერ მოხვდა და ადგილი „დანდი იუნაიტედს" დაუთმო. შეგახსენებთ, რომ ეს ის ტურნირი არაა, სადაც თბილისელებმა გაიბრწყინეს და 1981 ტიტულიც მოიგეს.

* რუსთავის „მეტალურგი" 273-ე პოზიციაზეა (18 ქულა); „ზესტაფონი" 337-ეა (12), „დილა" - 359-ე (11), „ვიტ ჯორჯია" 454-ე (7), „ლოკომოტივი" - 458-ე (7), ქუთაისის „ტორპედო" - 489-ე (6); „ამერი" - 515-ე (5); „მარგვეთი" - 660-ე (2); „გაგრა" - 664-ე (2); „ჩიხურა" - 688-ე (2); „კოლხეთი" - 706-ე (2); „სამტრედია" - 794-ე (0); „სიონი" - 826-ე (0).

* ყველა დროის სტატისტიკის მიხედვით ამ ტურნირზე ყველაზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული **ჯუზეპე ბერგომის** (96).

* იმ ფეხბურთელთა შორის, რომელთაც 35 და მეტი მატჩი აქვთ ჩატარებული აღნიშნულ ტურნირზე, ქართველებიც არიან: **შოთა არველაძე** (45 მატჩი, 27 გოლი); **ლევან კობიაშვილი** (41 თამაში, 6 გოლი).

* ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი შვედი **ჰენრიკ ლარსონია** - 40 გოლით; მეორე ადგილზე მოქმედი ფორვარდი **რადამელ ფალკაოა** 31 გოლით, თუმცა მისი „მონაკო" წლეულს ევროთასებზე არ მონაწილეობს, 30 გოლი აქვს **კლაას-იან ჰუნტელაარს**.

* სასიამოვნოა, რომ ყველა დროის ბომბარდირთა სიაში მე-5 ადგილზე შოთა არველაძეა 27 გოლით.

* შოთა არველაძემ ეს 27 გოლი 5 კლუბის მაისურით გაიტანა: თბილისის „დინამო", „ტრაბზონსპორი", „აიაქსი", „რეინჯერსი" და „ალკმაარი".

ტრავმები

# გომესი იეზს 7 კვირით დააკლდება



გერმანელი მუხლის ოპერაციას გადაურჩა

იტალიის ჩემპიონატის მორიგ ტურში მუხლის ტრავმა მიიღო და საკუთარ გუნდს 7 კვირით დააკლდა „ფიორენტინას" გერმანელი ახალწვეული **მარიო გომესი**. მართალია, გომესის მარცხენა მუხლზე მყესების დაზიანება სერიოზული არ არის და მას ოპერაცია არ სჭირდება, თუმცა 28 წლის ფორვარდი მაინც კარგა ხანს გამოტოვებს. გომესი „კალიარის" გოლკიპერ **მაიკოლ აგაცის** შეეჯახა მეორე ტაიმის დასაწყისში. ეს შეხვედრა კი 1:1 დასრულდა.

რა თქმა უნდა, გომესი „ფიორენტინას" სასტარტო მატჩს გამოტოვებს ევროპალიგაზე - 19 სექტემბერს „ფიორენტინა" პორტუგალიურ „პაკუშ ფერეირას" მასპინძლობს.

იმავე მატჩში **ხუან კუადრადომ** მხარი დაიზიანა, თუმცა სკანირებამ სერიოზული პრობლემა არ აღმოაჩინა.

# იკერი მძიმე ტრავმას გადაურჩა



ტესტირებამ აჩვენა, რომ ნეკნი გატეხილი არ არის

როგორც ჩანს, მადრიდის „რეალის" კაპიტანი **იკერ კასილიასი** ფორტუნამ ბოლომდე არ გაწირა: 17 სექტემბერს „გალათასარაისთან" მატჩში იკერ კასილიასი, რომელიც 238 დღის შემდეგ პირველად თამაშობდა ოფიციალურ საკლუბო შეხვედრაში, მე-15 წუთზე გახდა შესაცვლელი.მას თავისივე თანაგუნდელი, **სერხიო რამოსი** პირველივე წუთზე შეეჯახა და პირველად ინფორმაციით, ნეკნი გაუტეხა.

გუშინდელმა ტესტირებამ აჩვენა, რომ ნეკნი მხოლოდ დაბეჟილია და თუ რაიმე გართულება არ მოჰყვა ტრავმას, კლუბის ექიმი გარანტიას იძლევა, რომ იკერი 2 ოქტომბერს, „კოპენჰაგენთან" მატჩისთვის მწყობრში იქნება.

შეგახსენებთ, რომ კასილიასს ხელი შარშანაც თანაგუნდელმა მოტეხა - **ალვარო არბელოამ**.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# შაფათავამ მეორე შეხვედრაც მოიგო

ბათუმში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) მე-6 ნომრად განთესილმა **სოფიო შაფათავამ** ერთეულებში ზედიზედ მეორე შეხვედრა მოიგო - გუშინაც გერმანელს - ანა ცაიას სძლია იოლად - 6:2, 6:1. შაფათავა გუშინ მეორედაც გავიდა კორტზე - ამჯერად წყვილებში **ეკატერინე გორგოძესთან** ერთად. ისინი თანამემამულეებს - **მარგალიტა ჩახნაშვილსა** და **სოფიო ქვაცაბაიას** დაუპირისპირდნენ. დაძაბული პაექრობა არც აქ ყოფილა - შაფათავა-გორგოძის დუეტმა ადვილად ჩამოიშორა გზიდან მეტოქე - 6:2, 6:2. წყვილებში დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ალიონა ფომინა (უკრაინა), ქრისტინა შაკოვეცი (გერმანია) - ილონა კრემენი, ალიაქსანდრა სასნოვიჩი (ორივე - ბელარუსი) - 6:2, 6:4, ვალენტინა ივახნენკო, კატერინა კოზლოვა (ორივე - უკრაინა) - ტუტიანა არეფიევა (უკრაინა), ანა ცაია (გერმანია) 6:1, 7:5, მისა ეგუჩი, აკიკო ომაე (ორივე-იაპონია) - განა პოზნიხირენკო, ანა შკუდენი (ორივე - გერმანია) 6:0, 6:3. ნახევარფინალში გორგოძე და შაფათავა მე-2 ნომერ ივახნენკო-კოზლოვას ტანდემთან გაარკვევენ ურთიერთობას, მეორე ნახევარფინალურ წყვილში ფომინა, შაკოვეცი და ეგუჩი ომაე ითამაშებენ.


სოფიო შაფათავა

რაც შეეხება ერთეულებს, იქ ოთხი ჩვენებური ჩაება და, როგორც გაუწყეთ, მხოლოდ შაფათავა შემორჩა კორტებს. მეოთხედფინალში მას მეტოქეობას გაუწევს დოროთეა ერიჩის (სერბეთი) მძლეველი (7:6, 7:5) ირინა ხრომაჩევა (რუსეთი), რომელიც ტურნირზე მესამე ნომერია. გუშინ მეორე წრის 8 შეხვედრა გაიმართა. ორი ორთაბრძოლის შედეგზე უკვე მოგახსენეთ. დანარჩენი ექვსი პაექრობა ასე დასრულდა: ალექსანდრა პანოვა (რუსეთი, 1) - ბასაკ ერაიდინი (თურქეთი) 6:3, 6:1, დალილა იაკუპოვიჩი (სლოვენია) - მარინა შამაიკო (რუსეთი) 6:3, 5:7, 6:2, ალიაქსანდრა სასნოვიჩი (ბელარუსი, 8) - სვიატლანა პირაჟენკა (ბელარუსი) 6:2, 6:3, ვალენტინა ივახნენკო (უკრაინა, 4) - განა პოზნიხირენკო (უკრაინა) 7:5, 6:1 ილონა კრემენი (ბელარუსი) - მარგარიტა ლაზარევა (რუსეთი) 4:6, 6:2, 6:2, კატერინა კოზლოვა (უკრაინა, 2) - ანასტასია ვასილიევა (უკრაინა) 6:4, 2:6, 6:3.

მეოთხედფინალში ითამაშებენ: პანოვა-იაკუპოვიჩი, ხრომაჩევა-შაფათავა, სასნოვიჩი-ივახნენკო, კრემენი-კოზლოვა.

ვაჟა დანელია

ჭადრაკი

**ფიდეს ქალთა გრან პრის 2013-2014 წლების გათამაშებამ წლეულს მაისში აიღო სტარტი. პირველ რაუნდში, რომელსაც ჟენევამ უმასპინძლა, ქართველმა დიდოსტატმა ბელა ხოტენაშვილმა მოიგო და 160 ქულა დაიმსახურა, აი, დილიჟანში მეორე ეტაპზე კი ბოლო ადგილი დაიკავა და მხოლოდ 10 ქულას დასჯერდა.**

# ხოტენაშვილმა მარცხით დაიწყო

გუშინ გრან პრის მესამე რაუნდი ტაშკენტში დაიწყო. იქ 12 დიდოსტატი ჩაება საპრიზო ადგილებისთვის პაექრობაში. მათ შორისაა ბელა ხოტენაშვილი, რომლისთვისაც პირველი ტური უიღბლო აღმოჩნდა - ინდოელ ჰარიკა დრონავალისთან შავი ფიგურებით 29-ე სვლაზე დამარცხდა. დაზავდნენ ორგზის ევროპის ჩემპიონი კატერინა ლაგნო (უკრაინა) - ოლგა გირია (რუსეთი), ელინა დანიელიანი (სომხეთი) - მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი). ასევე, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონმა ანტოანეტა სტეფანოვამ (ბულგარეთი) 53-ე სვლაზე გულისხან ნახბაიევას (ყაზახეთი) აჯობა, ინდოელმა ჰამფი კონერუმ, რომელმაც დილიჟანის ტურნირი მოიგო, ცზიუ ვენძიუნს (ჩინეთი) 70-ე სვლაზე გააჩერებინა საათი, ხოლო მასპინძელი ნაფისა მუმინოვა ჟაო სიუეს (ჩინეთი) დანებდა.

გულშემატკივრებს შევახსენებთ, გრან პრის 2013-2014 წლების გათამაშების გამარჯვებული (18 უძლიერესი დიდოსტატი ოთხ ტურნირში ითამაშებს და 3 საუკეთესო შედეგი საერთო ჩათვლაში შევა) 2015 წელს მსოფლიოს ჩემპიონს ტიტულს შეეცილება. თითოეული ეტაპისთვის (ასეთი სულ ექვსია. ერთ-ერთს გაისად თბილისი უმასპინძლებს) 60-60 ათასი ევრო და ქულებია დაწესებული, რომლებიც პირველ-მეთორმეტე ადგილზე ასე განაწილდება: I ადგილი - 10.000 ევრო (ასევე, +160 ქულა), II - 8259 (+139), III - 6750 (+110), IV- 5750 (+90), V - 5000 (+80), VI - 4500 (+70), VIII - 4250 (+60), VIII - 4000 (+50), IX - 3250 (+40), X - 3000 (+30), XI - 2750 (+20), VIII - 2500 (+10).

ორი ეტაპის შემდეგ ასეთი სიტუაციაა: ანა მუზიჩუკი (სლოვენია) - 250 ქულა, **ნანა ძაგნიძე** (საქართველო) - 220, ტატიანა კოსინცევა (რუსეთი) - 190, ბელა ხოტენაშვილი (საქართველო) - 170, ჰამფი კონერუ (ინდოეთი) - 160, ანა უშენინა (უკრაინა) - 155, ტუვშინთუგს ბათჩიმეგი (მონღოლეთი) - 80, ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი) - 75, კატერინა ლაგნო (უკრაინა) - 60, ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) - 60, ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა) - 60, ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი) - 60, ჰოუ იფანი (ჩინეთი) - 45, ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი) - 45, ოლგა გირია (რუსეთი) - 40, ელინა დანიელიანი (სომხეთი)- 30, ჟაო სიუე (ჩინეთი) - 0, ნაფისა მუმინოვა (უზბეკეთი) - 0, გულისხან გახბაიევა (ყაზახეთი) - 0 ქულა.

დღეს ტაშკენტის მე-2 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: კოსტენიუკი - ჟაო სიუე, ხოტენაშვილი - მუმინოვა, ნახბაიაევა - დრონავალი, გირია - სტეფანოვა, ვენძიუნი - ლაგნო, დანიელიანი - კონერუ.

ვაჟა დანელია

სუმო. აკი ბაშო. 15-29 სექტემბერი

# გაგამარუ მესამედ დამარცხდა



სექტემბრის ბაშოს მეოთხე დღეს **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ) მასუნოიამასთან** წააგო - ქართველმა მე-9 მაეგაშირამ დიდი წინააღმდეგობა გაუწია მეტოქეს, რომელიც მთელი ძალისხმევით აწვებოდა და თავი რკალიდან არ გააყვანინა, მაგრამ შემდეგ მასუნოიამამ ტაქტიკა შეიცვალა და ჩვენებური დოჰიოს ცენტრში დაანარცხა. 203-კილოიანი ქართველის დასამარცხებლად მის მეტოქეს იმდენი ენერგია წაერთვა, რომ მოგებული ძლივსლა სუნთქავდა.

გაგამარუს ბალანსი 1-3 გახდა. მეხუთე დღეს გაგამარუ „პატარა ტანკ" **ტაკეკაძეს** დაუპირისპირდება, რომელსაც ურთიერთშეხვედრებში 6:3-ს უგებს.

**IV დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): აოიამა-ჰარუმაფუჯი (ოშიდაში), ჰაკუჰო-ოკინოუმი (იორიკირი), კოტოოშუ-მიოგირიუ (უვატენაგე), კისენოსატო-იკიოი (იორიკირი), ტოჩიოძანი-კაკურიუ (ოშიდაში), მასუნოიამა-**გაგამარუ** (უვატენაგე).

**სატურნირო მდგომარეობა**

**4-0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), კოტოოშუ (ოძეკი), კიოკუტენჰო (მაეგაშირა 6), იოშიკაძე (მ 8)... **1-3: გაგამარუ** (მ 9).

**V დღე**

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-აოიამა, ჰარუმაფუჯი-ტაკაიასუ, კისენოსატო-ტაკარაფუჯი, კოტოშოგიკუ-იკიოი, კაკურიუ-შოჰოზანი, გოეიდო-კოტოოშუ, **გაგამარუ-ტაკეკაძე**.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ევრობასკეტის ექო

# ჰეი, თქვენ, არაგონელებო!

## სანიკიძეც შერმადინთან, „სარაგოსაში"



ტრანსფერი

## ინტერვიუ ვიქტორ სანიკიძესთან




**რატომ** მოხვდა ლადო ასათიანის ლექსის „კრწანისის ყაყაჩოების“ ერთი სტრიქონის ინტერპრეტაცია სტატიის სათაურად? არაგვის ხეობაში, ნატახტარში გაზრდილი გიორგი შერმადინი არაგონულ „სარაგოსაში“ რომ ჩაირიცხა, ჩვენი გაზეთის მკითხველს კარგად ეცოდინება. გუშინ გიორგის კიდევ ერთი ქართველი შეუერთდა - ვიქტორ სანიკიძემაც ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა „სარაგოსასთან“. ასე რომ, არაგონულ ფრონტზე ორი ქართველი გვეყოლება და „სარაგოსასთან“ ერთად ევროთასის მოგებისთვის იბრძოლებენ.

თუ შერმადინი ესპანურ კლუბში ევრობასკეტის დაწყებამდე ჩაირიცხა, სანიკიძე დიდხანს ელოდა სხვადასხვა ვარიანტს, თუმცა გუშინ საღამოს გადაწყვიტა - „სარაგოსა“. რას ელოდა? ამაზე პასუხს ინტერვიუში მიიღებთ. საკლუბო ამბების გარდა ვიქტორს სანაკრებო თემაზეც ველაპარაკეთ.

- „სარაგოსას“ ხელმძღვანელებთან შეთანხმებას უკვე მივაღწიე. კონტრაქტიც გამომიგზავნეს, ხელს მოვაწერ და ესპანეთში გავუშვებ. ხელშეკრულება ერთწლიანია, რაც იმას ნიშნავს, რომ არაგონულ კლუბში 2013-14 წლების სეზონის ბოლომდე დავრჩები.

**- კლუბის უფროსობასთან თუ ილაპარაკე?**

- ჯერ არ მისაუბრია. მოლაპარაკებებს ჩემი აგენტი აწარმოებდა. ვიცი, რომ მწვრთნელს დიდი სურვილი ჰქონდა ჩემი დამატებისა და ისიც ვიცი, სერიოზული გუნდია. საინტერესოა, რომ „სარაგოსაში“ გიორგი შერმადინის გვერდით ვითამაშებ, გუნდი ესპანეთის ჩემპიონატსა და ევროთასზე იასპარეზებს. როგორც წესი, ევროტურნირებზე ესპანური გუნდები ყოველთვის მაღალი მიზნებისთვის იბრძვიან.

**- „მონტეპასკიში“ კონტრაქტის მიხედვით კიდევ ერთი სეზონი უნდა დარჩენილიყავი. რა მოხდა სიენაში?**

- გუნდს ფინანსური პრობლემები შეექმნა და ზოგმა კალათბურთელმა წასვლის გადაწყვეტილება მიიღო. მოლაპარაკების შედეგად მეც თავისუფალი აგენტი გავხდი და სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ჩემმა მენეჯერმა ოფიციალური მოლაპარაკებები. რომ არა დაგვიანება, ახლა NBA-ს წარმომადგენელი „ნიუ ორლეანის“ წინასასეზონო კემპისთვის მზადებაში ვიქნებოდი.

**- „ორლეანი“ კონტრაქტს გთავაზობდა?**

- ინტერესი რომ არ ჰქონოდათ, ოქტომბერში დაგეგმილი მოსამზადებელი ეტაპისთვის არ მიმიწვევდნენ. რადგან 2004 წლის დრაფტის შემდეგ „სან ანტონიოს“ ვეკუთვნი, ამ კლუბის ხელმძღვანელთა თანხმობის გარეშე NBA-ს სხვა გუნდში თამაშის უფლება არა მაქვს. ნებართვის ოფიციალურად თხოვნის უფლება კი, 25 აგვისტომდე გვქონდა, მაგრამ რადგან „მონტეპასკისთან“ სიტუაცია ბოლომდე არ იყო გარკვეული, ვერ მოესწრო. ჩემმა აგენტმა „სან ანტონიოს“ არაოფიციალურად მაინც სთხოვა და „ნიუ ორლეანთან“ მოლაპარაკების წარმოების უფლებაც მიიღო. თუმცა, როცა გაირკვა, რომ წინასასეზონო კემპზე უნდა წავსულიყავი, „სან ანტონიომ“ მტკიცე უარი თქვა. ამის შემდეგ ავარჩიე ჩემთვის ყველაზე მისაღები ვარიანტი.

**- საინტერესოა, კიდევ რომელი გუნდები გიწვევდნენ.**

- დასამალი არ არის - თურქული „ტრაბზონსპორი“ აქტიურობდა, ლიტვის „ჟალგირისის“ წინადადებაც მივიღე... სექტემბრის ბოლოსთვის ბევრი კლუბი ბოლომდე დაკომპლექტებულია და მოცდა აღარ ღირდა, ყველას „სარაგოსა“ ვამჯობინე.

**- სლოვენიის ევროპის ჩემპიონატიდან ბევრი გაორებული გრძნობით დაბრუნდა...**

- არც მე ვარ გამონაკლისი: გული მწყდება, რადგან ჯგუფიდან გასვლის დიდი შანსი გვქონდა და ძალიან ცოტა დაგვაკლდა. ამავე დროს ამაყი ვარ, რომ საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე ღირსეულად იასპარეზა. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, სათადარიგოებიან-სასტარტოებიანად, რომლებმაც თავი არ დაზოგეს წარმატებისთვის. ვიცოდით, რომ ზაზა ფაჩულია და თორნიკე შენგელია ვერ დაგვეხმარებოდნენ, ამიტომ ევროპის წამყვან ნაკრებებთან თანაბრად სათამაშოდ მაქსიმუმის მაქსიმუმი უნდა გაგვეღო. თავიდან ზოგს არაფრის იმედი არ ჰქონდა. ჩვენ კი ვიცოდით, რომ თუ თავს გადავახტებოდით, ღირსეულად თამაში შეგვეძლო. ...დღეს სპეციალისტებიც აღიარებენ, რომ საინტერესო, შეკრული, მებრძოლი გუნდი გვყავდა.

**- იმის თქმაც შეიძლება, რომ მეტად რთულ ჯგუფში მოვხვდით.**

- ჩვენი ჯგუფის წარმომადგენლები ევროპის ჩემპიონატზე საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის რეალური კანდიდატები არიან (ინტერვიუ სლოვენია-საფრანგეთის მატჩამდეა ჩაწერილი). არადა, ბოლო წამებზე ან სლოვენიისთვის რომ მოგვეგო, ან ხორვატიისთვის, ჯგუფში შეგვეძლო ყველაფერი თავდაყირა დაგვეტრიალებინა. ხორვატებთან, როგორც იტყვიან, მოგებული თამაში წავაგეთ, სლოვენიასთან გამარჯვების დიდი შანსი გვქონდა. შეჯიბრება კი პოლონეთთან ლამაზი გამარჯვებით გავხსენით. სწორედ ამ მატჩის შემდეგ ალაპარაკდნენ საქართველოს ნაკრებზე. ზოგს ავიწყდება მოსამზადებელი ეტაპი: სწორედ იქ გამოჩნდა, რომ ევრობასკეტისთვის სათანადოდ ვიყავით მომზადებული და არავისზე ნაკლებები არ ვიყავით - დავამარცხეთ ბოსნია, ისრაელი (ორჯერ), სერბეთი, ოვერტაიმი ვითამაშეთ ლიტვაში.

**- საინტერესო კონტრასტი გამოჩნდა შარშანდელთან შედარებით: თუ 2012 წლის მატჩებში საწყისი სამი პერიოდის განმავლობაში ვლიდერობდით და ბოლო მეოთხედში დალმასვლა გვეწყებოდა, ახლა პირიქით - მატჩის გადამწყვეტ წუთებს აღმასვლით ვატარებდით.**

- მიზეზი სწორედ ისაა, რაზეც წელან ვილაპარაკე - ზაზასა და თორნიკეს არყოფნაში სხვა გზა არ გვქონდა, მეტოქე რომ დაწინაურდებოდა, დასაკარგავი არაფერი გვქონდა, თავი უნდა შეგვეკლა და ბოლომდე მიგვეყვანა თამაში. სწორედ ასეთ მომენტში ვგრძნობდით დამატებით ენერგიას.

**- იგორ კოკოშკოვმა ინტერვიუში მითხრა, საქართველოს ნაკრები ის გუნდია, მწვრთნელი უნდა გაჰყვეს კალათბურთელებსო. როგორ ფიქრობ, რა იგულისხმა?**

- სიტუაციას ორი მხრიდან უნდა შევხედოთ. იგორ კოკოშკოვი ჩვენთან 2008 წლიდან მუშაობს და ძირითად ბირთვს კარგად გვიცნობს. ისიც იცის, რომ ბოლომდე ვართ შეთამაშებულები, ერთმანეთისაც კარგად გვესმის და მწვრთნელისაც. მას შეუძლია გვენდოს და იმედებს არ გავუცრუებთ. მეორე მხარე სლოვენიაში კარგად გამოჩნდა - ქათული კალათბურთის უპირატესობა ისტორიულად სწრაფი, ქაოსური თამაშია. ასეთ დროს მეტოქემ არ იცის რას უნდა ელოდეს ჩვენი შეტევისგან, რაც გარკვეულ უპირატესობას გვაძლევდა. თუმცა იმას არ ვამბობ, რომ მუდმივად ასე ვთამაშობდით. გვქონდა კარგი ტაქტიკური არსენალი და საჭიროებისდა მიხედვით ვცვლიდით. რაც შეეხება დაცვას, ყველასგან განსხვავებული დაცვა გვქონდა, მეტოქეებს ბოლომდე გაშიფრვა უჭირდათ და შეტევებისას დიდ დროს კარგავდნენ. ქაოსური, ანუ ინდივიდუალისტებზე აწყობილი თამაში ევროპის ჩემპიონატზე იშვიათი სანახავი როდია. შევხედოთ თუნდაც ესპანეთის, საფრანგეთის თამაშებს, სადაც შეტევათა ბედს ამა თუ იმ კალათბურთელის ინდივიდუალური მოქმედება წყვეტს.

**- ევროგრანდები ვახსენეთ და შენი აზრით, ევრობასკეტზე როგორ განაწილდება მედლები?**

- ჩემპიონი, ალბათ, ესპანეთი გახდება. ასევე კარგი შანსი აქვს სლოვენიას. ვქომაგობ ხორვატიას, რომელიც შეჯიბრებას მართლაც მაღალ დონეზე ატარებს. ეს სამი გუნდი რაც უფრო წინ წავა, მით უფრო მკაფიოდ გამოჩნდება, რაოდენ რთულ ჯგუფში მოგვიწია თამაშმა.

**- ამასწინათ, კალათბურთელები მინისტრსაც შეხვდით. საინტერესოა ვიქტორ სანიკიძის დამოკიდებულება საკალათბურთო სამყაროში არსებულ დაპირისპირებაზე.**

- ამ საკითხში კალათბურთელი არ უნდა ჩაერიოს. ჩვენ გვაქვს ჩვენი საქმე და მას ვაკეთებთ. არა მგონია, საქართველოში ვინმეს ქართული კალათბურთისთვის ცუდი უნდოდეს. თუ ჩვენ საქმიანობაში ხელი რამენაირად გვეშლება, არავის მოვერიდებით, პირდაპირ ვიტყვით. ამის არაერთი მაგალითი სანაკრებო ისტორიაში უკვე არსებობს.

ვაჟა სიმონიშვილი

### ვიქტორ სანიკიძე




**დაიბადა:** 01.04.1986
**სიმაღლე:** 203 სმ
**პოზიცია:** ფორვარდი

**კარიერა**

2003 აკადემია (საქართველო)
2004 გლობ კოლეჯი (აშშ)
2004-06 დიჟონი (საფრანგეთი)
2004 NBA-ს დრაფტზე „ატლანტამ“ აირჩია და „სან ანტონიოს“ დაუთმო
2006-07 ესტუდიანტესი (ესპანეთი)
2008 დინამო (საქართველო)
2008-09 ტარტუ როკი (ესტონეთი)
2009-12 ვირტუსი (იტალია)
2012-13 მონტეპასკი (იტალია)
2013-დან სარაგოსა (ესპანეთი)

**ევრობასკეტი**

**ფინალური ეტაპი 2013**
14.6 ქულა, 7.0 მოხსნა, 1.0 პასი
**შესარჩევი 2013**
13.6 ქულა, 9.1 მოხსნა, 2.0 პასი
**ფინალური ეტაპი 2011**
12.0 ქულა, 8.0 მოხსნა, 1.5 პასი
**A დივიზიონი 2011**
12.6 ქულა, 9.4 მოხსნა, 1.5 პასი
**B დივიზიონი 2009**
18.6 ქულა, 11.0 მოხსნა, 2.5 პასი
**B დივიზიონი 2007**
5.4 ქულა, 5.6 მოხსნა, 1.1 პასი

ძიუდო

# ახალგაზრდული: სრული, მაგრამ არასრული

## გუგავას ექსპერიმენტი

საქართველოს ახალგაზრდა ძიუდოისტთა ნაკრები უკვე ბოსნიაშია, სადაც 20-22 სექტემბერს სარაევოში თანატოლთა ევროპის ჩემპიონატში იასპარეზებს. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი გუგავამ** ერთგვარ ექსპერიმენტს მიმართა - სრული ანუ 10-კაციანი გუნდით კი მიდის, მაგრამ ორ წონაში - 55 და 66 კილოგრამებში მონაწილე არ გვეყოლება, მათ ხარჯზე კი სამ წონაში იახლა ორ-ორი შეგირდი. საერთაშორისო ტურნირებისა თუ საკონტროლო შეხვედრების შემდეგ, ბოსნიაში წასაყვანად შემდეგი ფალავნები შეარჩია: **ვაჟა მარგველაშვილი, ლუხუმ ჩხვიმიანი** (ორივე - 60), **ლევან გუგავა** (73), **უშანგი მარგიანი** (81), **ლაშა ტაველური, ბექა ღვინიაშვილი** (ორივე - 90), **გურამ თუშიშვილი, თორნიკე ოთინაშვილი** (100), **ლევან მატიაშვილი, გიორგი ზაქარიაძე** (+100).

სამწუხაროდ, ამჯერად ევროპის პირველობაში გოგოებში მონაწილე არ გვეყოლება. 20 სექტემბერს ბიჭებიდან 55, 60 და 66 კილოგრამის წარმომადგენლები იჭიდავებენ, 21-ში - 73-81-ის, ბოლო დღეს კი 90, 100 და +100 წონითი კატეგორიების ფალავნები გავლენ ხალიჩაზე.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

# ორი მოგება და ერთი ყაიმი



ზურაბ ჯავახაძე

20-წლამდელ მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობაზე გუშინ მე-6 ტურის პარტიები გაიმართა. წარმატებით ითამაშა **ანა კუჭავამ**, რომელმაც მონიკა სიპიტე (ინდონეზია) დაამარცხა და 3,5 ქულა მოაგროვა. რაც შეეხება ლიდერთა ჯგუფში მყოფ **მერი არაბიძეს**, იგი თეთრი ფიგურებით ეთამაშებოდა ჩინელ ვან იუეს. ეტლების ენდშპილში მეტოქეებმა წარმატების გზას ვერ მიაგნეს და თანაბარ პოზიციაში 78-ე სვლაზე მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს. ლიდერებში, ასევე, ზავს მოაწერეს ხელი ირინა ბულგამამ (რუმინეთი) და დეიზი კორიმ (პერუ), ალექსანდრა გორიაჩკინამ (რუსეთი) და ანა რახმანგულოვამ (უკრაინა), რუჩა პუჯარიმ (ინდოეთი) და რუთ რადმინიმ (ინდოეთი), ხოლო დინა სადუაკასოვამ (ყაზახეთი) საბინა იბრაჰიმოვას (აზერბაიჯანი) აჯობა, ჩინელმა ჟაო მომ არგენტინელ მარტინეს აილენს მოუგო.

6 ტურის შემდეგ: მედინა - 5,5, ბულმაგა - 5, კაშლინსკაია, კორი, არაბიძე, ვან იუე, სადუაკასოვა, ჟაო მო - 4,5-4,5 ქულა.

ვაჟებში **ზურაბ ჯავახაძემ** თეთრი ფიგურებით მექსიკელ ხავიერ ბენიტესს მოუგო და 4 ქულა მოაგროვა. 5,5 ქულით ერთპიროვნულად მეწინავეობს ჩინელი იუ იანი, რომელმაც გუშინ სეტურამანს (ინდოეთი) სძლია. 5 ტურის შემდეგ 10 მოჭადრაკეს 4-4 ქულა ჰქონდა. მათი ხუთი პარტიიდან ოთხი შედეგიანად დასრულდა: ტამაშ პეტენი (სლოვაკეთი) - ალექსანდ იპატოვი (თურქეთი) 0:1, საჰაჯ გროვერი (ინდოეთი) - სანტოშ ვიდითი (ინდოეთი) 1:0, იური ელისეევი (რუსეთი) - მარჩელ კანარეკი (პოლონეთი) 1:0, იან-კრიშტოფ დუდა (პოლონეთი) - პოუა იდანი (ირანი) 0,5:0,5, დას დებაშისი (ინდოეთი) - ჯანგირ ვახადოვი (უზბეკეთი) 1:0.

ექვსი ტურის შემდეგ: იუ იანი - 5,5, იპატოვი, გროვერი, ელისეევი, დებაშისი - 5-5 ქულა.

დღეს მე-7 ტურის შეხვედრები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

თავისუფალი ჭიდაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ნაცნობი სცენარი

## დავრჩით ბრინჯაოს ამარა

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა იმით დაასრულა გამოსვლა ბუდაპეშტში, პლანეტის პირველობაზე, რითიც დაიწყო - ისევ დებიუტანტი დამამშვიდებლის ფინალში, ისევ წაგება ბრინჯაოსთვის პაექრობაში და ისევ მეხუთე ადგილი. განსხვავება მხოლოდ გვარ-სახელში და წონით კატეგორიაშია - ამჯერად მედლისთვის გადამწყვეტი პაექრობა **იაკობ მაქარაშვილმა** (74) დათმო. გუნდურ ჩათვლაში ჩვენები 29 ქულით მესამეზე გავიდნენ, ჩამორჩნენ მხოლოდ რუსეთსა (44) და ირანს (46).

ამდენად, ჩვენი ნაკრები ბუდაპეშტში ერთი ბრინჯაოს ამარა დარჩა, რაც ჩვენნაირი ამბიციისა და ასეთი დონის მოჭიდავეებით დაკომპლექტებული გუნდისთვის ცოტაა. ბუდაპეშტიდან კმაყოფილი მხოლოდ იმ ერთადერთი მედლის მფლობელი, გორელი **გენო პეტრიაშვილი** (120) თუ დაბრუნდება, ვინც საკუთარი ტალანტი უკვე სხვა სიმაღლეზე აიკაშკაშა. მას და მის პირად მწვრთნელ **ნუგზარ სხირელს** თამამად შეუძლიათ, რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადაზე გასამგზავრებლად ჩემოდნები ჩაალაგონ.



იაკობ მაქარაშვილი

### ყურბანალიევური დრამა

ერთი შეხედვით, იაკობ მაქარაშვილის გამოსვლას ურიგო არ ეთქმის - როცა დებიუტანტი მედლისთვის ჭიდაობ და როცა ასეთი გამოუცდელი მსოფლიოში თუნდაც მეხუთეზე გადიხარ, დასაძრახი შედეგი არაა. დაძრახვას არც ჩვენ ვაპირებთ, თუმცა ფაქტია, რომ მაინც უმედლოდ დარჩა და ამიტომ გამოსვლას ვერც წარმატებულს დავარქმევთ. მარტივი ლოგიკაა - წარმატება ჯილდოთი იზომება, ჯილდოთი, რომელიც ბუდაპეშტში ჩვენთვის დაილია.

ჩვენებური ტურნირში ყოჩაღად ჩაება და პირველივე წრეში კანადელი **ევან ჯეიმს მაკდონალდი** 8:5 დაიბრიყვა. სამწუხაროდ, მეორე წრეში ირანელ **ეზატოლაჰ აბას აკბარიზარინხოლაესთან** ვერაფერს გახდა და 0:7 დათმო. კიდევ კარგი, ირანელი მერე ფინალში გავიდა და მაქარაშვილსაც სანუგეშოში გადასვლის საშუალება მიეცა. ეს შანსი ჩვენებურმა გამოიყენა კიდეც, თუმცა მთლად ბოლომდე - ვერა. ეს წონა მონაწილეთა სიმრავლით გამოირჩეოდა - 39 ათლეტი ჭიდაობდა. ამიტომ სანუგეშოში ჩვენებურს გრძელი გზის გავლა მოუხდა - ფინალამდე სამი შეხვედრა ჩაატარა. საბედნიეროდ, ყველაში მოწოდების სიმაღლეზე იდგა - ჯერ მოლდოველ **ალექსანდრუ ბურცას** მოუგო წმინდად, 8:0, კუბელ **იუნიერკი მორა ბლანკოსთან** კი გაუჭირდა, მაგრამ 2:1 მაინც იმარჯვა, ბოლოს კი იაპონელ **სოსუკე ტაკატანის** 6:4 სძლია. ბრინჯაოს მედლისთვის პაექრობაში მისი მეტოქე დაღესტანიდან უზბეკეთში გადასული ავარელი **რაშიდ ყურბანოვი** აღმოჩნდა, ვინც რუსეთის ნაკრების შემადგენლობაში ახალგაზრდებშიც და ჭაბუკებშიც ევროპის ჩემპიონია, უზბეკეთის სახელით კი ორჯერ აზიის პირველობა მოიგო, ხოლო მსოფლიოზე პირველ მედალს დაეუფლა. თუმცა თავიდან შეხვედრის მიმდინარეობა მაქარაშვილისთვის ცუდს არაფერს მოასწავებდა, მაგრამ ავარელმა ბოლოს იძალა და 11:4 მოიგო.

### ვინ წააქცევს ბაროუზს?

ამ წონაში კვლავ 25 წლის ამერიკელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ჯორდან ბაროუზმა** გაიმარჯვა, ვინც ტურნირს, პრაქტიკულად არ აგებს, ხოლო ბუდაპეშტში მეორედ მოიგო მსოფლიოს პირველობა. ეს მისი ზედიზედ მესამე გამარჯვებაა დიდ ტურნირზე - მსოფლიოს ჩემპიონი პირველად 2011 წელს სტამბოლში გახდა, 2012-ში ლონდონის ოლიმპიადა მოიგო, ახლა კი ისევ მსოფლიოზე იმარჯვა. ერთი საინტერესო დეტალიც - სამივე ამ პრესტიჟული შეჯიბრების ფინალში ირანელს სძლია. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ პირველ ორ შემთხვევაში მისი მეტოქე **სადეგ გოუდარზი** იყო, ახლა კი ზემოხსენებული აკბარიზარინხოლაე. გოუდარზი თავადაც ძლიერი ფალავანია - ბაროუზთან პირველ შეხვედრამდე მის აქტივში მსოფლიოს ვერცხლ-ბრინჯაო უკვე იყო, თუმცა ამერიკელმა ისე აპამპულავა, თეირანში, მსოფლიოს თასზე აშშ-ს ნაკრების წინააღმდეგ არ იჭიდავა და გოუდარზისთან მორიგი შეხვედრა თავიდან აიცილა.

### უსინათლო გმირი ზელანდიიდან

გუშინ ამ წონაში ახალზელანდიელმა უსინათლო ფალავანმა - **კლინტონ დევისმაც** იჭიდავა, ვისზეც რამდენიმე დღის წინ „ლელოც" წერდა. სამწუხაროდ, ის პირველივე შეხვედრაში დამარცხდა გვინე-ბისაუელ **კინტანა ინტიპესთან**, თუმცა წაგებაზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი მისი ტურნირში მონაწილეობაა. ის ნამდვილი გმირია. დევისი ორივე სტილში ჭიდაობს და ვნახოთ, მოგვიანებით ბერძნულ-რომაულშიც თუ გამოვა. ნაადრევად დამარცხდა მეორე ქართველი, უკრაინელთა ევროპის წლევანდელი ბრინჯაოს პრიზიორი **გია ჩიხლაძე** - მეორე შეხვედრა ზემოხსენებულ იაპონელ ტაკატანისთან დათმო.

დღეს ბუდაპეშტში მხოლოდ ქალები ჭიდაობენ, ხვალიდან კი შეჯიბრებაში ბერძენ-რომაელებიც ჩაებმებიან. ხვალ მათგან მხოლოდ ერთი წონის - 55 კილოგრამის ფალავნები იასპარეზებენ, ჩვენგან კი საჭიდაოდ **ბაჩანა ფუტკარაძე** გავა. ოლიმპიადის ვიცე და ევროპის ჩემპიონი **რევაზ ლაშხი** (60), **გიორგი ცირეკიძე** (84) და **ვასილ იმერლიშვილი** (96) 21-ში იჭიდავებენ, **საჩინო დავითაია** (66), **ილია გულბათაშვილი** (74) და **ლევან არაბული** (120) - ჩემპიონატის ბოლო დღეს, 22 სექტემბერს.

1. ჯორდან ბაროუზი (აშშ); 2. ეზატოლაჰ აბას აკბარიზარინხოლაე (ირანი); 3. ალი შაბანაუ (ბელარუსი), რაშიდ ყურბანოვი (უზბეკეთი).

**ირაკლი თავაძე**

ოლიმპიზმი

# ისევ გაუგებრობა თუ...

რუსები თავისას არ იშლიან: შარშან აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი რუსეთის შემადგენელ ნაწილებად, ორიოდე დღის წინათ კი ეს ტერიტორიები ცალკე „სახელმწიფოებად" მოიხსენიეს. ალბათ, იკითხავთ, რა ხდება?!

2012 წლის ოლიმპიური თამაშების ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სადაც მონაწილე ქვეყნის სპორტსმენთა მონაცემები იყო გამოქვეყნებული, რუსეთის ოლიმპიური გუნდის წარდგენილი ფორმულიარით, ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა სამხრეთი ოსეთი და აფხაზეთი საკუთარ ტერიტორიებად მიანიშნეს. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, თავისუფალი სტილით მოჭიდავეების - ბესიკ კუდუხოვისა (სამხრეთი ოსეთი, საქართველო) და დენის ცარგუშის (გუდაუთა, აფხაზეთი, საქართველო) ბიოგრაფიებში დაბადების ადგილად მითითებულია რუსეთის ფედერაცია და არა საქართველო. ამ ფაქტთან დაკავშირებით ჩვენი ქვეყნის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა შარშან „ლონდონი 2012"-ის საორგანიზაციო კომიტეტს დაუყოვნებლივ გაუგზავნა პროტესტი მოთხოვნით, რომ შეცდომა გამოსწორებულიყო და ზემოაღნიშნული სპორტსმენების დაბადების ადგილად საქართველო მიეთითებინათ...

და აი, ახალი სიურპრიზი: მაშინ, როდესაც ზამთრის XXII ოლიმპიურ თამაშებამდე ოთხ თვეზე ცოტა მეტი რჩება, „სოჭი 2014"-ის საორგანიზაციო კომიტეტი, შესაძლოა, ახალ გაუგებრობაში აღმოჩნდეს. საქმე ეხება ოლიმპიადის სააკრედიტაციო ფორმაში აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებელ სუბიექტებად შეყვანას, ანუ საუბარია ევროპის მაუწყებელთა კავშირის ელექტრონულ ბაზაში განთავსებულ ტელემედიის სარეგისტრაციო ფორმაზე, რომელშიც აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი ცალკე „სახელმწიფოებად" არის მოხსენიებული. სავარაუდოდ, ზემოაღნიშნული ელექტრონული ბაზა ევროპის მაუწყებელთა კავშირს „სოჭი 2014"-ის საორგანიზაციო კომიტეტმა მიაწოდა.

ამ უსიამოვნო ამბის დეტალების გასარკვევად და დასანანი გაუგებრობის დროულად აღმოსაფხვრელად საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ოფიციალური წერილით მიმართა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური თამაშების მედია-ოპერაციების განყოფილებას. ოფისის ხელმძღვანელი ენტონი ედგარი მაშინვე გამოეხმაურა ქართველი მხარის განცხადებას და სეოკ-ს შეატყობინა, რომ ვითარებაში გაერკვევიან და ოფიციალურ პასუხსაც ოპერატიულად აცნობებენ. სავარაუდოდ, პასუხი საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში ამ კვირის ბოლოს უნდა მიიღონ.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# ანამ მეოთხეს აჯობა



ანა ტატიშვილი

ჩოგბურთელ ქალთა მსოფლიო კლასიფიკაციაში თბილისელი **ანა ტატიშვილი** 227-ეა, ხოლო ამერიკელი **მარია სანჩესი** - 115-ე, ამიტომაც ოკეანისგაღმელი ალბუკერკის (აშშ) ქალთა 75.000-იან საერთაშორისო ტურნირში მე-4 ნომრად იყო განთესილი. იყოო იმიტომ ვამბობთ, რომ ქართველმა ჩოგბურთელმა გუშინ იგი ასპარეზობის სტარტზევე ჩამოიშორა გზიდან. პირველი სეტი ჩვენებურმა 6:4 მოიგო, მეორე ხელი კი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა - ხან ანა იყო წინ, ხან - მარია, ტაიბრეიკებზე ტატიშვილმა იყოჩაღა და 7:2 სძლია მეტოქეს, რითაც მე-2 წრეში გავიდა, სადაც **ტამირა პაშეკსა** (ავსტრია) და **ოლივია როგოვსკას** (ავსტრალია) შორის უძლიერესს დაუპირისპირდება.

წყვილებში ქართველი ჩოგბურთელი ამერიკელ **ირინა ფალკონისთანაა** შეამხანაგებული და პირველი განთესვა აქვს. ეს დუეტი დღეს, ალბათ, უფრო ამაღლებულ ნოტზე გავიდოდა კორტზე. საამისოდ ფალკონის ცოტა დააკლდა - გუშინ ერთეულებში (რეიტინგში 168-ეა) ასპარეზობის პირველ ნომერ **ალისონ რისკესთან** (აშშ, 59-ე) პირველი ხელი წააგო (3:6), მეორეში წარმატებას მიაღწია (6:4), მესამე სეტი კი ტაიბრეიკებში დათმო (3:7). ტატიშვილი-ფალკონის დუეტი სტარტზე ჩიეიუ ჰსუსისა და ნიკოლე მელიჩარის (ორივე - აშშ) ტანდემს შეხვდება.

**ვაჟა დანელია**

ინტერვიუ ანტონ ფეიქრიშვილთან

# არგენტინასთან თვითდაჯერება გვაკლდა

**საქართველოს ნაკრების ბურჯის - ანტონ ფეიქრიშვილის „კასტრი" საფრანგეთის 2012-13 წლების ჩემპიონატის მიმდინარეობისას ფავორიტად არ მიიჩნეოდა, თუმცა რეგულარული გათამაშების მეოთხე პოზიციაზე დასრულების შემდეგ, მათ ნახევარფინალურ ეტაპზე მოქმედი ჩემპიონი „კლერმონი" გამოთიშეს ასპარეზობას, ხოლო ფინალურ დაპირისპირებაში „ჰეინეკენის თასის" მფლობელ „ტულონს" სძლიეს და 20-წლიანი შესვენების შემდეგ პირველად იზეიმეს ჩემპიონობა.**

**დოსიე**

**ანტონ ფეიქრიშვილი**

დაიბადა: 18.09.1987
სიმაღლე:183 სმ
წონა:112 კგ
ამპლუა: ბურჯი (№1)
გაიზარდა:"ხულიგანა"
თამაშობს: „კასტრში" (2010 წლიდან)
ტიტულები: საქართველოს ჭაბუკთა „ა" და „ბ" ლიგათა გამარჯვებული, ერთა თასის მფლობელი, საფრანგეთის ელიტა 2-ის („აჟენის" შემადგენლობაში) და ტოპ 14ის გამარჯვებული („კასტრი")
ნაკრები: 9 კეპი

**- ანტონ, გასული სეზონი შენს სპორტულ კარიერაში ყველაზე წარმატებული გამოდგა. როგორ შეაფასებდი მას? „კასტრის" ჩემპიონობა ხომ ტოპ 14-ის ყველაზე დიდ მოულოდნელობად აღიარეს სარაგბო სპეციალისტებმა.**

- დიახ, ნამდვილად ყველაზე წარმატებული წელი გამოდგა, თუმცა უკეთესი იქნებოდა, გადამწყვეტი მატჩების წინ ნეკნის ტრავმა არ მიმეღო და ბოლომდე მეასპარეზა. სეზონის წინ კლუბის ხელმძღვანელობამ მიზნად ნახევარფინალურ ეტაპზე გასვლა დაგვისახა, რასაც იოლად მივაღწიეთ, ფავორიტად არავინ მიგვიჩნევდა, შესაბამისად ფსიქოლოგიური წნეხისაგან განთავისუფლებულები ვიყავით და ეს კოზირი საჩვენოდ გამოვიყენეთ. არ ელოდნენ მეტოქეები „კასტრისგან" ასეთ წარმატებულ თამაშს და ჩვენც სიურპრიზი მოვუწყვეთ.

**-"კასტრს" თავის არსებობის ისტორიაში საფრანგეთის ჩემპიონობა სამჯერ ჰქონდა მოგებული (უკანასკნელად 1993 წ), თქვენ კი შეძელით და დიდხნიანი პაუზის შემდეგ გუნდს მეოთხე ტიტული მოუტანეთ. როგორ დაგხვდათ ქალაქი?**

- აეროპორტშივე უამრავი ხალხი დაგვხვდა და ფეხით გამოგვყვნენ სტადიონამდე, სადაც მთელი ქალაქი მოსულიყო და დაუჯერებელი ზეიმი მოგვიწყვეს. უდიდესი სიამოვნება მივიღეთ, რომ ჩვენი ნაშრომით ამდენი ადამიანი გავაბედნიერეთ. მე მეორე დღესვე მომიწია თბილისში გამოგზავრებამ, ბიჭებმა კი ზეიმი რამდენიმე დღეს გააგრძელეს და ქალაქის ბარებიც „დალაშქრეს".

**- საჩემპიონო სეზონის შემდეგ მოწინააღმდეგეთა მხრიდან ყურადღება გაათმაგდება და ყველა მოწინააღმდეგე სრული კონცენტრაციით გამოვა თქვენთან სათამაშოდ. საინტერესოა, როგორ დაიგეგმა გუნდის ხელმძღვანელების მიერ სეზონის წინა მოსამზადებელი ეტაპი.**

- თავდაპირველად ესპანეთის ერთ-ერთ სამთო კურორტზე ვიყავით საწვრთნელ შეკრებაზე, სადაც ძირითადი აქცენტი ფიზიკური კონდიციების ამაღლებაზე კეთდებოდა. ვარჯიშები მოსაბეზრებელი და ერთფეროვანი რომ არ ყოფილიყო, მწვრთნელები ხშირად სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ: მთის მდინარეებზე ვაწყობდით ჯომარდობის ტურებს, ერთი ამპლუის მოთამაშეები ერთ ნავში ვსხდებოდით და მდინარის ჩქარ დინებასთან ბრძოლაში ძალაუნებურად ერთმანეთის იმედზე ვიყავით, ამ სპორტში რაგბის მსგავსად აუცილებელია თანაგუნდელთა მწყობრი და ურთიერთშეთანხმებული ქმედება, რაც კიდევ უფრო ზრდიდა ჩვენში გუნდურობის პრინციპს. რამდენჯერმე მთის მწვერვალზე დაგვტოვეს გუნდი ველოსიპედების ამარა და ჩვენით უნდა მოგვეხერხებინა დასახლებულ პუნქტამდე მიღწევა, რაც იოლი ნამდვილად არ აღმოჩნდა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ერთმანეთის დახმარებით ამ სახალისო ვარჯიშებსაც გავართვით თავი.

მომზადების მეორე ეტაპი უკვე ბურთთან მეტ ურთიერთობას, სათამაშო ტაქტიკის დამუშავებას და ტესტ მატჩებს დაეთმო.



**- 2013-14 წლების სეზონის სტარტი არცთუ ისე კარგი აქვს „კასტრს" საფრანგეთის ჩემპიონატში. 3 გამარჯვების წილ 3 მარცხი დაგიგროვდათ და სატურნირო ცხრილში 16 ქულით მეოთხე ადგილს იკავებთ.**

- მიზეზი შეიძლება ბევრი მოიძებნოს: ახალი მწვრთნელები, ახალი სათამაშო სისტემა. მოწინააღმდეგეთა გაორმაგებული მოტივაცია. ძალიან გაგვიჭირდა გასვლითი მატჩების მოგება, ჩემპიონობის მოპოვებაზე გაცილებით უფრო ძნელი მისი შენარჩუნებაა. გასულ სეზონთან შედარებით იოლი მოსაგები მატჩები ფაქტობრივად აღარ არსებობს და ლიგის უპირობო აუტსაიდერს ველარავის უწოდებ. უკანასკნელ ტურში „ტულონი" დავამარცხეთ და იმედია, ამით დაიწყება ჩვენი გამარჯვებათა სერია.

**- „ბორდოსთან" დაპირისპირებისას მიღებული მცირე ტრავმის გამო ბოლო ტურებში არ გითამაშია. როგორ მიდის რეაბილიტაციის პროცესი? როდის გეგმავ ვარჯიშის განახლებას?**

- „ბორდოსთან" თამაშისას ფეხის ტერფის კუნთი დავიზიანე, თავდაპირველად სერიოზული ტრავმის საშიშროება იყო, თუმცა გადავრჩი. ექიმთა გადაწყვეტილებით, დაახლოებით 1 კვირაში შევძლებ ვარჯიშის დაწყებას.

**- „კასტრს" მსოფლიო დონის ვარსკვლავები არ ჰყავს გუნდში, თუმცა შედეგი მაინც მშვენიერი აქვს. რის ხარჯზე ახერხებს ამას?**

- ძალიან შეკრული გუნდია, ყველა ვმეგობრობთ ერთმანეთთან როგორც სტადიონზე, ისე მის მიღმაც, რაც საბოლოო ჯამში ძალიან გვეხმარება დადებითი შედეგის მიღწევაში. კლუბის ამჟამინდელი მენეჯერი გასულ სეზონში ჩვენი კაპიტანი იყო, ასე რომ, „კასტრის" ხელმძღვანელობას, სამწვრთნელო შტაბს და მოთამაშეთა შორის დიდი ზღვარი ნამდვილად არ არსებობს.

**- სეზონის წინ კლუბის ხელმძღვანელობამ ამჯერად როგორი მიზნები დაგისახათ? ტოპ 14-ის მოგებაზე გააკეთებთ კვლავ ძირითად აქცენტს თუ ამჯერად „ჰეინეკენის თასზე" ასპარეზობას დაუთმობთ უფრო მეტ ყურადღებას?**

- გუნდის ხელმძღვანელობა სეზონის სტარტზე დიდ მიზნებს არასდროს არ გვისახავს ხოლმე, როგორც მინიმუმ ტოპ 14-ის ნახევარფინალურ ეტაპზე ვგეგმავთ ასპარეზობას, ხოლო „ჰეინეკენის თასზე" ჯგუფიდან აუცილებლად უნდა გავიდეთ, მიუხედავად იმისა რომ სერიოზული მეტოქეები გვყავს: „ლენსტერი", „ნორთჰემპტონი" და „ოსპრიზი". დანარჩენი უკვე მოგვიანებით გამოჩნდება.

**- კლუბში უდიდესი კონკურენციაა. ვის მიიჩნევ შენს უმთავრეს კონკურენტად? ყველაზე ახლოს რომელ თანაგუნდელთან ხარ?**

- ყველაზე ახლოს თანაამპლუელ რუმინელ მიჰაი ლაზართან ვარ, ჩემი უმთავრესი კონკურენტი ახალზელანდიელი ბურჯი, უაღესად გამოცდილი, 33 წლის კარენა ვიჰონგია.

**- გადმოვერთოთ სანაკრებო თემებზეც. ზაფხულში 2 მატჩის ჩატარებამ მოგიწია სამხრეთ აფრიკის და არგენტინის ნაკრებთა წინააღმდეგ.**

- ძალიან სასარგებლოა საქართველოს ნაკრებისათვის ასეთი მაღალი დონის გუნდებთან ტესტების თამაში. ძლიერ მეტოქესთან ჭიდილში უფრო მეტს ვსწავლობთ და როგორც გუნდი, ვიზრდებით. დიდი ხნის განმავლობაში არ მქონდა ნაკრების რიგებში ნათამაშები და ბორჯღალოსანთა რიგებში კიდევ ერთხელ გამოძახებამ ძალიან გამახარა. ორივე შეხვედრაში შეგვეძლო გამარჯვება, განსაკუთრებით არგენტინელებთან, წარუმატებლობის მთავარი მიზეზი ალბათ თვითდაჯერების ნაკლებობა იყო, თორემ არც ფიზიკური და არც სათამაშო კონდიციებით არ ჩამოუვარდებოდით მეტოქეს.

**- ნოემბერში საქართველოს ნაკრებს სამი უმნიშვნელოვანესი თამაში უწევს ა.შ.შ-ს, კანადის და სამოას ნაკრებების წინააღმდეგ. ეროვნულში გამოძახების შემთხვევაში „კასტრის" ხელმძღვანელობა ხომ არ შეგიშლის ხელს ჩამოსვლაში?**

- არა, არანაირად. მაგ დროს საფრანგეთის ჩემპიონატშიც დასვენებაა გამოცხადებული და თავისუფლები ვართ. მთავარია ჯანმრთელად ვიყო და გამოძახების შემთხვევაში უდიდესი სიხარულით ჩამოვალ ჩვენი ქვეყნის დასახმარებლად. უაღრესად საინტერესო უნდა უნდა გამოვიდეს სამოასთან დაპირისპირება. ისინი ძალიან სწრაფ რაგბს თამაშობენ და საინტერესო იქნება ასეთი სტილის გუნდთან დაპირისპირება. მილტონ ჰეიგი ძალიან კარგი მწვრთნელია, მოთამაშეებისაგან გაცილებით უფრო მაღალ ტემპში ითხოვს სარაგბო ელემენტების შესრულებას, რაც აუცილებლად მიგვიყვანს წარმატებამდე.

**- პროფესიონალური კარიერის განმავლობაში ნათამაშები გაქვს საქართველოს ჩემპიონატში, საფრანგეთის ელიტა 2-ში, ტოპ 14-ში. ჩვენი ჩემპიონატის 2 წამყვანი გუნდი „ლელო" და „არმია" შენი საზომებით საფრანგეთის ჩემპიონატის რომელ ლიგაში შეძლებდნენ ღირსეულად ასპარეზობას?**

- ძნელია ჩემი მხრიდან ასეთი შეფასებების გაკეთება, თუმცა ფედერალ 1-ში ასპარეზობისას ალბათ დივიზიონში დარჩენისათვის იბრძოლებდნენ, ხოლო ფედერალ 2-ში გამოსვლის შემთხვევაში გათამაშების ერთ ერთი ფავორიტები იქნებოდნენ.

**- ზაფხულში, რაგბის კავშირის და სპორტის დეპარტამენტის ხელშეწყობით მოეწყო „არასრულწლოვანი და ახალგაზრდა მსჯავრდებულების რესოციალიზაციის" ხელშემწყობი პროგრამა, რომელშიც სამხრეთ აფრიკის და ურუგვაის ნაკრების მორაგბეებთან ერთად მიიღე მონაწილეობა.**

- ნამდვილად კარგი პროექტია და მოხარული ვარ, რომ მონაწილეობა მივიღე მასში. ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონიას ვესტუმრეთ, სადაც მოვინახულეთ მსჯავრდებულები, დავურიგეთ საჩუქრები და რაგბიც წავითამაშეთ. მთავარია, რომ არასრულწლოვანთა გახარება მოვახერხეთ თუნდაც მცირე დროით. მომავალშიც თუ განმეორდება იმავე ტიპის აქცია, რაღა თქმა უნდა, მზად ვართ მასში მონაწილეობა მივიღო.



ამბები

## სტივ ჰანსენი ბარბაროსებს უთავკაცებს



30 ნოემბერს, ფიჯის კუნძულებზე რაგბის დაარსებიდან 100 წელიწადი სრულდება და ამ საზეიმო ფაქტთან დაკავშირებით, თვიქნემის სტადიონზე, შემოდგომის ტესტების დასკვნით მატჩში ერთმანეთს ფიჯისა და „ბარბაროსთა" ნაკრებები დაუპირისპირდებიან. მსოფლიოს რჩეული მორაგბეებით დაკომპლექტებულ „ბარბაროსებს" ახალი ზელანდიის მთავარი მწვრთნელი სტივ ჰანსენი უთავკაცებს.

ჰანსენი 54 წლის გახლავთ და სამწვრთნელო კარიერის დასაწყისში (2002-04 წლები) უელსის ნაკრებს ედგა სათავეში. მოგვიანებით იგი „ოლ ბლექსის" სამწვრთნელო შტაბში გადაბარგდა გრემ ჰენრის ასისტენტად, 2011 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე კი ახალი ზელანდიის ნაკრებთან ერთად ოქროს მედალი მოიპოვა.

ტრიუმფის შემდეგ ჰენრიმ გუნდი დატოვა და მთავარი მწვრთნელის პოსტი სტივ ჰანსენს გადააბარეს, რომელმაც მსოფლიოს უძლიერეს ნაკრებს 21 გამართული მატჩიდან 19-ში გამარჯვება მოაპოვებინა (მარცხი ინგლისთან, ფრე ავსტრალიასთან).

უკვე ცნობილი გახდა ის ფაქტიც, რომ ბარბაროსთა რიგებში აუცილებლად იასპარეზებენ სამხრეთაფრიკელი მარბიელი შალ ბურხერი და შუამარბი იან დე ვილიერსი.

ფიჯის ნაკრებს თავის არსებობის ისტორიაში „ბარბაროსთა" ნაკრები ერთადერთხელ, 1970 წელს ჰყავს დამარცხებული ანგარიშით 29:9.

გვერდი მოამზადა
**გიორგი ბარბაქაძემ**

● კალათბურთი

# რონდო მზად არ არის


რაჟონ რონდო

არასასიამოვნო ინფორმაცია შეიტყვეს "ბოსტონის" გულშემატკივრებმა. ძირითადი გამთამაშებელი **რაჟონ რონდო**, სავარაუდოდ, ვერ შეუერთდება თავის გუნდს წინასასეზონო შეკრებაზე და ვერც რეგულარული ჩემპიონატის პირველ მატჩებში მიიღებს მონაწილეობას. ადრე გუნდის გენერალურმა მენეჯერმა **დენი ეინჯმა** განაცხადა, რომ პლეიმეიკერი მოასწრებდა ტორონტოში სასტარტო მატჩისთვის აღდგენას. მაგრამ, ახლა" სელტიქსის" ლიდერის დაბრუნება შეიძლება გაურკვეველი ვადით გადაიდოს.

"მწვანეების" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **ბრედ სტივენსმა** განაცხადა, რომ ვერავინ გაბედავს მოთამაშეს სარეაბილიტაციო პროცესის ფორსირება მოსთხოვოს: რონდო მოედანზე მხოლოდ მაშინ დაბრუნდება, როცა ასი პროცენტით იქნება მზად. ასევე მწვრთნელი დარწმუნებულია, რომ "კელტებს" ბევრი რამ გამოუვათ ტრავმირებული ლიდერის გარეშეც. *"ხოლო, როცა ის დაბრუნდება, ჩვენ იოლად მოვახდენთ რონდოს ჩართვას უკვე მზა სათამაშო სქემებში"*, - მიაჩნია სპეციალისტს.

■ ■ ■

"ბოსტონთან" დაკავშირებული კიდევ ერთი სიახლე ის არის, რომ ხელმძღვანელობამ შემადგენლობიდან დაითხოვა ფორვარდი **დონტე გრინი**. შეგახსენებთ, რომ გრინი "ბოსტონში" გასულ თვეში გადავიდა "მემფისთან" გაცვლის შედეგად.

როგორც კალათბურთელის აგენტი ამბობს, დონტე კარიერას ჩინეთის ერთ-ერთ კლუბში გააგრძელებს.

# როუზს ნაკრები მოუნდა


დერეკ როუზი

"ჩიკაგო ბულზის" გამთამაშებელი **დერიკ როუზი** აშშ-ის ნაკრებში დაბრუნებას გეგმავს და 2014 წელს, ესპანეთში მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშს იმედოვნებს.

*"თუ 2014 წლისთვის ნაკრებში მიწვევას მივიღებ, ეს ჩემთვის დიდი პატივი იქნება. აუცილებლად შევეუერთდები გუნდს, თუ მაიკ კრჟიჟევსკი ჩემს ხილვას ისურვებს შემადგენლობაში"*, - განაცხადა კალათბურთელმა.

როუზმა, რომელმაც 2010 წელს, თურქეთში მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედალი მოიგო, 2012-13 წლების სეზონი მუხლის ტრავმის გამო გამოტოვა.

უფრო ადრე, აშშ-ის ნაკრების გენერალურმა მენეჯერმა **ჯერი კოლანჯელომ** როუზს მხარდაჭერა გამოუცხადა და აღნიშნა, რომ "ბულზის" ლიდერის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობა დიდწილად დამოკიდებული იქნება კალათბურთელის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და სურვილზე.

● ჩოგბურთი

# დევისზე გუნდები დააწყვილეს

გუშინ, ლონდონში გაიმართა 2014 წლის დევისის თასის გათამაშების წილისყრა. წლევანდელი ტურნირის ერთ-ერთ ფინალისტს - სერბეთის ნაკრებს საინტერესო მეტოქე ერგო. თუ სერბებისა და შვეიცარიელების ლიდერები - **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და **როჯერ ფედერერი** გაისად დევისის თასზე თამაშს დათანხმდებიან, მერვედფინალში მათ დაპირისპირებას ვიხილავთ.

მეორე ფინალისტი ჩეხეთის ნაკრები პირველ რაუნდში ჰოლანდიის ნაკრებს უმასპინძლებს.

მერვედფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ

**სერბეთი-შვეიცარია**
**ჩეხეთი-ჰოლანდია**
**გერმანია-ესპანეთი**
**იაპონია-კანადა**
**საფრანგეთი-ავსტრალია**
**აშშ-ბრიტანეთი**
**არგენტინა-იტალია**
**ყაზახეთი-ბელგია**

შეხვედრები 31 იანვარს-2 თებერვალს გაიმართება.




● ფორმულა 1

# ფერარის პრეზიდენტი: სისულელეა! მასა ალონსოს დაეხმარება

"ფერარის" პრეზიდენტმა **ლუკა დი მონტეძემოლომ** კომენტარი გაუკეთა **ფელიპე მასას** განცხადებას იმის შესახებ, რომ ის არ დაეხმარება ამ სეზონის დარჩენილ რბოლებში თანაგუნდელ **ფერნანდო ალონსოს**. ბრაზილიის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში მასამ განაცხადა, რომ, რადგან გუნდმა სეზონის ბოლოს მისი გაშვება გადაწყვიტა, ის მხოლოდ საკუთარ თავზე იმუშავებს და არ გაითვალისწინებს გუნდურ ინტერესებს.

*"ამბობენ, რომ ის არ დაეხმარება ფერნანდოს? სისულელეა! ის აუცილებლად გაითვალისწინებს ალონსოს ინტერესებს და დაეხმარება მას ტიტულისთვის ბრძოლაში, გუნდს კი კონსტრუქტორთა თასის მოპოვებაში. დარწმუნებული ვარ, ფელიპეს სეზონის წარმატებული დასასრული ელოდება. ის განსაკუთრებული და შესანიშნავი ადამიანია"*, - განაცხადა იტალიელმა "გაძეტა დელო სპორტთან" ინტერვიუში.


ლუკა დი მონტეძემოლო

"ფერარის" პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ მასას გუნდიდან გაშვების მიზეზი იყო დაბალი შედეგები და არასტაბილურობა.

■ ■ ■

ამავე ინტერვიუში ლუკა დი მონტეძემოლო კომენტარს აკეთებს მასას შემცვლელზე - **კიმი რაიკონენზე**. პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ფინელს შეუძლია ფერნანდო ალონსოს დამარცხება, რომლის თანაგუნდელი გახდება 2014 წელს. "სკუდერიას" შეფმა აღნიშნა, რომ ფინელი უფრო მოტივირებული დაბრუნდება "ფერარიში" რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ.

*"რაიკონენთან" დაკავშირებული სიტუაცია თითქმის იდენტურია ნიკი ლაუდას სიტუაციასთან. მან ასევე გარკვეულ მომენტში განაცხადა – "საკმარისია", რადგან აღარ შეეძლო ამის კეთება.*

*ფორმულა 1-დან წასვლა მისთვის სასარგებლო აღმოჩნდა. ის დაბრუნდა თავის საუკეთესო ფორმით. ის იმარჯვებდა რბოლებში და ყველა ეტაპის ფინიშამდე აღწევდა. რაიკონენისგან მოგებებს, სტაბილურობასა და პოდიუმებს ველოდები.*

*სხვათა შორის, ლაუდას შესახებ: მე მახსოვს, რომ, როცა ის დაბრუნდა, დაამარცხა ჩემპიონატში ალან პროსტი, რომელიც მისი თანაგუნდელი იყო"*, - ამბობს დი მონტეძემოლო.

# ბატონი მაკლარენში დარჩება


ჯენსონ ბატონი

ბრიტანელი პილოტი **ჯენსონ ბატონი** დარწმუნებულია, რომ თავის ამჟამინდელ გუნდთან "მაკლარენთან" ახალი კონტრაქტის გაფორმება მხოლოდ ფორმალობაა და ის აუცილებლად დარჩება გუნდში მომავალ წელს.

*"მე ვფიქრობ, რომ არ არსებობს შეშფოთების საბაბი. გუნდში სურთ ჩემი ხილვა, მეც მინდა აქ დარჩენა, ასე რომ, უბრალოდ, ეს არის დროის საკითხი. ვგრძნობ, რომ გუნდის მნიშვნელოვანი ნაწილი გავხდი. ცხოვრებაში ნებისმიერი ურთიერთობა დასასრულს უახლოვდება, მაგრამ ჩვენ ძალიან კარგად ვმუშაობდით ბოლო ოთხი წლის განმავლობაში და ეჭვგარეშეა, მომავალშიც ვითანამშრომლებთ"*, - ამბობს ბატონი.

33 წლის პილოტმა ასევე აღნიშნა, რომ სანამ ფორმულა 1-დან წასვლაზე იფიქრებს, აუცილებლად უნდა გამოჩნდეს ვინმე, ვინც მასზე უკეთესი იქნება.

# ნიუ ჯერსიში იმედოვნებენ

ნიუ ჯერსიში ამერიკის გრანპრის პრომოუტერის **ლეო ჰინდერის** თქმით, ის შეშფოთებული არ არის იმ ფაქტით, რომ რბოლა არ შეუტანიათ 2014 წლის წინასწარ კალენდარში. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ეტაპის გასამართად მუშაობა გრძელდება.

*"ჩვენ არც გვქონდა იმედი, რომ შეგვიყვანდნენ წინასწარ კალენდარში. საქმე ისაა, რომ ბევრი ქვეყანა ცდილობს ფორმულა 1-ის რბოლის მიღებას - ჩვენ, რუსეთი, მექსიკა, ავსტრია... ბერნი ექლსტოუნმა გვითხრა, რომ ჩვენ უნდა დავიცვათ განაცხადების შეტანის ადრე გამოცხადებული წესი. ამ შემთხვევაში გვექნება იმედი, რომ რბოლა ნიუ ჯერსიში მოხვდება 2014 წლის კალენდარში"*, - აღნიშნა ჰინდერიმ.

მან ასევე დაამატა, რომ პიტ-ლეინისა და პადოკის მშენებლობა გრაფიკით მიმდინარეობს, მთელი პროექტი კი ფინანსურ ჩარჩოებში ჯდება.

● ამბები

კალათბურთი

## ჯეფრიზმა კარიერა დაასრულა

"ვაშინგტონ უიზარდსის" ყოფილმა ფორვარდმა **ჯარედ ჯეფრიზმა** კარიერის დასრულება გადაწყვიტა. მან 11 წელი გაატარა NBA-ში და ახლა, დათანხმდა ადმინისტრაციულ როლს "დენვერ ნაგეტსში".

31 წლის კალათბურთელმა, რომელმაც კარგი ურთიერთობა შეინარჩუნა "დენვერის" გენერალურ მენეჯერთან **ტიმ კონელისთან** (ვისთან ერთადაც "ვაშინგტონში" 2002-06 წლებში მუშაოდა), გუნდში სკაუტის ფუნქციებს შეასრულებს.

აღვნიშნავთ, რომ 2002 წელს ჯეფრიზი "ვაშინგტონმა" დრაფტში მე-11 ნომრად აირჩია. გასულ სეზონში ის "პორტლენდის" ღირსებას იცავდა, 38 მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 1.2 ქულა დააგროვა.

## ლეიკერსმა ლენდრი გაიფორმა

"ლოს ანჯელეს ლეიკერსმა" კონტრაქტი გააფორმა ფორვარდ **მარკუს ლენდრისთან**. კონტრაქტის დეტალები არ დასახელებულა.

აღვნიშნავთ, რომ 27 წლის ფორვარდი, რომელიც "საკრამენტოს" მოთამაშის **კარლ ლენდრის** უმცროსი ძმაა, "ლეიკერსში" NBA-ის საზაფხულო ლიგაზე თამაშობდა. მარკუსმა ხუთ მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 15.2 ქულა და 4.2 მოხსნა დააგროვა.

2012-13 წლების სეზონში ლენდრი D-ლიგაში კლუბ "რენო ბიგჰორნსში" თამაშობდა. ბოლო სამი წლის განმავლობაში მან მოასწრო პუერტო რიკოს, ჩინეთისა და ვენესუელას ლიგებში თამაში.

## კლიპერსმა არენასი მიიწვია

ვებგვერდ Hoopsworld-ის მიმომხილველმა **ალექს კენედიმ** გამოაქვეყნა ინფორმაცია იმის შესძახებ, NBA-ის ყოფილი ვარსკვლავი **გილბერტ არენასი** მიწვეულია "ლოს ანჯელეს კლიპერსის" საწვრთნელ ბანაკში.

*"გავიგე, რომ არენასი კარგად გამოიყურებოდა ამ ზაფხულს ვარჯიშებზე. "კლიპერსმა" შეიძლება ის შემადგენლობაში მიიწვიოს"*, - დაწერა თავის "ტვიტერზე" კენედიმ.

შეგახსენებთ, რომ ამ მომენტისთვის არენასი ჩინური "შანხაი შარქსის" მოთამაშეა. 31 წლის კალათბურთელი ბოლოს NBA-ში 2011-12 წლების სეზონში თამაშობდა - "მემფისის" რიგებში ირიცხებოდა და რეგულარული ჩემპიონატის მხოლოდ 17 მატჩში მიიღო მონაწილეობა. ის საშუალოდ მოედანზე 12 წუთს ატარებდა.

## ბაინუმი სტარტისთვის მზად იქნება

როგორც FOX Sports წერს, ლიგის ერთ-ერთი წამყვანი ცენტრი **ენდრიუ ბაინუმი** შორს არის სრული გამოჯანმრთელებისგან და გამოტოვებს 2013-14 წლების სეზონისთვის მოსამზადებელ პერიოდს. მიუხედავად ამისა, „კლივლენდის" ცენტრი გუნდს რეგულარული ჩემპიონატის სტარტზე შეუერთდება და შესაძლოა, 30 ოქტომბერს, „ბრუკლინის" წინააღმდეგ გახსნის მატჩშიც ითამაშოს.

გასულ სეზონში ბაინუმს არც ერთი მატჩი არ ჩაუტარებია „ფილადელფიას" რიგებში მუხლების ტრავმის გამო.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სნუკერი

# ო'სალივანი: მხოლოდ ლი არ არის გასვრილი

გუშინდელ ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ 38 წლის ბრიტანელი სნუკერისტი **სტივენ ლი** დამნაშავედ სცნეს ჩაწყობილ თამაშებში მონაწილეობაში. მისი კარიერის ბედი 24 სექტემბერს გაირკვევა, როცა გამოცხადდება სასჯელის შესახებ. ცნობილი გახდა, რომ სნუკერის მმართველი ორგანიზაცია მოთამაშის სამუდამო დისკვალიფიკაციას ითხოვს.

2008 წლის თებერვლიდან 2009 წლის აპრილის პერიოდში, სტივენ ლის კონტაქტი ჰქონდა ადამიანების სამ სხვადასხვა ჯგუფთან. თითოეული ფსონს აკეთებდა ლის მატჩების შედეგებზე, ფრეიმების რაოდენობაზე ან სულაც ზუსტ ანგარიშზე. 2012 წლის 12 ოქტომბერს, ბრიტანელი ჩამოაშორეს სნუკერის ოფიციალურ ტურნირებს.

ამ სკანდალს გამოეხმაურა მსოფლიოს ბოლო ორი ჩემპიონატის გამარჯვებული **რონი ო'სალივანი**, რომელმაც თავის "ტვიტერზე" შემდეგი დაწერა: *"მე გავიგე, რომ ბევრი მოთამაშე მონაწილეობს ჩაწყობილ თამაშებში. მიმაჩნია, რომ მხოლოდ ლის არ გაუმართლა, რადგან ის გამოიჭირეს. მე უბრალოდ მინდა ყველაფერს თავისი ადგილი მივუჩინო და ოდნავი სიცხადე შევიტანო ამ საკითხში. შენ შეგიძლია არ ინერვიულო, თუ არაფერი გაქვს დასამალი, თუმცა ბევრი ორმაგ თამაშს ეწევა. ამიტომაც არ არის სნუკერში სიტყვის თავისუფლება. შესაძლოა, ამ განცხადებისთვის მათ დამაჯარიმონ. მათ მოსწონთ სიტუაციის მკაცრად გაკონტროლება და ყველაფრის დამალვა"*.

უფრო ადრე, სტივენ ლისთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა კიდევ ერთმა ბრიტანელმა სნუკერისტმა **მარკ ალენმა**: *"ამან დიდი დრო დაიკავა, მაგრამ სტივენ ლის საქმე დასასრულს მიუახლოვდა. მას ადგილი არ აქვს ჩვენს სპორტში! იმედია, მას სამუდამო დისკვალიფიკაცია ელის"*.

მოგვიანებით, ვებგვერდ Worldsnooker.com-ზე გამოქვეყნდა კომპანია World Snooker Limited-ის პრეზიდენტის **ბარი ჰირნის** რეაქცია ო'სალივანის განცხადებაზე.

*"ჩვენ მიგვაჩნია, რომ მისი გამონათქვამები ძალიან სერიოზულია. ვთხოვეთ რონის განემარტა თავისი განცხადებები, მოეწოდებინა კონკრეტული ინფორმაცია ჩაწყობილ თამაშებზე და დაესახელებინა გვარები, რომლებსაც გულისხმობს. აშკარაა, რომ ასეთი განცხადებების გაკეთება ისე, რომ საქმის კურსში არ აყენებ უმაღლეს ხელმძღვანელობას, სრული უპატივცემულობაა და არღვევს ჩვენს სპორტს. ჩვენ ველით პასუხს. არ გავაკეთებთ კომენტარს ახალი ინფორმაციის მიღებამდე"*, - ამბობს ჰირნი.

მალე გავრცელდა ო'სალივანის პასუხი, რომელმაც თავის "ტვიტერზე" დაწერა: *"კონკრეტული მონაცემები ჩაწყობილ თამაშებთან დაკავშირებით მე არ მაქვს. მაგრამ, როგორც ოფისის თანამშრომლებმა თქვეს, მათ კარგად იციან, ვინ და რას უნდა მიაქციონ ყურადღება"*.



ჰირნი და ო'სალივანი

ჩოგბურთი

## ანდრეევმა წასვლა გადაწყვიტა

რუსმა ჩოგბურთელმა **იგორ ანდრეევმა** კარიერის დასრულების გადაწყვეტილება მიიღო. ეს სეზონი ბოლო იქნება მისთვის. როგორც მოთამაშემ ახსნა, ეს ნაბიჯი ბოლოდროინდელი ტრავმების გამო გადადგა, რაც სრულფასოვანი თამაშის საშუალებას არ აძლევდა.

"დიდი სლემის" ტურნირებზე ანდრეევის საუკეთესო შედეგია 2007 წელს, როლან გაროსზე მეოთხედფინალში გასვლა. კარიერაში მას მოპოვებული აქვს ATP-ის სამი ტიტული - 2005 წელს გაიმარჯვა მოსკოვში, პალერმოსა და ვალენსიაში. 2006 წელს, ის რუსეთის ნაკრებთან ერთად დევისის თასის გამარჯვებული გახდა.

## ნადალი რიოში ითამაშებს

მსოფლიოს მეორე ნომერი **რაფაელ ნადალი** 2014 წელს მონაწილეობას მიიღებს რიო-დე-ჟანეიროს ტურნირში, რომელიც გრუნტის კორტზე 15-23 თებერვალს გაიმართება.

*"მოუთმენლად ველოდები ჩემს პირველ გამოსვლას რიოში. ბევრი მსმენია ამ ქალაქზე და ახლა მივიღებ შესაძლებლობას, საკუთარი თვალით ვიხილო ყველაფერი. მსოფლიოს რომელ ქალაქშიც არ უნდა ვთამაშობდე, ყოველთვის ვგრძნობ ბრაზილიელების სიყვარულს"*, - ამბობს ნადალი.

გაისად რიო-დე-ჟანეიროს ტურნირში თამაშს გეგმავს ნადალის თანამემამულე **დავიდ ფერერი**.

## მარეის ჩოგანი 80 ათასად

ჩოგანი, რომლითაც **ენდი მარეიმ** წელს უიმბლდონი მოიგო, საქველმოქმედო აუქციონზე 80 ათას ფუნტად გაიყიდა. ჩოგანთან ერთად კომპლექტში შედიოდა საჩოგბურთო ჩანთა და ბურთი მარეის ავტოგრაფით.

სულ აუქციონმა შეკრიბა 425 ათასი ფუნტი, რომელიც შოტლანდიაში საქველმოქმედო მიზნებს მოხმარდება.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

სხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ჩელსი-ბაზელი | 1:2 |
| შალკე-სტიაუა | 3:0 |
| მარსელი-არსენალი | 1:2 |
| ნაპოლი-დორტმუნდი | 2:1 |
| ატლეტიკო-ზენიტი | 3:1 |
| აუსტრია-პორტუ | 0:1 |
| მილანი-სელტიკი | 2:0 |
| ბარსელონა-აიაქსი | 4:0 |

**ინგლისი**

**ჩემპიონშიპი**

| | |
|---|---|
| ქუინზ პარკი-ბრაიტონი | 0:0 |
| რედინგი-ლიდსი | 1:0 |

**გერმანია**

**III ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| უნტერჰახინგი-ჰალეშერი | 0:0 |

**რეგიონალლიგა (ჩრ)**

| | |
|---|---|
| ვაიხი-ვერდერი II | 0:0 |
| აინტრახტი (ნ)-სტ. პაული II | 2:2 |

**რეგიონალლიგა (ჩ-ა)**

| | |
|---|---|
| მაგდებურგი-ცვიკაუ | 6:0 |

**პორტუგალია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| პორტიმონენსე-სპორტინგი B | 2:0 |
| მარიტიმუ B-პორტუ B | 2:0 |
| კოვილია-მადეირა | 1:1 |
| პენაფიელი-ბეირა მარი | 0:0 |
| ავეში-ბენფიკა B | 0:0 |
| ბრაგა B-ოლივეირენსე | 4:3 |

**ნორვეგია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სტაბეკი-ფოლო | 2:1 |

**შვედეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ასირისკა-ბრაგე | 3:2 |
| ვარნამო-იონჩოპინგი | 2:1 |
| იორგრიტე-ვარბერგი | 0:0 |
| ოსტერსუნდი-დეგერფორსი | 1:2 |
| ფალკენბერგი-ლანდსკრონა | 4:0 |

**საბერძნეთის თასი**

**I რაუნდი**

| | |
|---|---|
| კერკირა-დოქსა | 1:1 პენ. 6:5 |
| პანილიაკოსი-ფოსტირასი | 1:2 |

**თურქეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბალიქესირი-ბოლუ | 1:0 |
| ადანასფორი-ბუიუქსეჰირი | 4:0 |
| ანკარასფორი-ფეთჰიე | 2:1 |
| მერსინი-ქაჰრამანმარა | 4:1 |
| ორდუ-მანიშა | 2:0 |
| შანლიურფა-თავშანლი | 1:1 |

**ისლანდია**

| | |
|---|---|
| აკრანესი-ვიკინგური | 0:5 |
| ტორი-კეფლავიკი | 2:2 |

**ჩეხეთის თასი**

**1/16 ფინალი**

| | |
|---|---|
| ოლომოუცი-სლავია | 1:2 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| სლოვანი-ნიტრა | 5:0 |

**სლოვენიის თასი**

**1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| მეს ტეჩი-ოლიმპია | 0:5 |
| დრავა-დომჟალე | 0:4 |
| დრავოგრადი-გორიცა | 0:4 |
| სმარტნო-ალუმინი | 1:2 |
| რუდარი-კრკა | 4:0 |
| გარმინი-ვერჟეი | 2:1 |
| სელიე-ზავრცი | 4:0 |

**ბულგარეთის თასი**

**1/16 ფინალი**

| | |
|---|---|
| აკადემიკი-სოზოპოლი | 0:2 |
| ბანსკო-ვიტოშა | 1:1 |
| ბეროე-ვიდიმა | 3:0 |
| ბოტევი (გ)-რაკოვსკი 2011 | 1:0 |
| ბოტევი (ვ)-ნეფტოხიმიკი | 6:0 |
| ბოტევი (ვ)-მონტანა | 1:0 |
| ლიტექსი-სპარტაკი | 5:1 |
| ლუდოგორეცი-დუნავი | გადაიდო |
| ლუბიმეცი-ლოკომოტივი (პ) | 1:1 |
| მარეკი-ჩერნო მორე | 0:0 |
| ობორიშტე-დობრუჯა | 2:2 |
| შუმენი-ჩერნომორეცი | 0:4 |
| სლავია-პირინი (რ) | 4:0 |
| ლევსკი-პირინი (გ) | 4:0 |
| კალიაკრა-ლოკომოტივი (ს) | 1:2 |

**ლიტვა**

| | |
|---|---|
| დაინავა-კრუოია | 1:1 |
| შიაულიაი-სუდუვა | 1:5 |

**ბოსნიის თასი**

**1/16 ფინალი**

| | |
|---|---|
| ბრანიტელი-რადნიკი | 0:0 პენ. 2:4 |
| ბრატსვო-სლოგოდა | 1:0 |
| კოზარა-ჟელეზნიჩარი | 0:2 |
| ლეოტარი-ოლიმპიკი | 0:2 |
| მლადოსტი-პოდრინიე | 0:0 პენ. 2:1 |
| მოდრიცა-სელიკი | 0:1 |
| სლავია-ორასიე | 2:0 |
| სლოგოდა-ტრავნიკი | 4:0 |
| ველეჟი-რიეკა | 7:0 |
| ვიტეჟი-ჟვიეჟდა | 2:1 |
| ჟრინსკი-რუდარი | 1:1 პენ. 5:4 |

**აზიის ჩემპიონთა ლიგა**

**1/4 ფინალი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| სეული-ალ აჰლი | 1:0 (1:1) |
| ბურირამი-ესტეგლალი | 1:2 (0:1) |
| ლეხვია-გუანგჟოუ | 1:4 (0:2) |
| ალ შაბაბი-კაშივა | 2:2 (1:1) |

**კალათბურთი**

**ევრობასკეტი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| სერბეთი-ესპანეთი | 60:90 |
| სლოვენია-საფრანგეთი | 62:72 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| მეტალურგი (მ)-სიბირი | 3:2 (ო) |
| ს. იულიაევი-ადმირალი | 4:1 |
| ტრაქტორი-მეტალურგი (ნ) | 5:1 |
| ნეფტიხიმიკი-ამური | 6:2 |
| სევერსტალი-ზაგრები | 6:2 |
| ატლანტი-დონბასი | 1:0 |
| ლოკომოტივი-სპარტაკი | 1:2 (ბ) |
| სკა-დინამო (მნ) | 5:1 |

**ჩოგბურთი**

**ATP. მეცი**

| | |
|---|---|
| ბერლოკი-ვესელი | 6:3, 6:4 |
| ზვერევი-ოლივეტი | 5:7, 6:7 |
| მაუ-ლ. მაიერი | 7:6, 6:4 |
| კამკე-ფუკსოვიჩი | 1:6, 6:3, 6:2 |
| კუერი-მატიო | 6:2, 6:0 |
| ცონგა-როჟე ვასელენი | 6:3, 6:4 |
| პერი-ბეკერი | 3:6, 5:7 |

**ATP. სტ. პეტერბურგი**

| | |
|---|---|
| ფონინი-ინგლოტი | 6:4, 6:4 |
| ისტომინი-გროტი | 4:6, 6:3, 6:4 |

**WTA. გუანგჟოუ**

| | |
|---|---|
| იოვანოვსკი-კინგი | 2:6, 2:6 |
| ვოსკობოევა-პუიგი | 3:6, 2:6 |
| ჰსიე-შ. ჟანგი | 2:6, 2:6 |
| ჟ. ჟენგი-ბაბოში | 7:5, 7:6 |
| დოლონცი-მოისბურგერი | 6:2, 2:6, 4:6 |
| კარ. კლიშკოვა-კორნე | 6:7, 0:6 |
| კონტა-პენგი | 6:1, 6:3 |
| რობსონი-ჟენგი | 6:3, 7:6 |

**WTA. სეული**

| | |
|---|---|
| დულგერუ-არუაბარენა | 1:6, 6:3, 4:6 |
| გორგესი-ბეგუ | 4:6, 0:6 |
| სკიავონე-რაზანო | 7:6, 3:6, 6:3 |
| დუშევინა-ბეკი | 6:3, 7:5 |
| ლი-პავლიუჩენკოვა | 4:6, 1:6 |

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 17 | 28 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ქუთაისი | 17 | 31 | (მზე) |
| ბათუმი | 18 | 29 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ფოთი | 17 | 29 | (მზე) |
| ზუგდიდი | 16 | 30 | (მზე) |
| გორი | 14 | 29 | (მზე) |
| თელავი | 16 | 29 | (მზე) |
| სიღნაღი | 16 | 28 | (მზე) |
| ბაკურიანი | 8 | 22 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბორჯომი | 14 | 29 | (ხანმოკლე წვიმა) |
| მესტია | 9 | 25 | (ხანმოკლე წვიმა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2215 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6638 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6569 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1599 |

**TV პროგრამა**

**19 სექტემბერი. ხუთშაბათი**

**I არხი**

19:35 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. II ჯგუფური ეტაპი. ხორვატია-უკრაინა. სლოვენია (LIVE).
22:50 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. II ჯგუფური ეტაპი. ლიტვა-იტალია. სლოვენია (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. მილანი-სელტიკი.
12:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. მარსელი-არსენალი.
14:00 გერმანიის ჩემპიონატი. V ტური. ჰერტა-შტუტგარტი.
16:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ბაიერნი-ცსკა.
18:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. კოპენჰაგენი-იუვენტუსი.
19:00 ევროპის ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
21:00 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. Online. ყველა მატჩის სახიფათო მომენტი.
23:05 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. Online. ყველა მატჩის სახიფათო მომენტი.
01:00 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ბეტისი-ლიონი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ვოლფსბურგი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-ოკლაჰომა.
15:00 რაგბი. ოთხი ერის თასი. ახალი ზელანდია-ავსტრალია.
17:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
18:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
19:00 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ბოსტონი-ჰიუსტონი. 1986 წელი.
21:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ვალენსია-სუონსი (LIVE).
23:05 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ლაციო-ლეგია (LIVE).
00:55 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-ოკლაჰომა.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ცინცინატი. აშშ.
12:50 სპორტ-NEWS.
13:20 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ცინცინატი. აშშ.
17:30 სპორტ-NEWS.
18:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ცინცინატი. აშშ.
20:10 საჩოგბურთო მიმოხილვა.
21:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ფიორენტინა-ფერეირა (LIVE).
23:05 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ბეტისი-ლიონი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სლოვენია და სერბეთი ლოგიკას ვერ გაექცნენ

## პირველი ნახევარფინალი ესპანეთი-საფრანგეთია

ევროპის ჩემპიონატის დაწყებისას ოქროს მედლების მოგების მთავარ ფავორიტებად მოქმედი ჩემპიონი ესპანეთი და ვიცე-ჩემპიონი საფრანგეთი სახელდებოდნენ. მათ პირველი და მეორე ჯგუფური ეტაპი ისე ჩაატარეს, შედეგების მიხედვით ვერ იტყოდი, საქმე ფავორიტებთან გაქვსო. როგორც ერთმა, ასევე მეორემ მეოთხედფინალამდე სამ-სამჯერ ნაგება მოასწრო.

პლეი ოფის პირველივე ეტაპზე კი ესპანეთმა სერბეთი დაიბრიყვა, ხოლო საფრანგეთმა სლოვენიას აჯობა. ორივე შემთხვევაში გადამწყვეტი აღმოჩნდა ფარქვეშ მოპოვებული უპირატესობა, სლოვენიისა და სერბეთის ნაკრებთა მეფარეების უნიათობა: სერბმა **ნენად კრსტიჩმა** მხოლოდ 4 ქულა ჩააგდო, ხოლო სლოვენიელთა მთავარმა მეფარემ **მირზა ბეგიჩმა** მატჩი უქულოდ დაასრულა.

18 სექტემბერი

1/4 ფინალი

| | |
|---|---|
| სერბეთი | 60 |
| 5:21, 18:27, 16:25, 21:17 | |
| ესპანეთი | 90 |

ს: ნედოვიჩი (6), ნემანია კრსტიჩი (3), მიჩიჩი (8+3 პასი), ბოგდანოვიჩი (2+7 მოხსნა), ბიელიცა (2), კალინიჩი (2), გაგიჩი (7), ნენად კრსტიჩი (4), ანდიუსიჩი (11), კატიჩი (11), შტიმაცი (4).

ე: აგილარი (8), ფერნანდესი (19), როდრიგესი (22+4 პასი), კალდერონი (3), რუბიო (5+6 მოხსნა+6 პასი+4 ჩაჭრა), კლავერი (9), სან ემეტერიო (6), ლული (5), გასოლი (7+6 პასი+5 მოხსნა), გაბრიელი (4), მუმბრუ (2).

**ორქულიანები:** 17/38 (44.7%) - 21/45 (46.7)
**სამქულიანები:** 4/18 (22.2) - 13/25 (52.0)
**საჯარიმოები:** 14/21 (66.7) - 9/14 (64.3)
**მოხსნები:** 33-42. პასები: 12-20. შეცდომები: 11-7.




**გადამწყვეტი მომენტი:** პირველ მეოთხედში 5:21 ჩამორჩენის შემდეგ სერბებმა სიტუაციის გამოსწორება სცადეს, **ანდიუსიჩმა** ერთმანეთის მიყოლებით ხუთი ქულა ჩააგდო, თუმცა ბალკანელები ესპანელებს 12-ზე მეტი სხვაობით ვერ მიუახლოვდნენ - 14:26. ამის შემდეგ **სერხიო როდრიგესმა** 13:0 გაქცევას ჩაუყარა საფუძველი და მეორე პერიოდის დასრულებამდე 5:12 წუთით ადრე ესპანეთის ნაკრები 43:17 დაწინაურდა.

**მატჩის გმირი:** დიდ შესვენებაზე ესპანეთი სოლიდური უპირატესობით გავიდა - 48:23. მეორე პერიოდში როდრიგესმა 14 ქულა ჩააგდო და 3 შედეგიანი გადაცემა მიითვალა, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო **რუდი ფერნანდესის** შედეგიანობა, რომელმაც პირველ მეოთხედში სერბები სამქულიანებით დაბომბა. რუდიმ ჯამში 19 ქულა ჩააგდო, საიდანაც 13 პირველ პერიოდზე მოდის.

**სტატისტიკა არ ტყუის:** ესპანეთის ნაკრები ყველა კომპონენტში დომინირებდა, თუმცა მრავლისმთქმელია სერბების დაბალი მაჩვენებელი თამაშიდან ტყორცნებში - 38 პროცენტი. ფერნანდესის თანაგუნდელებმა 25-დან 13 სამქულიანი ჩააგდეს, რაც რეალიზების 52 პროცენტია.

| | |
|---|---|
| სლოვენია | 62 |
| 12:10, 12:16, 21:24, 17:22 | |
| საფრანგეთი | 72 |

**სლო:** ლაკოვიჩი, ბალაჟიჩი (2), იოკსიმოვიჩი (2), მურიჩი, ბლაჟიჩი (8), ნახბარი (10), გ. დრაგიჩი (18+6 პასი), ზ. დრაგიჩი (12+5 მოხსნა), ლორბეკი (12), ვიდმარი (2+8 მოხსნა), ბეგიჩი (5 მოხსნა).

**საფ:** ბატუმი (14+5 მოხსნა), პეტრო (4+7 მოხსნა), პარკერი (27), დე კოლო (4), დიაო (10+6 მოხსნა+3 პასი), აჟინკა (6—9 მოხსნა), ჟელაბალე (7).

**ორქულიანები:** 17/42 (40.5) - 23/53 (43.4)
**სამქულიანები:** 6/25 (24.0) - 3/10 (30.0)
**საჯარიმოები:** 10/12 (83.3) - 17/23 (73.9)
**მოხსნები:** 39-46. პასები: 9-9. შეცდომები: 11-12.

**გადამწყვეტი მომენტი:** სლოვენია მეოთხე პერიოდში ფრანგებს ხუთი ქულით ჩამორჩებოდა (49:54), რის შემდეგაც **ნიკოლა ბატუმმა** ორქულიანი ჩააგდო, ჯარიმა მიაყოლა, ხოლო **ნანდო დე კოლომ** სხვაობა ათამდე გაზარდა - 59:49. სლოვენიას თამაშის შემოსატრიალებლად ძალა აღარ ეყო.

**მატჩის გმირი:** საფრანგეთი ნახევარფინალში **ტონი პარკერმა** გაიყვანა, რომელმაც 27 ქულა ჩააგდო. მის ანგარიშზე 9-დან 8 საჯარიმოა.

**სტატისტიკა არ ტყუის:** საფრანგეთმა 23-დან 17 საჯარიმო გამოიყენა, სლოვენიამ 12-დან - 10. სტუმრებმა „მწვანეები" მოხსნებში დაჩაგრეს - 46:39. სლოვენიელებმა ვერც მთავარი იარაღი გამოიყენეს - სამქულიანები მხოლოდ 24-პროცენტიანი სიზუსტით სტყორცნეს.

დღეს

V/VIII ადგილები

16:30 სლოვენია-სერბეთი

1/4 ფინალი

19:45 ხორვატია-უკრაინა
23:00 იტალია-ლიტვა

ვაჟა სიმონიშვილი




● კრივი



ბეკენბაუერი საწევრო ბარათით

# კაიზერი კლიჩკოებს დაუახლოვდა

გერმანული ფეხბურთის ლეგენდა, მიუნხენის „ბაიერნის" საპატიო პრეზიდენტი **ფრანც ბეკენბაუერი** ძმები **კლიჩკოების** ფან-კლუბის წევრი გახდა.

საწევრო ბარათის გადაცემის ცერემონია გერმანიის საკურორტო ქალაქ სანკტ ლეონ-როტში, ბეკენბაუერის ფონდის მხარდასაჭერი გოლფის ტურნირის შემდეგ გაიმართა. ფრანც ბეკენბაუერი უკვე დიდი ხანია ძმები კლიჩკოების თაყვანისმცემელია და ხშირად ესწრება მათ ბრძოლებს. განსაკუთრებული მეგობრობა მას ვლადიმერთან აკავშირებს: უმცროსი კლიჩკო ასევე გატაცებულია გოლფით და ხშირად მონაწილეობს საქველმოქმედო გოლფ-ტურნირებში, რომელიც ბეკენბაუერის მიერ იყო ორგანიზებული.

*„სიამოვნებით შევდივარ კლიჩკოების ფან-კლუბში. ძმები კლიჩკოები - ეს არის ათლეტიზმისა და ინტელექტის, საბრძოლო სულისა და გონების ნაზავი. მე ამის შესახებ დავწერე კლიჩკოების შესახებ უნიკალური წიგნის შესავალში. სილვესტერ სტალონემ დაწერა შესავალი სიტყვა ვიტალიზე, მე - ვლადიმერზე"*, - განაცხადა ფან-კლუბის ბარათის გადაცემის ცერემონიაზე გერმანული ფეხბურთის კაიზერმა.

გია თვალაბეიშვილი

● კალათბურთი

# მილიარდერები

ცნობილია, რომ კალათბურთი არა უბრალოდ რიგითი თამაში, არამედ სერიოზული ბიზნესიცაა, თანაც, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, საკმაოდ შემოსავლიანი. ამას ადასტურებს ჟურნალი "ფორბსის" მორიგი რეიტინგი. პოპულარულმა გამოცემამ შეადგინა 400 ყველაზე მდიდარი ამერიკელის სია. ამათ შორისაა პროფესიული სპორტული გუნდების 32 მფლობელი, აქედან 14 საკალათბურთო გუნდს ფლობს.

ყველაზე მდიდარი მფლობელია კორპორაცია "მაიკროსოფტის" თანადამაარსებელი **პოლ ალენი**, რომელსაც ეკუთვნის "პორტლენდი". ალენი "ფორბსის" სიაში 26-ე ადგილზეა 15.8 მილიარდი დოლარის ოდენობის კაპიტალით.

ასევე სიაში მოხვდნენ **რიჩ დევოსი** ("ორლანდო", 6.8 მილიარდი), **მიკი არისონი** ("მაიამი", 5.9), **სტენ კრენკე** ("დენვერი", 5.3), **დენ გილბერტი** ("კლივლენდი", 3.9), **ჩარლზ დოლანი** ("ნიუ იორკი", 3.3), **ტომ გორსი** ("დეტროიტი", 2.7), **მარკ ქიუბანი** ("დალასი". 2.5), **ჯოშ ჰარისი** ("ფილადელფია", 2.5), **რობერ პერა** ("მემფისი", 1.95), **ჰერბ საიმონი** ("ინდიანა", 1.95), **დონალდ სტერლინგი** ("კლიპერსი", 1.9), **გლენ ტეილორი** ("ტიმბერვულვზი", 1.7) და **ბენსონი** ("ნიუ ორლეანი", 1.3).

გია თვალაბეიშვილი



ალენი პორტლენდის თამაშზე

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28), **გია ტუხაშვილი** (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:30. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონი: **599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ტელ: **238 84 44; 238 74 44;** ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608